



# ილარი

www.ilari.ge

E-mail: r.jalagania@mail.ru



№296 (355) 9-16 დეკემბერი 2014

სახალხო მოძრაობა „სამშობლოს“ ორბანო 30 თეთრი

სიკსნილი იხილეთ არის, რომ ემბრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხილთ ემბრული ენა – ააქი ხანიძე

## ალექსანდრე ჭაჭია: „სამშობლოს, ეკლესიისა და კატორიარქის პასიურობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ განხეთქილების და ბახლეჩის ზღვარზე ვღებვართ!“

**წარსულის განხილვა  
წარსულში ჩარჩენას არ  
ნიშნავს**



დაიბუქდა 2011 წელს გაზ. „ასავალ-დასავალში“

– ბატონო ალექსანდრე, როგორ შეაფასებთ საქართველოს და რუსეთის პატრიარქების შეხვედრას, თუ იცით, რა განწყობაა ამ შეხვედრის შემდეგ რუსეთის სახელისუფლო წრეებში?

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შეხვედრა იყო ძალიან თბილი და მეგობრული, რუსეთის სახელისუფლო წრეებშიც ძალიან დადებითი დამოკიდებულებაა ამ ურთიერთობების მიმართ, თუმცა ძნელია საუბარი იმაზე, რომ ამ შეხვედრას რაიმე რეალური შედეგები მოჰყვება.

– რუსეთის პატრიარქი აფხაზეთის და ეკლესიის ოსეთის ტერიტორიას ცნობს საქართველოს საპატრიარქოს კანონიკურ საზღვრებში. ეს ამ შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა. როგორ ფიქრობთ, გაბეჯდა რუსეთის პატრიარქი ამის ასე ხაზგასმით აღნიშვნას, რომ არა რუსეთის ხელისუფალთა ნება?

– ხელისუფლება არაფერ შუაშია, ეს არის წინააღმდეგობრივი მდგომარეობა. ჯერ ერთი, რომ რუსეთის ეკლესიას გააჩნია განსაკუთრებული ურთიერთობები საქართველოს ეკლესიასთან. მეორე და მთავარი – დღეს მართლმადიდებლობა მთელ მსოფლიოში არის განსაკუთრებული შეტევის ობიექტი, ამიტომ მართლმადიდებლური ძალების გაერთიანებას და ერთ პლატფორმაზე დაკომპლექსებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენი, ისე რუსეთის ეკლესიისთვის. მე ძალიან მაშფოთებს მართლმადიდებლობის მდგომარეობა დღევანდელ საქართველოში. უბედურება ის არის, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ეკლესიების საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში დატოვებას ჩვენთვის რეალური შედეგი არ მოაქვს. საჭიროა ჩვენი ეკლესიის უფრო მეტი აქტიურობა, რაც ნამდვილად აკლია მას. როგორ გგონიათ, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ისე, რომ აფხაზეთში, გნებავთ, ცხინვალში მრევლს მოძღვროს არ ჰყავდეს? ეკლესიას მდგომარეობა არ ჰყავდეს? სწორედ ჩვენ, ქართველმა საზოგადოებამ, ქართულმა ეკლესიამ უნდა გადავდგათ ნაბიჯები და მივადვილოთ იმას, რომ ქართველ მღვდელს შეეძლოს ამ ტერიტორიებზე ჩასვლა, წირვა-ლოცვის ჩატარება. ამ შემთხვევაში აქვს აზრი რუსეთის საპატრიარქოს მიერ იქ საქართველოს იურისდიქციის აღიარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქ ეს მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება.

აფხაზეთში უკვე ამბობენ, რუსეთის ეკლესია ჩვენ არ გვემხრობა, ქართული ეკლესიის არაფერი გვინდა და მივმართოთ კონსტანტინოპოლის ეკლესიას, ვიყოთ მათი წარმომადგენლები. ეს არის ძალიან საშიში რამ და მოჰყვება ძალიან ცუდი შედეგი, თუ ქართული ეკლესია დროულად არ წავიდა უშუალო კონტაქტებზე, თუმცა ამაში ეკლესიას ხელისუფლების დახმარება სჭირდება!

– საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა რუსეთის პატრიარქთან აფხაზეთში ჩასვლის შესახებ ისაუბრა. როგორ ფიქრობთ, რამდენად უსაფრთხო იქნება მისი უწმიდესობის ჩაბრუნება აფხაზეთში და, საერთოდ, არის კი ეს შესაძლებელი?

– დღევანდელ ვითარებაში მისი უწმიდესობის ჩაბრუნება აფხაზეთში არის აბსოლუტურად გამორიცხული. რუსეთის პატრიარქი ვერ უზრუნველყოფს ამას. ეს უნდა გადაწყვიტოს აფხაზეთის ხელისუფლებამ, სასულიერო პირებმა და აფხაზეთის საზოგადოებამ მნიშვნელოვანმა, ავტორიტეტულმა ნაწილმა. სხვაგვარად, თუნდაც პატრიარქ კირილეს თხოვნითა თუ მითითებით, ეს არ მოხდება. ამას სჭირდება სერიოზული მომზადება – ჯერ უნდა იყოს მოლაპარაკება არაოფიციალურად, მერე უნდა ჩავიდეს მღვდელმსახურთა ჯგუფი რომელიმე მიტროპოლიტის ხელმძღვანელობით და მომზადდეს საფუძველი მისი უწმიდესობის ჩაბრუნებისთვის. სხვათა შორის, ამ წინადადებით მე არაერთხელ მივმართე ჯერ შევარდნაძის ხელისუფლებას, მერე – სააკაშვილის ხელისუფლებას, მაგრამ არც მაშინ აინტერესებდათ და არც ახლა აინტერესებთ უშუალო ურთიერთობის დამყარება აფხაზეთში მხარესთან, ვინაიდან საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის დაბრუნებას მიზნად არ ისახავს!

– თქვენ ბრძანებით მართლმადიდებლობა მთელ მსოფლიოში და საქართველოში არის განსაკუთრებული შეტევის ქვეშე. ვისი მხრიდან სორციელდება ეს შეტევა და რა ხდება საქართველოში ამ მხრივ?

– ამერიკელები არ მოითმენენ მართლმადიდებლობის გაძლიერებას საქართველოში. ვერცერთ მართლმადიდებლურ ქვეყანაში ამერიკელები ვერ დამკვიდრდნენ, იმიტომ, რომ მართლმადიდებლობა ხალხისთვის მიუღებელია მათი ღირებულებების, ამერიკის მიზანია, რომ ხალხის მენტალობა შეიცვალოს, ამიტომაც მუდმივად სიღრმის სიღრმეში აქვს სააკაშვილი ამის თაობაზე. ზოგივე ბუქინსკი დიდად აცხადებდა, რომ კომუნისტების დანგრევებს შემდეგ ამერიკას ერთი მეტერი დარჩება – მართლმადიდებლობა. ამიტომ არის დღეს ყველაზე დიდი შეტევა მართლმადიდებლობაზე. კოსოვოში ნატოს ჯარის შესვლის შემდეგ 200-მდე მართლმადიდებლური ტაძარი დაინგრა. ხომ ნათელია, რა ხდება? საქართველოში ეს პროცესი დაიწყო შევარდნაძის დროს. ჯერ მიმდინარეობდა ფარულად: შეიპოვდნენ იელოვანები, სხვა სექტები, დაიწყეს მართლმადიდებლური ღირებულებების დაცინვა, მათ „ნამორჩენაზე“ აღაპარაკდნენ. მე მაშინ საუბარი მქონდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან და ვუთხარი, რომ აუცილებლად დადგებოდა დრო, როცა ძალიან ძლიერად შეუტევდნენ ჩვენს ეკლესიას. ისიც მოვახსენე, რომ ამ ყველაფრის მიზანია მართლმადიდებლობის მოსპობა საქართველოში, განხეთქილების შეტანა ეკლესიაში. პატრიარქმა მითხრა, რომ ეკლესია საერო საქმეებში არ ერევა. ვუთხარი, როდესაც ერი იღუპება, მაშინ ეკლესია უნდა ჩაერთოს საერო საქმეებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ შესძის, რისთვის გვიკლა უფალმა ეკლესია?! სამწუხაროდ, ეკლესიას და პატრიარქის პასიურობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ განხეთქილების და გახლეჩის ზღვარზე ვდგავართ. მე პირადად არ ვგლოხობ, რომ ამდენი ასე გულმოდგინედ დათანხმდებოდა კანონს რელიგიური ჯგუფებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის

სტატუსის მინიჭების შესახებ. მართალია, არის ცალკეულ მღვდელმსახურთა პროტესტი, პატრიარქული ძალების აღშფოთება, მაგრამ როგორც ერთიანი ძალა, ეკლესია არ გამოხვალა. ამერიკელებისა და საქართველოს ხელისუფლებისთვის ეს უკვე იმის ნიშანია, რომ შესაძლებელია უფრო ძლიერი ღირსებები მივაყენოთ ქართულ ეკლესიას და საბოლოოდ გახლიჩოთ.

– რისთვის იყო საჭირო ამ კანონის მიღება ასე უცებ? როგორც ამბობენ, ეს გააკეთდა სომხური ეკლესიისთვის. ამ კანონის მიღებას ხომ წინ სომხეთის პატრიარქის გეზირი უძღვოდა საქართველოში...

– ეს გააკეთდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ნგრევისთვის, იმისთვის, რომ საქართველოში მართლმადიდებლური ღირებულებები მომავალში არ დაიკარგოს, საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესია ვერ გახდეს ავტორიტეტული ძალა. რისთვის მიღეს ასე უცებ ეს კანონი? ამას რომ წინა მოსამზადებელი პერიოდი მქონდა, ასე იოლად ვერ ჩავიდოდა, ამას მოჰყვებოდა დიდი აღშფოთება, სპორტესტო ტალღა. ამიტომაც წამოაგვიტევეთ რამდენიმე სკანდალური თემა, რათა ამ საკითხის გადაფარვას შეეცადნენ. გამოსულია კიდევ!

– ზუსტად ამ პერიოდში ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს ქართველი ფორტორეორტორები, რომლებიც პირობითი სახელისუფლო გამოუშვეს, თუმცა, შს-მ განაცხადა, რომ რუსეთის ჯაშუშები საქართველოში კიდევ ბევრად და მოუწოდებდა მათ, საქართველოში გამოცხადდნენ პოლიციაში. რამდენად საფუძვლიანად გაქვეყნებთ ფორტორეპორტიორების ბრალდება და მართლმადიდებლობის აღდგენა საქართველოში რუსეთის ჯაშუშური ქსელი?

– მე ამ ყველაფერზე მეცინება! მახსოვს, ვიღაც გაღელვებული კოჭია გამოცხადებულ იყო ჯაშუშად. ამაზე იცინოდა მთელი სამეგრელო და მთელი გალი. ქართული სპეცსამსახურები უკვე გადავიდნენ ზღვარს და აღარ ფიქრობენ იმაზე, რომ ეს ყველაფერი დამაჯერებელი იყოს. ხელისუფლება აცხადებს, რომ ფორტორეპორტები რუსეთის აგენტები ყოფილან და არაფერს ამბობს იმაზე, თუ რამდენი ამერიკელი აგენტი მუშაობს საქართველოს ხელისუფლებაში, რამდენი თურქი აგენტი მუშაობს აჭარაში!

– თურქი აგენტი?

– დიახ, თურქი აგენტი! როდესაც ვამბობთ, რომ საქართველო უნდა გადავიჩინოთ დაშლას, რას ვგულისხმობთ? პირველ რიგში, აჭარას! აჭარა, პრაქტიკულად, დაკარგულია. თურქები აჭარიდან აღარ გაეღვან, იმიტომ, რომ იქ ნაღებული აქეთ ძალიან დიდი კაპიტალი. ამ რეგიონს უდიდესი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს თურქეთისთვის. ათასობით თურქი უკვე მუდმივად ცხოვრობს ბათუმში და ეს რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ამ პროცესისთვის ხელის შეშლა შეუძლია, არის რუსეთი, იმიტომ, რომ თურქეთს რუსეთთან გარკვეული ისტორიული შეთანხმებები აქვს. დღევანდელი ურთიერთობებიდან გამომდინარე, რუსეთი ამაში არ ჩაერევა. რაც შეეხება ამერიკას, მისთვის თურქეთი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარტნიორი მუსლიმანურ სამყაროში, ამიტომ შეეერთებული სტატუსი არ შეეწინააღმდეგება თურქეთს ექსპანსიის გაძლიერებაში. დიდი ტრაგედია დაიწყო სწორედ აქედან! ასე რომ, ძალიან ბევრია ისეთი პრობლემა, რომლებიც გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ფორტორეპორტების დაჭერა და აგენტებად გამოცხადება.

შეტაც გეტყვით. თურქეთი აუცილებლად შეეცდება, რომ აფხაზეთი იყოს აღიარებული დამოუკიდებელი ქვეყანა, ვინაიდან თურქეთს არ აწყობს ამ რეგიონში რუსეთის მონოპოლია. ერთსაც გეტყვით და დაიბახსოვრეთ: არჩვენებში „ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვების შემთხვევაში დაიწყება პროპაგანდა აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების აუცილებლობის თაობაზე.

ხელისუფლება დაიწყებს ლაპარაკს იმაზე, რომ ამის გარეშე ჩვენ ნატოში არ მიგვიღებენ, ევროკავშირში არ მიგვიღებენ, ახლა ვაღიაროთ აფხაზეთი, მერე ნატო და ევროკავშირი დაგვეხმარებინა მის დაბრუნებაში.

– სხვათა შორის, მოსაზრება აფხაზეთის აღიარების შესახებ უკვე გახშირდა ექსპერტ მამუკა არეშიძის მიერ. ის ამბობს, რომ ამით შესუსტდება რუსეთის გავლენა აფხაზეთზე...

– შეიძლება, ეს მისი გულწრფელი მოსაზრებაა. მე გარწმუნებო, რომ ასეთი კამპანია აუცილებლად დაიწყება არჩვენების შემდეგ, თუკი „ნაციონალური მოძრაობა“ გაიმარჯვებს. სწორედ ამიტომ არის მიუღებელი ხელისუფლებისთვის აფხაზეთთან და ოსეთთან ურთიერთობის დამყარების საშუალებების ძებნა, მეტიც, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ურთიერთობები გაუარესდეს. არის უამრავი დაპირება და ამ დაპირების პარალელურად დემონსტრირება იმისა, რომ არაფერი გამოდის. მათ უნდათ, ხალხი დაარწმუნონ, რომ შეუძლებელია ამ პრობლემის გადაწყვეტა. საუბედუროდ, ეს არ იქნება საყოველთაო აღშფოთებას. ასე რომ, აფხაზეთის აღიარების საკითხიც მშვიდად ჩავიდის და შემდეგი რეგიონი არის აჭარა!

– ახლა ოპოზიციანებზე ვისაუბროთ. რატომ ვერ ერგვა ოპოზიციას სააკაშვილის მაშინ, როცა ხელისუფლების მიმართ ხალხის უკმაყოფილება ძალიან დიდია? თქვენი აზრით, რა პერსპექტივები აქვთ ოპოზიციურ ძალებს?

– უბედურება ისაა, რომ საქართველოში არ არსებობს ოპოზიციის, რომელსაც გააჩნია ქვეყნის განვითარების ხელისუფლების განხილვის უფლება, ალტერნატიული მოდელი. ხალხი ამას ხედავს და ამიტომ ეს ოპოზიციის არ სარგებლობს ავტორიტეტით. ქართველი პოლიტიკოსები დგანან ცუდ გზაზე, ისინი ეძებენ არა ქართველი ხალხის მხარდაჭერას. მათთვის მთავარი პერსონა არის აშშ-ის ელჩი საქართველოში. დიახ, ეს არ არის რეალური ოპოზიციის, ისინი, უბრალოდ, ამერიკის ელჩს ეუბნებიან, ჩვენ უკეთ გავაგებოთ იმას, რასაც ხელისუფლება აკეთებს, ამიტომაც მიგვიშით ხელისუფლებაში... ამ მოვლანზე თამაში წამოვიყვანოთ ოპოზიციისთვის, რადგან იმას, რაც მოსწონს ამერიკის ელჩს, შესანიშნავად აკეთებს საქართველოს ხელისუფლება. ამერიკელები არ არიან დარწმუნებული, რომ ოპოზიციის უკეთ გააგებებს იმას, რასაც სააკაშვილი აკეთებს. მათ ჯერჯერობით აწყობთ სააკაშვილი, მაგრამ როდესაც დაინახვენ, რომ ხალხისთვის მიუღებელია ხელისუფლება, რადგან ყველა ზღვარს გადავიდა, უმაღლესი უფლებიან, ანალოგიურს მოიყვანენ, ხოლო სახალხო ძალა ვერ დაუპირისპირდება, ვინაიდან ხალხის ნების გამოხატვითი პოლიტიკური ძალა საქართველოში არ არსებობს! ოპოზიციას არ აქვს და არც ექნება ხალხის მხარდაჭერა, სანამ ის არ ჩამოყალიბდება ალტერნატიული პოლიტიკური ძალად და არ დადგება ეროვნულ საწყისზე. ერთადერთი, რაც დღეს საქართველოს გადარჩენს, ეს არის ეროვნულ ნიადაგზე მყოფი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბება, რომელიც იმუშავებს მართლმადიდებელ ეკლესიასთან მჭიდრო კავშირში. აი, ამაში ვხედავ ერთადერთ გამოსავალს!

– სახიფათო პერსპექტივებს ხატავთ...

– როცა წლებს ვინათ პრობლემებს ვიხილავთ თქვენს კვლევებთან ერთად, მაშინაც ამას მეუბნებოდნენ, რომ სახიფათო პერსპექტივებს ვხატავ. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი განხორციელდა. მე ყველაზე მეტად მაშინებს საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულება, საზოგადოება საქართველოში უკვე აღარ არსებობს, ქართული ეროვნული ინტელიგენცია აღარ არსებობს. აი ეს არის ძალიან საშიში და, სამწუხაროდ, ეს არის რეალობა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# სამეგრელოს (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია და თანამედროვე ისტორიოგრაფია

ვახუშტი თავის ნაშრომში სამეგრეო ასახვებს პუნქტს ჭაქეთის ფორმით. ერთგან წერს: მეფე ვახტანგმა „მოსრნა ურჩნი ოდიშისანი, მოადგა ჭაქეთის ციხესა, აღიღო და გამოიყვანა ცოლ-შვილინი გამეფადიანისანი და საგანძურნი ყოველინი და მივიდა ზუგდიდს“ (დადიანი 1962: 162). ეს ამბები უკავშირდება 1662 წელს.

წერილობით წყაროებში გვხვდება ტოპონიმის განსხვავებული ფორმაც – „წაქვიში“: კერძოდ, ლევან V დადიანის მიერ წალენჯიხის დეკანოზ ნიკოლოზ თვალთვლიასთვის ბოძებულ წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „ამისი მოწმე... წაქვიშის ციხის და მისი შემავალის, თქვენი მოურავი მხედრე პეტრე“ (ქუთაისის მუზეუმი საბ. №1503).

პ. ცხადიას მსჯელობით ახლანდ. ჭაქვინჯის უწინდელი სახელი ქუატიხტი იყო, ხოლო ჭაქვინჯი უფრო ჯიხაშკარს ერქვა (ცხადია II, 2007: 352).

შ. მესხია ვარაუდობდა, რომ ჭაქვინჯში უნდა ყოფილიყო ეგრისის მმართველის – ქუჯის ციხე-სიმაგრე. ჯიხა-ქუჯის „ჭაქვინჯად“ გადაქცევა სახესებით შესაძლებელია, მაგრამ მკვლევარები საბოლოო და გადაწყვეტი დასკვნის გაკეთებისგან თავს იკავებდნენ, ვინაიდან ასეთი დასკვნა ციხის ნაშთების საფუძვლიან არქეოლოგიურ შესწავლაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული (პაჭკორია 1975: 33).

სოფლის სახელწოდება „ჭაქვინჯის“ ფორმით არაერთგანის გვხვდება მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში (ბაშუია 1971: 18, 19, 65, 74; მისივე 1979: 155).

ტოპონიმ „ჭაქვინჯის“ ეტიმოლოგია გარკვეული არაა. ა. ქობაღიას „მეგრულ ლექსიკონში“ მოცემულია შემდეგი მნიშვნელობები: „ჭაქვინჯი ჭის ფსკერი; ზოგან განმარტავენ როგორც ჭანთა ნაფუძარს, ჭანთა ქვედა ციხეს“ (ქობაღია 2010: 707). მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. გურბემში ჩავიწვრეთ ტოპონიმ „ჭაქვინჯის“ ჭანური სამეგრელოში ეწოდება კონუსის ფორმის თავწაჭრილ ქვაბს, რასაც ვიწრო თავი და ფართო ძირი აქვს, მაგრამ, ამასთანავე, ჭანური, ჭანური მსხლის ჯიშიცაა. თუკი დაეუბნებთ, რომ „ჭაქვინჯის“ უწინდელი ფორმა „ჭანურქვინჯი“ ან „ჭანურქვინჯი“ იყო, მაშინ შესაძლებელია სოფლის სახელწოდება მეტაფორულ ოროგრაფიულ ნომენად მივიჩნიოთ, კონუსის ფორმის თავწაჭრილ ქვაბთან გეოგრაფიული ობიექტის მისგანსხვავებით წარმოქმნილი. ხომ არ ნიშნავს ჭაქვინჯი „ჩაგარდნილ-ჩადაბლებულ ადგილს“?

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ სიტყვა ქვინჯი ფიგურირებს სამეგრელოში ნაწერილ რამდენიმე ტოპონიმში. მაგალითად, ქვაბ(ი)ქვინჯი – ფერდობი სახანვით, აბაშის მარჯვენა ნაპირზე, თათულის შესართავთან (ნაესუე); ქვაბიშქვინჯი – ჭეჭკობიანი ვაკე რუხის თემში, ბექობთან; ქვაბიქვინჯი – ტაფობი აბაშის მარჯვენა ნაპირზე (ბობოთი)... ქვაბი იგულისხმობს მგვილმე, გამოქვაბულ; ქვაბქვინჯი „მღვიმის (დამოქვაბულის) ძირი“ მეტაფორულად აღნიშნავს ჩაგარდნილ-ჩადაბლებულ ადგილს (კეკელია 2008: 62). საყურადღებოა ტოპონიმ „ქვიჯეს“ დადასტურებაც. ასე ეწოდება ხევსა და ღელეს სოფ. ქვათში, რაც მარჯვენად მდებარეობს ჩხორის, საკირსთან. ქვიჯაც მეტაფორული ოროგრაფიული ნომენია და როდინივით (მეგრ. ქვიჯა, ქვიჯე) ჩაღრმავებულ ადგილს ნიშნავს. ქვინჯა, ქვინჯე, ქვინჯი გადატ. ოგივეა, რაც ძირი, ფსკერი (კეკელია 2008: 63).

ჭაქვინჯის ციხე-სიმაგრე მტკვრისპირა კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. ოდიშის საერისთავოში ჭაქვინჯის ციხე გამორჩეული იყო თავისი სიდიდითა და ძლიერებით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სწორედ ეს პუნქტი წარმოადგენდა ოდიშის საერისთავოს ცენტრს (ბერაძე სიგა, III, 1967: 141). ციხის არქეოლოგიურ შესწავლას გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან აწარმოებდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიცია პროფ. პარმენ ზაქარაიას ხელმძღვანელობით. აღმოჩენილი ნივთიერი საბუთებით აქ დასტურდება მშენებლობის სამი ფენა: III-IV სს., დაახლ. VIII-IX სს. და XVI-XVIII სს. მშენებელს ციხის ასასენებლად მოხერხებული ადგილი შეურყევეა. ესაა საკმაოდ მაღალი მთა ჭანისწყლის მარჯვენა მხარეს, საიდანაც თვალწინ იშლება კოლხეთის დაბლობი და ზღვისპირეთი.

მთის მაღალ წვერზე აგებული და გრძელი ელიფსის ფორმის მქონე ციტადელთან მისასვლელი გზა ადრე დასავლეთიდან ყოფილა, ამჟამად კი აღმოსავლეთიდან უვლის. კედლები ირგვლარული გეგმისაა. რელიეფის თავისებურების შესაფერისად განლაგებული კოშკები მრავალჯერ დაგროვულა და აღუდგენიათ. ციხის ადგილად მისადგომი ჩრდილოეთი მხარე სამი კოშკითაა გამაგრებული. ეგრისის სამეფოს ძლიერების პერიოდის კოშკების თლილი კვადრებით აგებული ქვედა ნაწილი ყრუა, რაზეც მოგვიანებით სხვადასხვა დროს სამი სართული დაუშენებიათ. ერთი კოშკი მოგვიანებით დაუდგამთ აღმოსავლეთითაც.

ვახუშტის ცნობა, რომ ჭაქვინჯის ციხე „დიდნაშენი“ იყო, დასტურდება არქეოლოგიური გათხრებით. აქ გამოვლენილი პალატის ნაშთები, რაც თავის დროზე ორსართულიან კაპიტალურ შენობას წარმოადგენდა, მიუთითებს იმაზე, რომ გვიან შუა საუკუნეებში ჭაქვინჯი ციხე-დარბაზად ქცეულა (ზაქარაია, ლომოური... 1984: 54-56).

დადიანების ამ ადგილას მკვიდრობაზე მიუთითებს ტოპონიმური მასალაც. მაგალითად, ერას ხეობის მარჯვენა ნაპირას, დობერას ხერზე, ისტორიული ციხის მახლობლად მდებარე ბორცვს ნაღობორ?ს/დადიან ნაღობორუს ეძახიან, სადაც, გადმოცემით, მდგარა დადიანის სახახლე. ასევე ერასხერის, ჭანისწყლისა და წვივბაღის შესართავთან, რახვინად წოდებულ ჭალაში მდებარე ბორცვს ადგილობრივი მოსახლეობა ნამარან?ს/დადიან ნამარან?ს უწოდებს (ჯიხაშკარი). ასევე სოფლის ჩრდილოეთი, აღურტკარის სახლვართან მდებარე ტყეს „სადადიო ტყე“ (სადადიანო, დადიანებისთვის ვანკუთონილი) ერქვა... სამწუხაროდ, ამ ტოპონიმების დათარიღება ჯერჯერობით ვერ შეეძლება.

IV. 5. 4. ხეთა. ვახუშტის „დღწერის“ მიხედვით ხეთა მდებარეობდა ხორვისწყლის (სობისწყლის) ჩრდილოეთით, მთისძირში, ველზე. ხეთა თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით თემია სობის მუნიციპალიტეტში, ოდიშის დაბლობსა და ურთის მთის სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე, ხ. დ. 50 მ-ზე, და ქ. სობს 8 კმ-ით არის დაშორებული. რუსეთის იმპერიის მიერ XIX ს. 80-იან წლებში განხორციელებული კომლობრივი აღწერის მონაცემებით სოფელი ხეთა და ხეთის თემი ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის რედუქტკალეს უბანში შედიოდა (Сводъ... 1893). სოფელი მოიხსენიება „საცაიშლო გამოსავალი მოსაქრებლობის დაფთარში“, რაც მაღაქია კათალიკოსის მიერ 1616-1621 წლებშია შედგენილი.

ამჟამად ხეთის თემი აერთიანებს ხუთ სოფელს: ლერჩხვას (თემის ცენტრი), ნონხონს, ოხვამკარს, წინაგოლასა და ხეთას. გადმოცემით, ხეთა თემში შემავალი ხუთივე სოფლის გამაერთიანებელი სახელია. ინფორმაცია ერთი ნაწილი კი თვლის, რომ ხეთაში იგულისხმება თემში შემავალი პატარა სოფელი საქირო (უწინდელი პირველი საქირო/ქუაქვირო), რაც ურთის მთისკალთაზე, ხამისქურის საქიროს სახლვარზე მდებარეობს (ცხადია III, 2007: 266-267). აქვე ხამისქურის მარცხენა შენაკადს – (ფ)შხერულის მარცხენა ნაპირზე, ხეთის რკინიგზის ხაზსა და სოფელ ოხვამკარს შორის მდებარე უბანს ხეთარხენი ეწოდება (რხენი „ვაკე“).

სოფელში შემორჩენილია ციხესიმაგრის ნაშთი, რაც დავს ხამისქურის მარჯვენა მხარეს. იქაურები მიიჩნევენ, რომ ჯიხარუსეთ-თურქეთის ომის დროსაა აგებული. სინამდვილეში, როგორც ვახუშტის ნაშრომიდან ჩანს, ციხე უფრო ადრინდელია. ბერადის მსჯელობით, ხორვისწყლის და მდ. სობის იგულისხმების შემთხვევაში ხეთის ციხე-სიმაგრისა და მის ირგვლივ არსებული გეოგრაფიული გარემოს ვახუშტისეული აღწერა სწორია: იგი მართლაც ურთის მთის სამხრეთ-დასავლეთი კალთისძირში, ველზე მდებარეობს.

სოფელს XVIII ს. უკანასკნელი ათწლეულის პოლიტიკური მოვლენების აღწერისას მოიხსენიებს ნიკო დადიანიც (დადიანი 1962: 190). გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ ხეთა დიდი სოფელია ოდიშში (გიულდენშტედტი 1962: 325).

IV. 5. 5. სობი ოდიშის დაბლობზე მდებარეობს, ხ. დ. 25 მ-ზეა და სობს 2,5 კმ-ით არის დაშორებული (ცხადია III, 2007: 16).

სობი უწინ ერქვა სოფლის ნაწილს ხორვისწყლის მარცხენა ნაპირას და მონასტრის შემოგარენს. დღეს ამ ტერიტორიას მათა სობი/მეორე სობი ჰქვია და ნოვჯიხეში ერთიანდება. წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ სობის მონასტერი საეპისკოპოსოს ცენტრი ყოფილა (სობის მონასტერი 2006: 32-36). თუმცა აღნიშნულის შესახებ ვახუშტი არაფერს ამბობს. ვახუშტის ცნობით სობში „არს ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი და შემკული“ (ვახუშტი IV, 1973: 778). თ. ბერაძე აღნიშნავს, რომ „სობის მონასტერი გუმბათიანი ეკლესია კი არაა, როგორც ამას ვახუშტი გვაძინობს, არამედ სამნავიანი ბაზილიკაა“ (ბერაძე სიგა, IV, 1971: 58). საქმე ისაა, რომ სობი გვხვდება ქრისტიანულ კასტელის ნახატების ალბომში, სადაც ერთ ეკლესიას აქვს შემდეგი წარწერა: „სობის განთქმული ეკლესიის სურათი“. კასტელის სურათის მიხედვით სობის საეპისკოპოსო ეკლესია გუმბათიანი ყოფილა.

მონასტრის მშენებლობის დაწყებაზე მკვლევართა შორის ახრთა მკვეთრი სხვადასხვაობაა. ზოგნი თვლიან, რომ მისი აშენების თარიღია VII ს.-ის პირველი ნახევარი. ე. თაყაიშვილის ცნობით, სობის მონასტრის აშენების დრო უცნობია, მაგრამ შენობის გეგმისა და სტილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მონასტერი არა უგვიანეს X-XI სს-ში უნდა იყოს აგებული. XIV საუკუნეში ტაძარი მნიშვნელოვნად გადაეკეთებიათ. სამხრეთი შტო ამოუსხეულია. სამხრეთ კედელზე დაუხატავთ შერვილ დადიანი, მისი მეუღლე – ნათელი და შველი ცოტნე, რომლებიც XIII ს-ში მოღვაწეობდნენ (სობის ტაძარი 2006: 12). გვხვდება მოგვიანო ხანის (XIV-XVII სს.) ფრესკული მხატვრობაც (იქვე: 13-15).

სობი მოიხსენიება რუსეთის ელჩების – ელჩინისა და ზახარევის მოგზაურობის აღწერილობაში. 1640 წლის 3 მაისს ელჩები ბანდა-ჭყონდიდიდან გამოემგზავრებულან და სობის („საბოს“) მონასტერში განერგებულან (Белокуров 1888: 373).

სობში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პერანგის არსებობის შესახებ ვახუშტის ცნობა სინამდვილეს შეესაბამება, რაც დასტურდება სხვა ისტორიული ცნობებითაც. ვახუშტის აღწერით, ჭანისწყლის „ჩდილოეთი კერძით, ზღვის კიდებზე არს სოფი აქ ეკლესიასა შინა მსუენარებს პერანგი ყოვლად წმიდის ღვთისმშობლისა, სასწაულთმოქმედი“ (იქვე: 778).

ეკვართი XVII ს-ში უნახავს ანტიოქიის პატრიარქ მაკარიუს. საქართველოში მისი მოხვედრის შესახებ ორი ვერსიაა ცნობილი. პირველი ვერსიის მიხედვით ის ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლიდან VIII ს-ში უნდა ჩამოეტანათ; მეორე ვერსიის თანახმად ეკვართი საქართველოში კონსტანტინოპოლის თურქთა დაპყრობის (1453 წ.) შემდეგ უნდა მოხვედრილიყო (ბერაძე 2006: 25-29).

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ 1470-1474 წლებიდან ვიდრე 1553-1554 წლებამდე სობი ბიჭვინთის პარალელურად აფხაზეთის საკათალიკოსოს რეზიდენციას წარმოადგენდა. დროის ამ მონაკვეთში ლითხიმერეთის მწყემსთმთავრები „სობის კათალიკოსის“ საეკლესიო ტიტულით სწორედ სობში მოსახლებულდნენ. ამით აიხსნება 1160 წლის გარეჯული ხელნაწერის ერთ-ერთ მინაწერში სობის კათალიკოსის ბართლომეს მოხსენიება (კალანდია 2006: 35).

ლამბერტი აღნიშნავს, რომ სოფის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერში „ანეუბენ ღვთისმშობლის პერანგს, რომელსაც იქაურები დიდ პატივსა სცემენ“ (ლამბერტი 2011: 138). თვითნებულა მისიის პრეფექტი სამეგრელოში, XVII ს-ის მიხონიერი ჯუხუჟე მარია ძამბი გვამცნობს, რომ მეგრელებს ბევრი რელიკვია აქვთ, „რომლებიც მათ, პირველ ყოვლისა, მიიღეს იმ დროს, როცა აქ ქრისტიანობა ყვაოდა და მათ მთავრებს კავშირი ჰქონდათ კონსტანტინოპოლის იმპერატორებთან, რომლებიც ბევრ რელიკვიას უზღავნიდნენ საჩუქრად. შემდეგ ეს რელიკვიები მათ მიიღეს აგრეთვე ამავე ქალაქის სასულიერო პირთაგან... და ბოლოს რელიკვიები მიიღეს იმ წმიდა მამათაგან, რომელნიც თურქებთან ბევრ რელიკვიას უზღავნიდნენ საჩუქრად. შემდეგ ეს რელიკვიები მათ მიიღეს აგრეთვე ამავე ქალაქის სასულიერო პირთაგან... და ბოლოს რელიკვიები მიიღეს იმ წმიდა მამათაგან, რომელნიც თურქებთან ბევრ რელიკვიას უზღავნიდნენ საჩუქრად. შემდეგ ეს რელიკვიები მათ მიიღეს აგრეთვე ამავე ქალაქის სასულიერო პირთაგან... და ბოლოს რელიკვიები მიიღეს იმ წმიდა მამათაგან, რომელნიც თურქებთან ბევრ რელიკვიას უზღავნიდნენ საჩუქრად.“ (კალანდია 2004: 194).

არქივისკოპოსი, თან ჩამოიტანა ერთი მტკაველის ოდენა ნაჭერი ძელი ჭეშმარიტისა (ფრანგული ფუტის რვა დიუმზე რამდენადმე დიდი) და კვართი, რომელიც, მათი თქმით, ღმრთისმშობელს ეკუთვნოდა. ჩვენს პატრებს იგი უნახავთ. ტილო, რომლისგანაც იგი არის შეკერილი, ყვითელი ფერისაა, აქა-იქ დაჩითულია ყვავილებით და მოქარგულია ნემსით. სიგრძით იგი რვა რომაული მტკაველის ოდენაა, ვანიო კი ოთხისა, აქვს ერთი მტკაველი მოკლე მკლავები და ვიწრო საყელო. მეც მინახავს იგი სობის ეკლესიაში, სადაც ის ინახება აქვე, ძვირფასი ქვებით მოჭკვილ ღუსკუმაში...“ (ბარბარო 1981: 156; შტრ. კალანდია 2004: 193). ეკვართის შესახებ ცნობები გვხვდება რუსი ელჩების – ალექსი იეველესისა და ნიკოფორე ტოლოჩანოვის საანგარიშო აღწერილობაში (1650-1652 წწ.) (ცინცაძე 1969: 52; კალანდია 2004: 194).

სობი/სოფი დასახელებულია სხვა არაერთ ისტორიულ წყაროში. შამადავლა დადიანის წიგნში საკათალიკოსო სარგოს შესახებ, რაც 1470-1474 წწ-ით თარიღდება (გადაუწერიათ XVII ს-ში), მოიხსენიება სოფი (კაკაბაძე I, 1921: 1, 2). ნიკოლოზ სოფელის (წულუკიძის) 1569 წლის „შეწირულების წიგნში“ გვხვდება სობი (იქვე: 20, 21). იმავე დოკუმენტში დასახელებულია „სოფისა ღვთისმშობელი“, ხოლო თვით ეპისკოპოსი ნიკოლოზი, რომელიც სოფელად მოიხსენიება, წერს: „ოდეს სხვა სოფელი იჯდა და მონასტერი იყო, ესე მოგუცეს ჩვენ წულუკიძეს სოფელს ნიკოლოზს, ესე აოხრებული მონასტერი და მამული“ (იქვე: 20).

ლევან III დადიანის (1661-1683 წწ.) 1675 წლით დათარიღებულ შეწირულობის წიგნში აღნიშნულია, რომ ოდიშის მთავარს კათალიკოს დაეთმო ნემსადითისი შეუწირავს „სოფი ორი მოსახლითა“ (კაკაბაძე I, 1921: 76). აქვე გვხვდება „სახლობ“ და „სოფისა ღვთისმშობელი“ (იქვე: 77). 1700 წლის ახლო ხანებში დაწერილ შეწირულობის წიგნში მოიხსენიება სოფის ღვთისმშობელი და მთავარეპისკოპოსი სოფელი ევთიმი ფადავა (იქვე: 84). 1706 წლის სიგელში გვხვდება „სობს სამი მოსახლე ოცი სადადიანო გაჯინედი საარია, მერკვირია გი, ბაბოლქვაძე ბიბია და მისი შვილები“... (იქვე: 91). იმავე დოკუმენტის მიხედვით, „კიდევ ერთი მოსახლე კაცი ჯღერისა ნაყევე კაპაი ხუცობავი და მისი ძმა შარვაშიძისგან სადეო ოცი იყო ჩნი და იმაშიდ წამოიყვანეთ და სობს დავასახლეო“ (იქვე: 92). 1712 წლის გარიგების წიგნში აღნიშნულია, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძეს „ენეზურიდალმი“ ტყვეობიდან დასხნოლი ემა-გლეხები ხიბულასა და სობს დაუსახლებია და სამ-სამი ლოლარიკი სანთლით დაუბერავს (იქვე: 105). XVIII ს. დასაწყისში შედგენილ სობის გლეხთა სანთლის ბეგრის რუსსაში მოიხსენიება „სობის შესავალი და შეწირული სანთელი“ და „სობის ბაბაიკონი ბიგვა“ (იქვე: 115, 116). გრიგოლ კათალიკოსის 1733 წლის გუჯარში გვხვდება ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკლესიისთვის შეწირული „სახოფოთ ბას კონიგაძე სიჭინავი“, „თვითონ სოფს საცხმაროის გი პინიჭკურია და მისი მისწული მახარობელა“, „სახოფო მათის წყლით, ტყით ადგილით და ყოვლისფერით“ და „სოფისა ღვთისმშობელი“ (იქვე: 143-144). 1696-1742 წლებით თარიღდება დოკუმენტი, სადაც ჩამოთვლილია: „სობს ხუტუ კოფუა და გელი მათის ცოლშივითა... იქ კიდევ სობსა მამაგული ბაბადიში და ბიბა მისი... ქ კიდევ [გეგიხერია ჭუჭუ, ახალიკონი...“ (კაკაბაძე I, 1921: 156).

### ცაიში და ზუგდიდი

IV. 6. 1. ცაიში. ოდიშის ორი მნიშვნელოვანი და უძველესი დასახლებული პუნქტის – ცაიშისა და ზუგდიდის მდებარეობას ვახუშტი ასე გადმოგვცემს: „ამ წყალზედ (ჭანისწყალზე – ი. კ.), ჩდილოს კიდესა ზედა და სოფს ხეთი, არს ეკლესია ჩაისს, დიდი, გუნბათიანი, კეთილშენი და შემკული. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამ წყლის სამხრეთის კერძოსი უნაგირამდე და რიონ(ა)-ზღვამდე ამავე მდინარის ჩდილოთ კერძოთ დიდს ველსა ზედა არს ზუგდიდი, სასახლე დადიანთა, დიდშენი და პალატე-ბიანი, ზღუდეგოდლიანი“ (ვახუშტი IV, 1973: 778).

ილორი კეკელია, (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ღვთიური მისიით დატვირთული საქართველო!

ამონარიდი მ. ქართველის  
წიგნებიდან

პატრიარქი ნოედიან 950 წლის შემდეგ ნოქალაქების ინსტიტუტიდან გამოსულმა პატრიარქმა სემმა (სემი=მეგრულ ქართულს), რეფორმა ჩაუტარა ნოეს მიერ დაარსებულ განათლების სისტემის პროგრამას. ბუნებრივია, პატრიარქმა სემმა მეგრული ქართულით დაწერა წმიდა წერილი და განათლების პროგრამა. შესაბამისად, საქართველოსა და მთელ ახლომხარე ტერიტორიაზე აღმსარებლობა და განათლება აღსრულებულია მეგრული ქართულით (სემის ენაზე), პატრიარქი სემი მოღვაწეობდა ჩვენგან უკუ ათვლით 7600 წლის წინ.

ქართული საეკლესიო კალენდარი ქვეყნის დასაბამიდან ანუ სასულიერო განათლების დასაბამად თვის 5604 წელს და მას ამბობს 200 წელს, 5604+2000=7604. სინამდვილეში ესაა უამრავი სხვა ენის მიხედვით მეგრულ ენაზე გადასვლის მომენტი და არა სასულიერო განათლების მიღების დასაწყისის საქართველოში (დედამიწაზე). აი, სად გამოჩნდა ბიბლიური წინასწარმეტყველება: „აიღეს სემმა და იაფეთმა საშისელი, მოისხეს მხრებზე უკუსვლით მივიდნენ და დაფარეს მამის (ნოეს) სიშიშვლე. პირი უკან პქონდათ მიქცეული და მამის სიშიშვლე არ დაუნახავთ“ (დაბ. თავი 9).

პატრიარქი სემის მიერ დაარსებულმა განათლების სისტემის პროგრამამ იარსება 500 წელიწადს, რომელსაც რეფორმა ჩაუტარა პატრიარქმა არფაქშიადმა.

პატრიარქი არფაქშიადის მიერ დაარსებულმა განათლების სისტემის პროგრამამ იარსება 403 წელიწადს, რომელსაც რეფორმა ჩაუტარა პატრიარქმა შალახმა.

პატრიარქი შალახის მიერ დაარსებულმა განათლების სისტემის პროგრამამ იარსება 403 წელიწადს, რომელსაც რეფორმა ჩაუტარა პატრიარქმა ყებერმა.

პატრიარქი ყებერის მიერ დაარსებულმა განათლების სისტემის პროგრამამ იარსება 430 წელიწადს, რომელსაც რეფორმა ჩაუტარა პატრიარქმა ფალეკმა.

პატრიარქი ფალეკის მიერ დაარსებულმა განათლების სისტემის პროგრამამ იარსება 209 წელიწადს, რომელსაც რეფორმა ჩაუტარა პატრიარქმა სერუგმა.

პატრიარქი სერუგის მიერ დაარსებულმა განათლების სისტემის პროგრამამ იარსება 200 წელიწადს, რომელსაც რეფორმა ჩაუტარა პატრიარქმა ნახორმა.

პატრიარქი ნახორის მიერ დაარსებულმა

განათლების სისტემის პროგრამამ იარსება 119 წელიწადს, რომელსაც რეფორმა ჩაუტარა პატრიარქმა თურახმა.

პატრიარქი თურახის მიერ დაარსებულმა განათლების სისტემის პროგრამამ იარსება 205 წელიწადს, რომელსაც რეფორმა ჩაუტარა პატრიარქმა აბრაამმა.

პატრიარქი აბრაამის მიერ დაარსებულმა განათლების სისტემის სასწავლო პროგრამამ იარსება 175 წელიწადს, რომელსაც რეფორმა ჩაუტარა პატრიარქმა ისაკმა.

პატრიარქი ისაკის მიერ დაარსებულმა განათლების სისტემის სასწავლო პროგრამამ იარსება დაახლოებით 120 წელიწადს, რომელსაც რეფორმა ჩაუტარა პატრიარქმა იაკობმა (ისრაელმა).

პატრიარქი იაკობის მიერ დაარსებულმა განათლების სისტემამ სასწავლო პროგრამა იარსება დაახლოებით 120 წელიწადს, რომელსაც რეფორმა ჩაუტარა პატრიარქმა მოსემ.

პატრიარქი იაკობი მოღვაწეობდა ქრისტეშობამდე 1600-1700 წლის წინ. სახარების მიხედვით, პატრიარქმა მოსემ მეორე რჯულის წიგნი დაწერა პატრიარქი აბრაამიდან 430 წლის შემდეგ. პატრიარქი იაკობი არის იგივე მითოლოგიური აიტი (აეტი).

იაკობმა ჩაუყარა საფუძველი მცირეაზიელთა ისრაელსა და იერუსალიმის (ერუსალიმის) სახელმწიფოს არსებობას. მან საქართველოდან ფიზიკური ცენტრი და კაცობრიობის ყურადღება გადაიტანა მცირე აზიაში. ამით მან საქართველო დაიცვა და გადარჩინა ფიზიკური განადგურებისაგან. თანამედროვე მცირე აზიის ისრაელი და იერუსალიმი წარმოადგენს თანამედროვე ევროპული მსოფლიოს იდეოლოგიურ ცენტრს, რომელიც აცდუნებს კაცობრიობას, რომ თითქოს და აბრაამი, ისაკი, მოსე, ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები, იესო ქრისტე, მოციქულები მცირეაზიელი ურია ებრაელები იყვნენ. ანტიმართლმადიდებლებს მართლმადიდებელი წინაპრები ეყოლებოდათ? მათ მართლმადიდებლური ბიბლიის ავტორებად მოაქვთ თავი, სინამდვილეში ისინი მართლმადიდებლობისა და წმიდა ჯვრის დაუძინებელი მტრები არიან, რისთვისაც 2012-2015 წლებში მიიღებენ დღითის სასინელი რისხვას, წმიდა გომოცხადებელი გვეუბნება: „აჰა გადმოგვცემ იმათ სატანის სინაგოგიდან, რომლებიც თავიანთ თავზე ამბობენ იუდეველები ვართო და არ არიან, არამედ ცრუობენ“ (გამოც. 3,9), ხოლო დვთაებრივი პავლე მოციქული გვეუბნება: „დაწერილია რომ

ორი ძე ჰყავდა აბრაამს, ერთი მხეველისაგან და მეორე თავისუფალისაგან, ამაში არის ქარაგმა, ეს არის ორი აღთქმა, ერთი სინაის მთიდან მონობისთვის შობილი, რომელიც არის აგარი, ვინაიდან აგარი არის სინაის მთა არაბეთში და ამჟამინდელ იერუსალიმს შეესაბამება, ვინაიდან ის მონობაშია თავის შეილებთან ერთად, ხოლო ზენა იერუსალიმი (საქართველო) თავისუფალია: „ის ყველა ჩვენგანის დედაა“. (I გალ. 4,22-25).

პატრიარქ იაკობს ანგელოზმა ისრაელი უწოდა, ვინაიდან მან შექმნა მცირეაზიელურათა ისრაელი და იქიდან დაეჭიდა კაცობრიობის უმეტესობას, მაგრამ განათლება, რომელიც მცირეაზიელმა ურიებმა და დანარჩენმა კაცობრიობამ მიიღო. არის კოჭლი (აგარი, მდაბიო), რომელიც ებრძვის ღმერთს, რისთვისაც მას ღმერთი არმაგედონის აპოკალიფსით გაანადგურებს.

ისტორიკოსებისა და თანამედროვე წიგნიერი ქართველებისათვის ცნობილია დასავლეთ საქართველოს მეფის ქუჯი ბაგრატიონისა და აღმოსავლეთ საქართველოს ერისთავის ფარნავაზ ბაგრატიონის ისტორიული შეთანხმება, რომლის შედეგად შეჩერებული იქნა მეგრული ენის (სემი) სულიერი მისია და ეს დვითური მისია გადაეცა მის ბიბლიურ ძმას იაფეთს. შესაბამისად, სასულიერო ცენტრი ნოქალაქიდან (მეორე ბუთელემიდან) გადაიტანეს არაგვისა და მტკვრის შესართავთან არსებულ იბერიის დედაქალაქში, მცხეთას (მირონ(მ) ცხებულ(ც)ხეთას), სადაც შემდეგ ქართველმა არიელმა ქურუმებმა და მეფეებმა ააშენეს წმიდა სუვეტიცხოველი, რომელიც არის მესამე ბუთელემი. თქვენ თვალნათლივ ნახეთ, რომ ქართველები ფლობენ სამება დამწერლობას, სამება ენასა და სამ ბუთელემს, რომელთაც შექმნეს სამი სჯულის წიგნი, წინასწარმეტყველთა წერილები და კაცობრიობას შეუქმნეს დვითური სიტყვით განათლების კეთილი სისტემა. ამიტომ სვეტიცხოველი არის კაცობრიობის (ისრაელის 12 ტომის) სასულიერო ცენტრი. ამინ!

პატრიარქი ადამიდან ათვლით არსებობს შვიდი (7) მთავარი პატრიარქი, რომლებმაც შექმნეს კაცობრიობის სარწმუნოების შვიდი (7) ეკლესია: ადამის ეკლესია (1), ნოეს ეკლესია (2), აბრაამის ეკლესია (3), ისაკის ეკლესია (4), იაკობის ეკლესია (5), მოსეს ეკლესია (6), და ქრისტეს ეკლესია (7), შესაბამისად, სუვეტიცხოველის სახურავის (ნავების) კეხზე დგას ექვსი ეკლესიის მაკეტი, მეშვიდეა თვით ტაძრის

გუმბათი, საიდანაც მრევლს დაჰყურებს კაცობრიობის მსხნელი იესო ქრისტე (მატხოვარი).

ადამის ეკლესიამ კაცობრიობას მისცა 4%-იანი მართლმადიდებლობა და ქრისტიანობა (ცხება).

ნოეს ეკლესიამ კაცობრიობას მისცა 8% -ანი მართლმადიდებლობა და ქრისტიანობა (ცხება).

ნოეს ეკლესიამ კაცობრიობას მისცა 12% -ანი მართლმადიდებლობა და ქრისტიანობა (ცხება).

აბრაამის ეკლესიამ კაცობრიობას მისცა 8% -ანი მართლმადიდებლობა და ქრისტიანობა (ცხება).

ისაკის ეკლესიამ კაცობრიობას მისცა 12% -ანი მართლმადიდებლობა და ქრისტიანობა (ცხება).

იაკობის ეკლესიამ კაცობრიობას მისცა 16% -ანი მართლმადიდებლობა და ქრისტიანობა (ცხება).

მოსეს ეკლესიამ კაცობრიობას მისცა 24% -ანი მართლმადიდებლობა და ქრისტიანობა (ცხება).

იესოს ეკლესიამ კაცობრიობას მისცემს 100% -ანი მართლმადიდებლობა და ქრისტიანობა (ცხება).

სუვეტიცხოველის შიგნით გუმბათის წრეზე აღბეჭდილია თორმეტი (12) ზოლიაქო, ქრისტეს კვართი დაგანებულია წმიდა სუვეტიცხოველში, სუვეტიცხოველი თორმეტი მოციქულის სახელობისაა, ავტომატურად იგი ისრაელის თორმეტი ტომის (კაცობრიობის) მთავარი ტაძარია, სადაც დადგენილ უამრავი ქართულ ენაზე მონათლავს კაცობრიობას. ამინ! კაცობრიობისაგან დაფარული რჩება, რომ არსებობს სამი (3) ისრაელი, ანუ არსებობს კოსმიური ისრაელი – თორმეტი ზოლიაქო (მზით), დედამიწიერი ისრაელი – მთელი კაცობრიობა (სუსტი ცხოველი) და დვითის მოძულე მცირე აზიელთა ისრაელი (ქრისტეს მკვლელი იერუსალიმით), რომელიც აწვალებს კაცობრიობას. ამიტომ გვეუბნება დვთაებრივი პავლე მოციქული: „ამაში არის ქარაგმა, ეს არის ორი აღთქმა, ერთი სინაის მთიდან, მონობისთვის შობილი, რომელიც არის აგარი. ვინაიდან აგარი არის სინაის მთა არაბეთში და ამჟამინდელ იერუსალიმს შეესაბამება. ვინაიდან ის მონობაშია თავის შეილებთან ერთად, ხოლო ზენა იერუსალიმი თავისუფალია: ის ყველა ჩვენთაგანის დედაა“ (გალ. 4, 24-26).

მუმბან ხუმბლაგა, (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## ბუმბაათი რცხილაამ: „ღარიბაშვილო, საქართველოს შენ ვერ მართავ!“



ემზარ კვიციანიდან დაკავშირებული საქმე. გარდა იმისა, რომ მორალურად ამაზრზენია – ასამართლებენ და თან 12 წელიწადს უსჯიან სააკაშვილის რეჟიმთან მებრძოლ ქართველ კაცს, უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ დატვირთვას ატარებს. გასაგებია, რომ დასავლეთის ზეწოლის ქვეშ ბიძინა ივანიშვილმა ხელშეუხებლად დატოვა მიშისტური სასამართლო, თავის კუბლაშვილიანად. ასევე არაფერი უღონია ღარიბაშვილს, ამ მიმართულებით. შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან ემზარ კვიციანისათვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა და საღისტური სასჯელი გაოცებას არ უნდა იწვევდეს, მერაბიშვილი-ახალაიასადმი გამოტანის სასაცილო ვადების ფონზე.

მაგრამ იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული პროკურატურა რატომ არ იშურებს ძალას იმისათვის, რომ კვიციანი გამტყუნდეს და ყველაზე მძიმე ბრალდებები დაუდასტურდეს? სასამართ-

ლოს განსხვავებით, პროკურატურაში ხომ გატარდა მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები? განა ნებისმიერი პროკურორისთვის კვიციანის უდანაშაულობა ცხადი არ არის? ამიტომ, პროკურატურა არღვევს როგორც იურიდიულ ნორმებს, ისე პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური ინტერესების წინააღმდეგ მიდის. ხომ ცხადია, რომ კვიციანის დასჯა, მით უმეტეს, ასეთი მკაცრი დასჯა, ღარიბაშვილის რეიტინგს გაანადგურებს. ეს კი ხდება იმ ფონზე, როდესაც ღარიბაშვილის მთავრობას ღიად დაუპირისპირდა ირაკლი ალასანიას კლანი, ნაცურ „შანტრაბაზსთან“ ერთად, რომელთაც, როგორც ცნობილია, ზურგს დასავლეთის გაგლეჩინანი პოლიტიკოსები და სპეცსამსახურები უმაგრებენ.

შესაბამისად, კვიციანის საქმე არ არის მისი და მისი ოჯახის პრობლემა, ეს არის დიდი პოლიტიკური პრობლემა, რომელიც თავად ღარიბაშვილმა უნდა გადაწყვიტოს. ფაქტობრივად, ღარიბაშვილს უთხრეს: „შენ ვერ მართავ საქართველოს!“

ჩვენი ღრმა რწმენით, პრემიერ-მინისტრმა მძლავრად უნდა დაჰკრას ხელი ნაცურ ქვეწარმავალს და ხერხემალში გადატეხოს იგი. დღეს სახლი დიდი ენთუზიაზმითაა მოცული და გაჰყვება პრემიერ-მინისტრს, თუკი იგი აღიარებს, რომ ქვეყანაში ადგილი აქვს პოლიტიკურ კრიზისს და ამ კრიზისის გადასაწყვეტად აუცილებელია რეგარუმე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება და პოლიტიკური სისტემის ძირეული ცვლა. დღეს ღარიბაშვილის პოპულარობა ეჭვს არ იწვევს. დღეს. ხვალ და ზეგ, შეიძლება, გვიანი აღმოჩნდეს.

ბუმბაათი რცხილაამ, ვერაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი სამინფორმის

## ბურჟა ქათმაკათ...

მითინი ვაპუნა მარგალემც ნამარგალეფიში უმოსი ნტერე! ათენემც ვაშუნა მუთუნე! ათენემც ბოლიში, მარა კუნხემც გილაბუნა მარგალური ნინა! მარგალური იდენტობა! იჩიებუნა დინასია უკული! ვარა სოვრე მოიღუნანია დინუნი თინა! მუდგა უწი ათენემც! ვაგაგინენა დო ვართოკონა გეგანინი! ათენა რე ტრაგედია დო მუზმანხანც ათაში! ბორჯი ირთანც! ნინა დინუ! ნინანაში დინაფა კათაში დინაფა რე! მარა, ართ დო ჟირი კოჩიში გარდა მითინც ვანარდ ენა! ახავაი, სქანი ცოდა მარგალონა! ახავაი, მუჭო მედინ კოლხეთიში დიდებუნობაქ! ახავაი, ბუაში სქუალეფი ვორეთია დო მუჭო რე გეგნიბჯიშითუნი! ახავაი, შაგრენიში ტყებცალო დაჭიჭარებული კოლხა-ლაზონა-მარგალონა! ახავაი, ჩქიმი უმინჯური ოდაბადადე! მუქ მალღეს დო მუშენი გინიფრთით ათეჯგუა გილარდეთ! სო დინ ჩქინი გაღიერობაქ დო სორე ჩქინი გურგონამა! ვარა მურე ეზმა დორულაფა! გოკურცხი მარგალი! ხოლო რე შანსი გინოსქილადაში დო გოკურცხი სი სარალო! გოკურცხი დო ვემიდინუა დუდი! გოჭყოლაღირი გაფ დო ქიგიშინი ბუაში სქუა რექუნე! ქიგიშინი მურიცხეფიში მუკანატყეცა რექუნე! ქიგიშინი დორონთიში ნაქიმინა რექ დო სი ხოლო გიღუ უფლება ჟინიერიში ჭყოლოფუათ ირიათონო ორდენი! ვემედინა მარგალი!!!

ზურაბ კვარაცხელია, ზუგდიდი

# ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი



სამებრელოს „მთავრინა“ ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი

ჭავჭავაძეთა ბრწყინვალე საგვარეულომ არაერთი გამორჩეული მოღვაწე მისცა საქართველოს. მათ შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკუთვნის ეკატერინე ჭავჭავაძეს, ცნობილი ქართველი პოეტისა და დიდი მამულიშვილის, XIX ს. I ნახევრის ქართული პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის აღიარებული ლიდერის ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულს, ოდიშის მთავრის დავით დადიანის თანამეცხეურს.

სამეგრელოს მომავალი დედოფალი დაიბადა 1816 წ. 19 მარტს თბილისში. სახელი - ეკატერინე - მამამ მას თავისი დიდი ნათლის რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-ის პატივსაცემად დაარქვა. ალექსანდრე ჭავჭავაძისა და სალომე ორბელიანის ოჯახი, სალონები თბილისსა და წინანდალში იმდროინდელი საქართველოს უპირველესი კულტურულ-საგანმანათლებლებული ცენტრი იყო, სადაც თავს იყრიდა ქართული არისტოკრატისა და რუსთა სამხედრო და სამოქალაქო ახალშენის (იონა მეუნარგია) საუკეთესო წარმომადგენლები, სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული საპატიო სტუმრები. ასეთ ინტელიგენტურ გარემოში მიიღო პირველადი განათლება პატარა ეკატერინემ, რომელსაც თანამედროვეთა (ნ. მურავიოვი) დაკვირვებით იმთავითვე ეტყობოდა სადედოფლო ამბიციები. განსწავლა ეკატერინემ გააგრძელა პრასკოვია არსენიევა-ახვერდოვას პანსიონში, სადაც მან ფართო ევროპული განათლება მიიღო. სწორედ ამ პანსიონში გაეცნო ის თავის მომავალ მეუღლეს - ოდიშის მთავრის მემკვიდრეს - დავით დადიანს.

მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის უღამაზეს ასულზე არაერთი ახალგაზრდა იყო შეყვარებული, მათ შორის, ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელმაც თავის გულის სატრფოს რამდენიმე პოეტური შედევრი უძღვნა, პატივმოყვარე ეკატერინემ სამეგრელოს დედოფლობა არჩია. 1839 წ. 18 მაისს ქაშვეთში შედგა დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ჯვრისწყობა, რის შემდეგ ახლადგვარდაღვირვებულმა სამთავროს მიაშურეს, სადაც დაიწყო მამის ტახტი ელოდა. 1840 წ. მაისში იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა დააკმაყოფილა სამეგრელოს მთავრის ლევან V დადიანის თხოვნა გადადგომის თაობაზე და სამთავროს მართვა მემკვიდრე-მმართველის სტატუსით დავით დადიანს დააუ-

ალა. ეკატერინე დადიანი შესანიშნავად მიერგო დედოფლის ამპლუას და დიდი ენთუზიაზმით შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. მართალია, ორი მცირეწლოვანი შვილის დაკარგვამ (მოგვიანებით მას კიდევ ერთი შვილი - 10 წლის თამარიც დაეღუპა) სერიოზული დარტყმა მიაყენა ეკატერინეს, მაგრამ ის მაინც სულიერად არ გატყდა და უწინდელი მონღოლობით ამოუდგა მხარში მეუღლეს თავის აღმშენებლობით საქმიანობაში.

ეკატერინე იყო დავით დადიანის ყველა რეფორმატული წამოწყების თანამოაზრე და აქტიური მხარდამჭერი. უშუალოდ დედოფლის ინიციატივით ზუგდიდში გაიხსნა აბრეშუმსახვევი საწარმო. ეკატერინე დადიანის პირადი შრომისა და მეცადინეობის ნაყოფია ზუგდიდის სამთავრო სახლი... უმშვენიერესი ბაღი, რომლის ბაღდალი, იონა მეუნარგის თქმით, "მთელს ამიერკავკასიაშიც" არ იყო (ი. მეუნარგია, დავით დადიანი და მისი დრო. თბ., 2002, გვ. 98). 1853 წ. 30 აგვისტოს დადიანთა საზაფხულო რეზიდენციაში - გორდის სასახლეში გარდაიცვალა დავით დადიანი. სამეგრელოს მთავრად ოფიციალურად მცირეწლოვანი ნიკო დადიანი გამოცხადდა, რომელსაც რეგენტად დედა - ეკატერინე დადიანი დაუნიშნეს. ამ დროიდან სამთავროს მართვის მთელი სიმძიმე დედოფალს დააწვა.

ეს იყო მეტად მძიმე მისია, ვინაიდან სამეგრელოს იმ პერიოდში დიდმა ქართველებმა გადაუარა. 1855 წ. ოქტომბერში აფხაზეთიდან ოდიშში ომერ-ფაშას სარდლობით ოსმალთა მრავალათასიანი ლაშქარი შემოიჭრა და ზუგდიდი დაიკავა. კრიტიკულ სიტუაციაში დედოფალი სულაც არ მისცემია სასოწარკვეთილებას. მან, მიუხედავად იმისა, რომ მისგან რუსეთის არმიის სარდლობა კატეგორიულად მოითხოვდა რეგიონის დატოვებას, მოიკრიბა ძალ-ღონე და უშუალოდ ჩაუდგა სამთავროში წინააღმდეგობის მოძრაობას სამეგრელოში. ლეგენდები დადიოდა მამაცი დედოფლის გამირულ შემართებაზე და



სალომე დადიანი და მისი მეუღლე პრინცი აშილ მიშრათი

თავდადებაზე. ის პირადი მაგალითით მხნეობას მატებდა თავის ქვეშევრდომებს და განაწობდა მათ მომხდურთაგან მშობლიური მიწა-წყლის დაცვისაკენ. ერთ-ერთი ცნობით, მას ჯერ კიდევ რუხის ბრძოლის (1855 წ. 25 ოქტომბერი) წინ მიუძღროს თავს რუსული ჯარის სარდლობისათვის

შემდეგი სიტყვებით: "მე მზად ვარ თურქების წინააღმდეგ ოპერაცია დავიწყო. თქვენს ბრძანებას ველოდები, მაგრამ თუ არ დამეხმარებით, მაშინ არმიას მე თვით



სალომე დადიანისა და პრინცი აშილ მიშრათის სასახლე კაპლუაში

ონ გაეუძღვები. ან ჩემს მხარეს მტრისაგან გაგანათავისუფლებ ან ბრძოლაში მოგკვები. ჩვენი სამშობლოსათვის მშვიდად დაიხოცებით" (იხ. ეკატერინე ჭავჭავაძე - ჭავჭავაძეების ოჯახი).

არანაკლებ შთაბეჭდავია ის შეფასება, რომელიც სამეგრელოს დედოფლის მოქმედებებს მისცა ცნობილმა რუსმა მოხელემ, იმჟამად ეკატერინე დადიანის შვილების აღმზრდელმა კორნელი ბოროზდინმა „ეკატერინე თვითონ მეგრულთა მილიციას გაუძღვა და მონაწილეობა მიიღო რამდენსამე პარტიზანულ ლაშქრობაში ოსმალების წინააღმდეგ. ნაბაღი ჰქონდა მოსხმულ, თავი ყაბალახით წაკრული, ...ცხენზე შემჯდარი მტრის ტყვიას უშვერდა გულს და მისი ზუზუნნი ხშირად ესმოდა“ (კ. ბოროზდინი. სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოკლებანი. თარგმანი თ. სახოკიას მიერ. სახელგამო, 1934, გვ. 67). ეკატერინე დადიანმა კატეგორიულად არ მიიღო ომერ-ფაშას ორგზის შემოთავაზება, გადასულიყო ოსმალეთის მხარეზე, აღედგინა სრული დამოუკიდებლობა სამეგრელოსი და დაებრუნებინა "ძველებური მართვა-გამგობა" (კ. ბოროზდინი. სამეგრელო და სვანეთი... გვ. 26-27). მან ასევე უპასუხოდ დატოვა ანალოგიური წინადადებების შემცველი ფრანგი და ინგლისელი რეზიდენტების წერილები (კ. ბოროზდინი. სამეგრელო... გვ. 31-33).

რუსეთის ხელისუფლებამ სათანადოდ დააფასა სამეგრელოს დედოფლის თავდადება და დასავლეთ საქართველოში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის ის წმინდა გიორგის ჯვრით დააჯილდოვა. აღსანიშნავია, რომ ეკატერინე დადიანი იყო პირველი ქალი რუსეთის იმპერიაში, რომელმაც ასეთი მაღალი ჯილდო დაიმსახურა (ბ. ხორავა, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია. თბ., 2001, გვ. 75). მიუხედავად ამისა, პეტერბურგში არ ჩათვალეს მიზანშეწონილად ეკატერინე დადიანის სამეგრელოში დატოვება და ის ახალი იმპერატორის კორონაციაში მონაწილეობის მიღების საბაბით შეიღებოდა ერთად რუსეთში იხმეს, ხოლო უტუ მიქავას აჯანყების ჩახშობის შემდეგ (1857 წ.), მას სამთავროს მართვის უფლება ჩამოართვეს და სამეგრელოში (დროებით,

ნიკო დადიანის სრულწლოვანებამდე) უშუალოდ რუსული მმართველობა შემოიღეს. ამ დროიდან ვიდრე 1867 წლამდე, როდესაც იმპერიის ხელისუფლებამ საბოლოოდ

უარი ათქმევინა სამთავრო ტახტზე ნიკო დადიანს და სამეგრელოს სამთავრო ოფიციალურად გააუქმა, ეკატერინე დადიანი ერთი პერიოდი პეტერბურგში ცხოვრობდა. იმპერატორის განკარგულებით მას ცარსკოე სელოში პეტრე ბაგრატიონის ნაქონი მამულის ერთ-ერთ ნაწილში საზაფხულო აგარაკიც გამოუყო. სწორედ აქ ეწვია მას 1858 წელს იმჟამად პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ილია ჭავჭავაძე, რომელსაც დედოფალმა თავისი სიყრმის მეგობრის ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების კრებულის ხელნაწერი გადასცა.

XIX ს. 60-იან წლების დიდი ნაწილი ეკატერინე ჭავჭავაძემ შვილებთან ერთად პარიზში გაატარა, სადაც ის თვით იმპერატორმა ნაპოლეონ III და მისმა მეუღლემ, დედოფალმა ევგენია მონტიხომ მიიწვიეს (ბ. ხორავა, დადიანთა სამთავრო სახლის... გვ. 76). საფრანგეთის საიმპერატორო ოჯახთან დაახლოება დინასტიურ-ნათესაურ კავშირში გადაიზარდა. 1868 წელს სამეფო სასახლის ეკლესიაში იმპერატორ ნაპოლეონ III-ის დასტურით შედგა საიმპერატორო სახლის წვერის, ნაპოლეონ ბონაპარტეს დისა და მის მიერ ნეაპოლის მეფედ დასმულ მარშალ იოახიმ მიურატის შეილიშვილის, პრინცი აშილ (საქართველოში - არჩილ) მიურატის ჯვრისწყობის ცერემონიალი, რის შემდეგ სახეიმო მიღება ლუვრის სასახლეში გაიმართა. პრუსიისთან განცდილი კატანტროფისა და ნაპოლეონ III-ის დამხობის შემდეგ ეკატერინე დადიანი შეიღებოდა და დევნილ სიძესთან ერთად საქართველოში დაბრუნდა და ცხოვრების უკანასკნელი წლები "თითქმის ნიადაგ სამეგრელოში" გაატარა (ი. მეუნარგია, დავით დადიანი... გვ. 108). აქვე გარდაიცვალა ის 1882 წ. 13 აგვისტოს.

ასე დასრულდა ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის, უკანასკნელი ქართველი დედოფლის, თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწის, თავისი ქვეყნის გულანთებული პატრიოტის, ქართული მწერლობის დიდი მოამავის, მეცნაბისა და ქველმოქმედის უაღრესად შინაარსიანი და მშფოთვარე ცხოვრება. ის დაკრძალულია მარტვილის ტაძარში, მეუღლის დავით დადიანის გვერდით.

ზ. პაპასკირი

13 დეკემბერს შესრულდება 40 დღე რაც ჩვენს შორის არ არის, ეროვნული მოძრაობის უზუცესი წევრი, საქართველოს "ველსინკის კავშირის" წევრი. აბაშის საპატიო მოქალაქე 2013 წლიდან, ჩვენი უსაყვარლესი "რეზო ბიბია". რეზო ალანია დაიბადა აბაშის რაიონის სოფელ ნაესაკოში. ჯერ სრულად მცირეწლოვანს მაშინდელმა რეჟიმმა წაართვა მამა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რეპრესირებულ ოჯახში გაზრდილ ახალგაზრდა კაცს ცხოვრებაში რამდენი წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა, მაგრამ სულით და ხორციტ ქართველმა შეძლო არ დაეკარგა სიყვარული მოძებთა მიმართ, არ გაბოროტებულა და არ შეუპყრია სიძულვილს. სულის დასამშვიდებლად ხელი მიყო მებაღეობას. რაიონში მას თვითნასწავლ

აგრონომ-დეკორატორს ეახდნენ. მცნობით და დაკალმებით გამოყავდა ყვავილების ახალი ჯიშები, რომელთაც უსასყიდლოდ ურიგებდა ეკლესია-მონასტრებს. მის ეზოში ხარობს უოშვიათესი ჯიშის მცენარეები, თვით ურთხელიც კი. კონკურსში "ჩვენი ეზო" რეზო ალანიას ეზო-ბაღმა პირველი ადგილი დაიკავა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაშენდა დეკორატიული მცენარეები აბაშის ცენტრალურ პარკში. და როდესაც 2013 წელს ეროვნული ძალების მოთხოვნით ამ პარკს ეროვნული გმირების ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავას დაბადებიდან 75 წლისთავთან დაკავშირებით "ზვიადის და მერაბის" სახელი დაერქვა - "რამაზის სიკვდილის შემდეგ ასე თუ რამე გამიხარდებოდა არ მეგონათ" - განაცხადა მან.

რამაზი მისი უმცროსი შვილი, აბაშის რაიონში ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი საქართველოს "ველსინკის კავშირის" წევრი, შეეწირა მმთავრეულ ომს. მან საკუთარ სახლთან, საკუთარი მამის ხელში დალია სული. ვერც შვილის დაღუპვამ ვერც მეორე შვილის, ეროვნული გვარდის წევრის უღადიმერ ალანიას დაპატიმრებამ ვერ გატეხა მისი უღრმე სული და ის ბოლო ამოსუთქვამდე ერთგული დარჩა ეროვნული მოძრაობისა. დმერთმა ნათელში ამყოფოს მის სული! დიდი სიყვარულით და მონატრებით თანამებრძოლები ეროვნული მოძრაობიდან, პატივისცემით ვახტანგ კიკელია

# რა იყო საქართველოს დედაქალაქი?

## კლათონას ღუქანი, ზემელი, დამკალი, ღვინის აღმართი და ნარიყალა – თბილისის ისტორიული სინამდვილე



ვაგრძელებთ “ამბები.გე“-ს კვირის თემის – “თბილისი: ინფრასტრუქტურა და არქიტექტურა” ფარგლებში მომზადებულ მორიგ სტატიას, რომელიც თბილისის უბნების სახელწოდებებს, მათ ისტორიასა და განვითარებას ეხება, რამაც მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია.

### ელია

ელია – თბილისის ერთ-ერთი ძველი უბანია, რომელიც მახათის მთის ფარდობზე მდებარეობს, ელენე ახვლედიანის ხევის მარჯვენა მხარეს, რკინიგზის აღმოსავლეთით. სახელი ეწოდა ელია წინასწარმეტყველის ეკლესიისაგან (წყაროებში პირველად 1654 წელს არის მოხსენიებული), რომელიც მახათის მთაზე იდგა. აქ საეკლესიო დღესასწაული – ელიაობა იმართებოდა. ელიას გორაზე აღმართულია წმინდა სამების საკათედრო ტაძარი, ხოლო მახათაზე შენდება წმინდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის სამონასტრო კომპლექსი.

### სან-ზონა

სან-ზონა – თბილისში მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ნაძვლადეგსა და თემქას შორის არსებული უბანია. იწყება გურამიშვილის გამზირის 30/31 ნომრის შემდეგ და მთავრდება მეტრო “სარაჯიშვილთან”.

სან-ზონას, იგივე სანიტარული ზონა ეს სახელი განსაკუთრებული მიკროკლიმატის გამო შეერქვა. იქ უწინ ხეხილის ბაღები ყოფილა გაშენებული.

ამ დასახლების გაჩენამდე, სან-ზონის ტერიტორიაზე განლაგებული იყო წყლის ორი დიდი რეზერვუარი, რომელიც უზრუნველყოფდა ქალაქის წყალმომარაგებას. სან-ზონაში წყალი ნატახტრიდან მოდიოდა და რეზერვუარები მკაცრად კონტროლდებოდა მილიციელების მიერ – ამან განაპირობა მისი სახელწოდება, “სან-ზონა” ანუ “სანიტარული ზონა”.

სან-ზონის დასახლება ჩაღრმავებულ ადგილას, ღრმადელის ხევიში 1920-იან წლებში გაივრცო. უბანი ეთნიკურად მრავალფეროვანი იყო, ქართველებთან ერთად, იქ შეხვდებოდით: აზერბაიჯანელებს, დუხაბორებს, მაღაკნებს, გერმანელებსა და ჩეხებს. დაუსახლებელ ტერიტორიებზე კი გაშენებ-

ული იყო ხე-ხილის ბაღები, რომელსაც მუდმივად სჭირდებოდა მუშახელი, მოშახელი კი იქ დასახლებას ამჯობინებდნენ. 50-60-იან წლებში რეზერვუარები გაუქმდა და მაშინდელმა მთავრობამ თავისუფალი მიწების დანაწილება კორპუსების ასაშენებლად დაიწყო და 60-იან წლებში კორპუსების აქტიური მშენებლობა გაჩაღდა. იმ დროში ამ უბანს “სან-ზონის დასახლება” ეძახდნენ, სადაც დიდი ქვაფენილიანი გზა გადიოდა, რომელსაც ავჭალის გზატკეცილი ერქვა (დღევანდელი გურამიშვილის გამზირი). 50-იან წლებში ამ გზატკეცილზე მუშაობა დაიწყო ტრამვაიმ, რომელიც ჯერ დიდუბიდან “მე-8 საავადმყოფომდე” შემდეგ კი დიდუბიდან ავჭალამდე მოძრაობდა.

სან-ზონის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწილია “კლათონას ღუქანი”, რომელმაც სახელი 50-იან წლებში გაითქვა, სან-ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო ღუქანი, სადაც სტუმრობა ადამიანებს უკვარდათ, – ხალხს დიდ დახმარებას უწევდა. ამ ღუქნის მიმდებარე ტერიტორია მერე “კლათონას ღუქანი” დაერქვა.

### ზემელი

ზემელი – თბილისში რუსთაველის სახელობის მოედნის ერთ-ერთი კუთხის ადრინდელი სახელწოდება; შეერქვა აქ მდგარი აფთიაქის მიხედვით, რომელიც პროვიზორ-აფთიაქარ ევგენი ზემელს ეკუთვნოდა. სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებით, XX საუკუნის 30-იან წლებში აფთიაქი აიღეს. ამჟამად მოედნის მიმდებარე უბანს არაოფიციალურად ზემელს უწოდებენ.

### დამკალი

დამკალი – დამკალის ხევი, ანუ დამკალის დასახლება, ეს არის უბანი თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში (ემიჯნება სამგორს).

სახელწოდება უკავშირდება ადრე აქ არსებული პირუტყვის სასაკლაოების გამო გამოწვევულ ანტისანიტარიას. აქედან მოდის ამ ადგილის სხვა სახელწოდებებიც: ბოინის ხევი, სასაკლაოს ხევი. სასაკლაოს გაუქმების შემდეგ, აქ ერთ დროს ბოსტნები იყო.

### სირაჯხანა

სირაჯხანა (სპარს. “სირაჯი”/“სირაჯი”, “მედიონი”, + “ხანა”/“ხანი”, “სახლი”), ღვინითა და არყით მოვაჭრეთა რიგები ძველ თბილისში.

განარჩევდნენ პატარა და დიდ სირაჯხანას, რომლებიც მტკვრის მოპირდაპირე ნაპირზე იყო განლაგებული. პატარა სირაჯხანა მარჯვენა ნაპირზე, კალაში, თათრის მოედნის (ახლანდ. გორგასლის) სიახლოვეს მდებარეობდა. შემდგომში ეს ქუჩა გაქრა შუაბაზრის (დღევანდელი ლესელიძის ქუჩა) რეკონსტრუქციისას. ამ ადგილზე ახლა სკვერია (“სემინარიის სკვერი”), ლესელიძისა და სიონის ქუჩების შესაყართან.

### ლალი ფაცია

დიდი სირაჯხანა მტკვრის მარცხენა ნაპირზე გრძელ მოხვეულ აღმართს გასდევდა, რომელიც ძველი მეტეხის ხიდთან იწყებოდა და ავლაბრის გალავნის ქვემოთ, კლდის ძირს მიჰყვებოდა. შემდგომში ამ აღმართს “ღვინის აღმართი” ეწოდა. აქ განლაგებული ღუქნები და სარდაფები კახეთიდან ურმებით ნამოტანილი ღვინით მარაგდებოდა. აქვე იყო ძველი თბილისის უმთავრესი ღვინის ბაზარი და ქალაქის ბოჰემური ცხოვრების ერთ-ერთი ცენტრი.

### ნარიყალა

ნარიყალა – (სპარს. ნარინყალა – ციტადელი, შიდაციხე) უძველესი დროის ციხესიმაგრე, რომელიც თბილისისა და მდინარე მტკვარს გადაკვეთებს. თბილისის ციხის – კალას გვიანდელი სახელწოდებაა. წყაროებში პირველად მოხსენიებულია 1772 წელს გერმანელი მოგზაურ იოჰან გიულდენშტედტთან. ციხესიმაგრე გალავნის ორი სექციისგან შედგება, რომელიც ციხაბო ამდღელებზე მდებარეობს გოგირდის აბანოებსა და ბოტანიკურ ბაღს შორის. ნარიყალას ქვემო ეზოში ახლად აღდგენილი წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია და მცირე კაფე მდებარეობს.

ციხესიმაგრე IV საუკუნეში დაფუძნდა როგორც “შურის ციხე”. VII საუკუნეში და მოგვიანებით დავით აღმაშენებლის მიერ (1089-1125 წლები) მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მოგვიანებით შემოსულმა მონღოლებმა მას “ნარინ ქალა” (“მცირე ციხესიმაგრე”) დაარქვეს. დღემდე მოღწეული ძირითადი გამაგრებები XVI და XVII საუკუნეებით თარიღდება. 1827 წელს ციხის გალავნის დიდი ნაწილი მიწისძვრამ დააზიანა და დაანგრია.

ციხესიმაგრე რთული სისტემის თავდაცვითი ნაგებობა იყო, მტკიცე კედლებით, კოშკებითა და ბასტიონებით გამაგებული, მწვლად მისადგომი და ასაღები. ადრეული მშენებლობის ნაშთები დღესაც არის შემორჩენილი ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მდგომი კოშკის კედლებში, თლილი ქვის კვადრატების სახით.

XVII საუკუნემდე ციხის შიგნით ტერიტორიაზე, შემოსასვლელ გვირაბთან განლაგებული ყოფილა “მეფის სასახლე”. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801 წელი) დედაციხემ დაკარგა ადრინდელი მნიშვნელობა, რის გამოც იქ განთავსდა რუსის ჯარის ტყვიანობის საწყობი. კერძოდ კი, წმინდა ნიკოლოზის ტაძარში ყოფილა განთავსებული, რომელიც 1847 წელს მეხის დაცემის შემდეგ აფეთქდა.

ნარიყალას ციხე ისტორიულ ძეგლთა შორის ერთ-ერთ უძველეს ციხესიმაგრედ არის მიჩნეული. მას მუდმივად სტუმრობს უამრავი სტუმარი და მნახველთა შორის დიდ ინტერესს იწვევს. ნარიყალა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული ძეგლია.

### ჰოეზიის კუთხე

#### ნუ ენდობი

#### პროვოკატორს!

თქმული მომე უკრაინელთა გასაგონად

გამპირია და სისხლს ნატრობს,  
მიყვიდა ორ დიდ ბატონს;  
ნუ ენდობით პროვოკატორს,  
მოსულია საღალატოდ!  
რომ შვილები უკლას იმან!

ვინც გვიგზავნის ინკვიზიტორს,  
იმ მოკლულთა ცოდვა ზიდოს,  
სატანური „მოძღვრებითა“  
რომ აწამა ცოცხებითა...  
და დღეს ძველ ჰანგს უკრავს იმად,  
რომ დაემხოს უკრაინა!

ქარბდას და სკილას შორის,  
ამერიკა-რუსეთს შორის,  
დოლარის და რუბლის შოვნით  
დააყენა სუნი შმორის!  
...ხალხს რაც ჩვენთან უქნა იმან,  
ნუმც გარდახდეს უკრაინას!

თითქმის ისე, როგორც მაშინ, –  
ჩვენთან, დალის ხეობაში, –  
ქვეყნის „მსხენლად“ მოგვევლინათ,  
რომ დაეღო თქვენთან ბინა...  
რადგან მიხოს –  
ფლიდს და ღადოს,  
მსხვერპლი სურს და  
კვლავ სისხლს ნატრობს!

ვინც ჩავგვიხლდა,  
ვინც თავს გვეჭრიდა,  
მოვიშორეთ ჭიყვალყითა,  
მაინც შეძლო ამოყვინთვა  
და დღეს თქვენგან  
ამბობს „ჭიტას“...

თანაც ახლავს გუნდად იმას,  
ვინც დალატობს უკრაინას...  
ზარს ვარისხებთ, უკრაინავ,  
ჭური გვიგდვ უკრაინავ,  
ვიდრე დღე შლის უკრაინას,  
გამოფხიზლდი, უკრაინავ!

### შიძრი მეორედ მოსვლაზე

მეუღლის – მაკას ხსოვნას

უკვე წარსოცა,  
რაც გემოსა ხორცად,  
მაინც შერჩი ლოცვად  
აბორგებულ სულს;  
ნერვები სულ მოცვდა,  
ვედარ ვუძლებ მოცდას,  
არა, არ წამომცდა:  
– შენთან ყოფნა მსურს!  
გზა-გზა კითხვა დამსდევს:  
ვიდრე დავიბადეთ,  
რაც ვიყავით მანამ,  
ანდა უფრო ადრე,  
ის ვიქნებით განა,  
როცა მოვალთ კვლავ და  
გამომიწვიდ მკლავს?  
შეწვევითა დეთისა,  
თუ დაგბრუნდით ისევ,  
რომ ვერ მიცნო მყისვე,  
ამის ფიქრი მკლავს!

ალექსანდრე შენბელია

## მდიდარმა მამამ შვილი სოფელში გაგზავნა და ამაღნი ბიჭის ცხოვრებას სამუდამოდ შეცვალა



ერთხელ მდიდარმა კაცმა შვილი სოფელში გაგზავნა, ერთ ღარიბ ოჯახში, რომ მას ენახა, რა არის სიღარიბე და მეტად დაეფასებინა მამის სახლში შეძლებული და უზრუნველი ცხოვრება. მან იქ სამი დღე გაატარა და როცა შინ დაბრუნდა, მამასთან შემდეგი დიალოგი შედგა:

მამამ ჰკითხა: “აბა, როგორი იყო იქ?”  
ბიჭმა უპასუხა: “მომეწონა!”  
“რით განსხვავდება ჩვენი სახლისგან?”  
“ო, სხვაობა ბევრია! – აღტაცებით წამოიძახა ბიჭმა. – ჩვენ ერთი ძალი გვყავს, მათ – ოთხი. ჩვენს აუზში სულ სუფთავდება წყალი, მათ კი ძალიან დიდი გუბურა აქვთ, სუფთა და კამკამა წყლით, რომელშიც თევზებიც კი ცხოვრობენ. ჩვენი ბაღი ღამ-პიონებით ნათდება, მათ მინდვრებს კი ღამ-ღამობით მთვარე და ვარსკვლავები ანათებს. ჩვენი ბაღი გალავნით არის შემოსაზღვრული, მათი კი უკიდევანოა, თითქოს ჰორიზონტამდე გადაჭიმული. ჩვენ სახლში მუსიკას კომპაქტ-დისკებზე ვუსმენთ, ისინი კი ჩიტების გალობას და ბუნების სხვა საამურ ხმებს უსმენენ. ჩვენი სახლი სულ კედლებითაა შემოგარსული, მათ კი მუდამ უხარიათ სტუმარი, ამიტომ სახლის კარი ყოველთვის ღია აქვთ. ქალაქში ერთმანეთს მობილურები და კომპიუტერები

გვაკავშირებენ, იქ კი ადამიანები ერთმანეთთან და ბუნებასთან მჭიდრო კავშირში არიან”.

მამა ძალიან გააოცა ვაჟის სიტყვებმა.

“მამა, მაღლობა, რომ მომეცი საშუალება გამეგო, როგორი ღარიბები ვართ სინამდვილეში”, – უთხრა ბოლოს.

ჩვენი სიცოცხლე, ბედნიერება და ბუნება ჩვენ გარშემო – აი, რის ყიდვაც არ შეიძლება ფულით. არადა, ნივთები, რომლებიც ფულით ყიდვაც შეიძლება, გაცილებით ფასეულად მიიჩნევა, ვიდრე ისინი, რომელთაც ვერანაირი ფულით ვერ იყიდო?

როცა იწყებ ადამიანების დაფასებას შენ გარშემო და იმისა, რაც გაქვს, აღარ მისდევ ფუჭ სიმდიდრეს, რადგან ხვდები, რომ შენ ყველაფერი გაქვს, რაც საჭიროა... როცა ადამიანი მდიდრდება, სულ უფრო სწყდება მეგობრებს, ოჯახს და ბუნებას. მეტი და მეტი უნდა მხოლოდ იმიტომ, რომ ვეღარ კმაყოფილდები იმით, რაც აქვს...

დიდი ბაკური ქართული ასომთავრული დამწერლობის უძველესი

ჯარის მიერ საიმპერატორო ტახტზე დასმულმა იოვიანემ (363-364 წწ.) სპარსელებთან დადო ე.წ. «სამარცხენო ხავი», რომელიც საკმაოდ მძიმე იყო რომის იმპერიისათვის. მართალია, ეს სახავო ხელშეკრულება არათუ ქართლის, არამედ მისი სამხრეთელი მეზობლის – სომხეთის საშინაო საქმეებში ჩარევის უფლებასაც არ აძლევდა სპარსულ მხარეს, მაგრამ მიღწეული წარმატებით გათამამებულმა სპარსეთის შაჰმა – შაპურ II-მ (309-379 წწ.) ძალიან მალევე დაარღვია ზავის აღნიშნული პირობა. საფიქრებელია, რომ ქართლის მეფე «მერებანისი» (ე.წ. რეჟიმერვან მირიანის ძე) 361 წელსა და 363 წლის 26 ივნისს შორის არსებულ დროის მონაკვეთში გარდაიცვალა. სამეფო ტახტზე იმ, როგორც ჩანს, მისმა უმცროსმა ძმამ – ბაკურმა შეცვალა, რომელსაც «მერებანისი» ქვრივი სალომე და მისი ვაჟი – თრდატი (საურმაგო) დაუპირისპირდნენ. საბოლოოდ, სპარსელთა მხარდაჭერით ბედის სასწორი ბაკურის სასარგებლოდ გადაიხარა. სპარსეთთან ომში დამარცხებული და «სამარცხენო ხავით» ხელფესვერული რომაელები იმ ეტაპზე იძულებული იყვნენ შეგვეუბოდნენ ქართლში სპარსელთა ვაჟორიტის მეფობის ფაქტს. რაც შეეხება ბაკურ მირიანის ძეს, მას სამეფო ტახტი 368 წლამდე უნდა სჭკროდა.

აღნიშნული სამეფო საგვარეულოში ენდოგამიური მოვლების წესის არსებობის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია. ამის ფონზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უფროსი ბუზშირიც იმავე საგვარეულოს ეკუთვნოდა. შესაძლოა, დიდი ბაკურის მხრიდან მეფე ბაკურ I-თან სენიონის ფაქტიც არ იყოს შემთხვევითი და იმ ტრადიციიდან გამომდინარე, რომ წინაპრის (პაპის) სახელი ყველაზე უფრო დიდი სისშირით შვილიშვილთა წრეში მორღებოდა ხოლმე (ასეა ეს, სხვათა შორის, ჩვენს დროშიც – ბ.ხ.), საურმაგო მეფის მეუღლედ და დიდი ბაკურის მშობელ მეუღლედ მეფე ბაკურ I-ის ასული ვიგულთა (აღნიშნულის კვალბაზე ფრიად განმტკიცდებოდა ჩვენგან ადრე გამოთქმული აზრი გრი ორმიზდის სეფეწულობის შესახებაც). ასე და ამრთავდ, მივიღებთ მეტად საინტერესო სურათს: ასფურს (გარანა-ბაკურს) ცოლად ჰყოლია საურმაგოს (თრდატის) დედი და, ხოლო საურმაგოს პირიქით – ასფაგურის და ჰყოლია თანამეცხედრედ, ე.წ. ისინი, გარდა იმისა, რომ მკვიდრი ბიძაშვილები იყვნენ მამის ხახით, შემდგომში გამხდარან ერთმანეთის ცოლისძმებიც. მაგრამ დაეუბრუნდეთ ისევ ძირითად საკითხს.

დიდ ბაკურს სამშობლო 368 წლის მოვლენების შემდეგ უნდა დაეტოვებინა და როგორც ჩანს, მომდევნო წელს მამამისივით უკან აღარ დაბრუნებულა. 18-ოდე წლის მეფისწულს ბიზანტიაში თან გაიყვანა უახლოესი ადამიანების ამაღლა. საფიქრებელია, რომ ბიზანტიის საიმპერატორო კარზე მეფისწულ ბაკურს სათანადო პატივით მოეკიდებოდნენ როგორც ქართლის სამეფო ტახტის მომავალ პრეტენდენტს. ბუზშირის დიბაღტუმთან გამართულ ბრძოლაში დაღუპვის (377 წ.) შემდეგ ბაკურს ანდობენ იმპერატორის კარის მცველი ჯარის ქვედანაყოფის სარდლის თანამდებობას. ახალგაზრდა მეფისწულის სამხედრო კარიერა, როგორც ირკვევა, განსაკუთრებულად წარმატებით გაგრძელდა იმპერატორ თეოდოსი I დიდის (378-395 წწ.) ზეობის ხანაში. ბაკური IV ს-ის 80-იან წლებში პალესტინაში იგზავნება, სადაც მან, გელასი კესარიელის (+395 წ.) ცნობით, როგორც რომაელთა სატრაპმა, «აწარმოვა ომი ბარბაროს სარკინოთა (ე.წ. არაბთა) წინააღმდეგ პალესტინის მწვერვლებზე და მათზე ბრწყინვალედ გაიმარჯვა» (16:194). ცნობილია, რომ ამბოხებული პალესტინელი სარკინოების წინააღმდეგ ბრძოლებს რომაელები IV ს-ის 80-იანი წლების I ნახევარში აწარმოებდნენ. ბაკურმა, როგორც ჩანს, აღნიშნულ ბრძოლებში ისახელა თავი. იერუსალიმში, ელიონის მთაზე გაშენებულ საფანეში 20 წლის მანძილზე (377-397 წწ.) დამკვიდრებული რუფინუს აკვილედიც (იგივე ტურანიუს რუფინუსი) აღნიშნავს ბაკურის «წმინდა მიწაზე» ყოფნის ფაქტს «დომესტიკო კომისის» წოდებით. მაშინ ის პალესტინის საზღვრების სარდალი («დექსი») ყოფილა და ბინა ქალაქ იერუსალიმში ჰქონია დაღებული (80:207).

დიდი ბაკური იმპერატორ თეოდოსი I დიდის ინტერესების დამცველი, თანამოაზრე სანდო და ერთგული სარდალი რომ იყო, ეს ჩანს სოკრატე სქოლასტიკოსის (380-440 წწ.), ზოსიმესა (V-VI სს.) და კიორგი ამარტოლის (IX ს.) ცნობებიდან. კერძოდ, სოკრატე ამბობს, რომ პალესტინის სამხედრო ნაწილების სარდლად დაყენების შემდეგ იბერიელი უფლისწული ბაკური «სტრატელატორდა მაქსიმე ტირანის წინააღმდეგ წარმოებულ ომში და თეოდოსი მეფეს ეხმარებოდა»-ო (82:234). ამ დაპირისპირებამ კულმინაციას, როგორც ცნობილია, 388 წლის აგვისტოში მიაღწია, რა დროსაც თეოდოსი დიდმა მაქსიმე ტირანზე გაილაშქრა და დაამარცხა იგი. ბაკურს, როგორც საომარ საქმეებზე მზრუნველ ადამიანს, უშიშარ და ბრძენ სარდალს, იხსენიებს 392 წლით დათარიღებული თავის ერთ წერილში ( 980) ცნობილი სირიელი სოფისტი ლიბანიოსიც (314-393 წწ.); იგი ამ დროს პირადად შეგხვედრია ქალაქ ანტიოქიაში მისულ ბაკურს (58:63-64). წერილობით წყაროებში ბაკურს ბიზანტიის სამხედრო ასპარეზზე უკანასკნელად 394 წლისათვის ვხვდავთ. იგი მონაწილეობას იღებდა მეფის ფრიგიდუსთან ეგვიპტის ტირანის წინააღმდეგ გამართულ გენერალურ ბრძოლაში იმპერატორ თეოდოსი I დიდის მხარეზე. ცნობებს ამის შესახებ ვნახულობთ ბიზანტიელ მწერლებთან – ზოსიმესთან და კიორგი ამარტოლთან.

პირველდასახელებულის საკმაოდ ბუნდოვანი ცნობის საფუძველზე, ზოგიერთმა მკვლევარმა გამოთქვა თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ბაკური თითქოსდა ბრძოლის ველზე დაეცა თეოდოსის «ბარბაროსის» მკვლელობების (გოთები, ჰუნები, ალანები და სხვ.) დიდ ნაწილთან ერთად. ზოსიმე ბაკურს ახასიათებს, როგორც საომარ საქმეებში გაწვრთნილ კაცს და სარდალთა შორის უმაღლესს, ვისაც იმ დღეს ყველა თავისიანებზე უფრო წინ უბრძოლია (31:270). კიორგი ამარტოლის ცნობითაც, თეოდოსი დიდის ჯარის სარდლებს შორის ყველაზე მეტი მხნეობა აღნიშნულ ბრძოლაში სწორედ ბაკურს გამოუჩნია: «ფინც კი მის ახლოს მოხვედებოდა, ზოგს შუბით დაანარცხებდა, ზოგს ისრებით, ზოგს კიდევ მახვილითაც. მან გაარღვია მტრის წყობანი, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ შეერთებული და შეკრული, დამარცხებული ჯარის შუაში წყებები გასწოვდნენ, გვაშების გორაკებს გვერდ აუხვიდა და თვით ტირანთან მივიდა»-ო, ამბობს ბიზანტიელი მწერალი (18:198). როგორც ვხვდებით, აქ არც ჩანს და არც იგრძნობა ის, რომ ბაკური ბრძოლის ველზე დაეცა; პირიქით, ის გამარჯვებული ლაშქრის გმირი სარდალია.

მემატიანის აღნიშნული ცნობა მართლაც ნათელი მოწმობაა დიდი ბაკურის საარაკო თვითმპყრობელი – თეოდოსი I დიდი. მან სიკოცხლეშივე (390 წ.) გაუყო იმპერია დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად თავის ორ ვაჟს; აღმოსავლეთი ნაწილი, ანუ ბიზანტია უფროს მეფისწულს – არკადიუსს ერგო წილად. მოესხვ ხორენაცის ცნობით, კეისარი არკადიუსი იძულებული ყოფილა ანგარიში გაეწია თეოდოსი I დიდის სარდლებისათვის, რომლებიც, მისი სიტყვით, «დაიქანცნენ, თავებუბურებული იყვნენ მუდმივი ომიანობის სიძნელეებით» (67:212). შედეგად, კეისარ არკადიუსმა (395-408 წწ.)

და სპარსეთის შაჰ ბაპრამ IV-ს (388-399 წწ.) შორის მშვიდობიანი ურთიერთობები დამყარდა. საფიქრებელია, რომ ბაკურმა ბიზანტია თეოდოსის დიდის გარდაცვალების შემდეგ დასტოვა და სამშობლოს მიაშურა. ყოველ შემთხვევაში, გარდაცვლილი იმპერატორის ცხედრის მედიოლანიდან კონსტანტინეპოლში გადასვენების (395 წლის 8 ნოემბერი) შემდგომ ის იმპერიის სამხედრო სამსახურში აღარ უნდა დარჩენილიყო.

შ. მეფისწული ბაკურის რელიგიური მრწამსი და მსოფლმხედველობა იბერიელი მეფისწული ბაკურის პიროვნება უცხოელი მწერლების ყურადღებას მარტოდენ მისი სამხედრო ღირსება-დამსახურებებისა გამო

როდი იპყრობდა. უფრო მეტიც, მისი მოღვაწეობის ეს მხარე მათ თვალში პრიორიტეტული არც კი გახლდათ.

ამაში ადვილად შეგვიძლია დავრწმუნდეთ თავად ზემოხსენებულ ავტორთა ცნობების მაგალითზე. გელასი კესარიელისა და რუფინუს აკვილედიის თვალთახედვის არეალში ბაკურის პიროვნების გამოჩენის ფაქტი დაკავშირებულია ქართლის მოქცევის ისტორიისადმი მათი მხრიდან დაინტერესების საფუძველზე. აღნიშნული საეკლესიო მწერლებისათვის ამ საკითხში იბერიელმა მეფისწულმა შეასრულა სანდო ინფორმაციის როლი და ისინი ასევე წერენ კიდევ, – იბერთა გაქრისტიანების ამბავი «ფრიად სარწმუნო კაცმა, ბაკურმა» გვიამბოთ. ბაკურის მსოფლმხედველობის რაობის საკითხის გამოტყვევებისათვის აღნიშნულ ნიუანსს, შეიძლება ითქვას, რომ არაუკანასკნელი როლი ენიჭება. კერძოდ, ექვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ წმ. ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანების ამბავს გარე სამყაროში ავრცელებს ასევე რწმენით ქრისტიანი კაცი; ყველა სხვა ვარიანტი აქ გამორიცხულია. ამასთანავე, ბაკურის მონათხრობის წიგნური ხასიათი, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს წყარომცოდნე მხნარტიშვილი, ექვს არ იწვევს; «ბაკურს სახელდახლოდ კი არ შეუთხზავს იბერთა მოქცევის ისტორია, არამედ წინასწარ მოფიქრებულ, საგანგებოდ შემუშავებულ ამბავს ჰყვებოდა, ...შეგარა, რომ მისი წყარო ადგილობრივი ვერსია, რომელიც ბაკურის ბიზანტიაში ყოფნის დროისათვის (IV ს. მეორე ნახევარი) წერილობით გაფორმებული ჩანს»-ო, წერს იგივე მეცნიერი (92:46-47). თუ გავიხსენებთ იმას, რომ წმ. ნინოს «ცხოვრების» შემდგენელი – სალომე «უჯარმელი» ხსენებულ ბაკურს ბუბიად (მამის დედად) ერგებოდა, ზემოხსენებული აზრი სიმართლეს მოკლებული არ უნდა იყოს. თავის დროზე აკად. შ. ნუცუბიძის მიერ გამოთქმული იქნა ერთი ფრიად საყურადღებო მისაზრება, რომლის თანახმად იერუსალიმის მახლობლად, ბეთლემის უდაბნოში გასული საუკუნის შუახანებში იტალიელი არქეოლოგის – პ. ვირჯილიო კობოს მიერ აღმოჩენილი ქართული მონასტერი (უფრო სწორად, მისი ნაშთები) სწორედ ბაკურმა ააგო IV ს-ის II ნახევარში, შემდგომ კი – ის მისმა სახელგანთქმულმა შვილიშვილმა, პეტრე იბერმა იოანე (მითრიდატე) ლაზთან ერთად უბრალოდ განაახლა. შ. ნუცუბიძე ფიქრობდა, რომ ადგილზე დაცული წარწერა, სადაც თავად ბაკური იხსენიება გრი-ორმიზდთან ერთად, მონასტრის დაარსების თანადროულია (74:112-113). მონასტრის ადგილზე ნაპოვნი ფულის მონეტების სახეობების (ვალენტიანიუს II-ის, 375-392 წწ. და ანასტასიუს I-ის, 491-518 წწ – იხ. 90:90) მიხედვით ცნობილია აღმოსავლეთიმცოდნემ – ე. წერეთელმაც ხსენებული წარწერების ნაწილის შექმნის დროდ ასევე IV ს. მიჩნია (98:29). მართალია, სადღეისოდ სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული აზრის თანახმად, აღნიშნული წარწერებიდან უძველესი 433-444 წლებს განეკუთვნება, მაგრამ ზემოხსენებული ავტორების დასკვნები უთუოდ ანგარიშგასაწევია და დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ბაკურისა და გრი ორმიზდის წარწერა უფრო ადრინდელი ხანის, კერძოდ, 380-იანი წლებისა თუ არა, 390-იანი წლების I ნახევრის დროინდელი მაინც იყოს.

იმპერიის სამხედრო სამსახურში მყოფ ბაკურს 390 წლის ახლოს, როგორც ამას გელასი კესარიელი და რუფინუსი გვაძენობენ, პალესტინის საზღვრების დაცვა ევალება და ქალაქ იერუსალიმში ცხოვრობდა. რატომ არ უნდა ვიფიქროთ ის, რომ ზემოხსენებულ მონასტრის საძირკველი სწორედ დასახელებულ პერიოდში ჩაეყარა მორწმუნეობაზე ძლიერ მზრუნველი იბერიელი მეფისწულისა და მისი სიყრმის მეგობრის, სეფეწულ გრი-ორმიზდის მიერ? ამ შემთხვევაში შეგვიძლია დავუშვა ისეთი ვარიანტი, რომ უძველეს ქართულ წერილობით ძეგლად აღიარებული ბაკურისა და გრი ორმიზდის წარწერა მონასტრის აგების თანადროულია და შესაბამისად, ნახევარი საუკუნით უფრო ძველიც (თუმცა, ცხადია, გადაჭრით არც იმ აზრის გამორიცხვა შეიძლება, რომ ხსენებული წარწერის გაკეთება დიდი ბაკურის სახელგანთქმული შვილის – პეტრე იბერის სახელთან იყოს დაკავშირებული ბ.ხ.).

პალესტინის კესარიის ეპისკოპოსი

გელასი უკვე 390 წლისათვის იცნობს ბაკურს, როგორც მორწმუნე ქრისტიანს; მისთვის ის არის «კაცი ფრიად ღვთისმოსიში» (16:194). ეს მითითება იმ თვალსაზრისითაც არის საყურადღებო, რომ გელასი ქრისტიანობის ორთოდოქსული მიმართულების მტკიცე მომხრე გახლდათ და შემთხვევითი როდია ის, რომ კ. კპკუ-ლიძე მას «ულტრა-მართლმადიდებლის» სახელით მოიხსენიებდა. რაკილა ბაკურის მართლმადიდებლობაში გელასისაირ სეკულესიო მოღვაწეს ეჭვი არ შეჰქონდა, მითუმეტეს გაუმართლებელი უნდა იყოს ამის გაკეთება ჩვენის მხრიდან. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ წარსულში ზოგიერთი მეცნიერის მიერ გამოითქვა მოსაზრება ბაკურის რწმენით არა-ორთოდოქსულობის ან საერთოდც წარმართობის შესახებ (იხ. 87:13-20; 50:22; 72:74-76; 20:53; 13:68 და სხვ.). ასეთი აზრის განენას საფუძველი ბაკურის შესახებ ლიბანიოსის ცნობებმა შეუქმნა. მკვლევართა ყურადღება განსაკუთრებით იმ წერილმა ( 980) მიიპყრო, რომელიც ლიბანიოსს ბაკურისათვის გაუგზავნია 392 წელს. როგორც მისი შესავალიდანვე ირკვევა, ლიბანიოსი პასუხობს ბაკურის მიერ მისთვის გამოგზავნილ წერილზე. აქ წერილის ადრესატი ბაკური დახასიათებულია, როგორც ბრძენი და სამართლიანი, უშიშარი, ზომიერების მოყვარული, ვნებასურვილებზე მბრძანებელი და ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება. «მე კი შენ ღირსებათაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენება ის, რომ შენ გიყვარს ლოგოსები და ისინიც, ვინც ლოგოსებს მისდევენ, რისთვისაც შენ საყვარელი ხარ ღმერთებისათვის, რომელნიც ზრუნავენ ლოგოსებზე. ხომ ზრუნავენ ლოგოსებზე ისინი, რომლებმაც ეს [ლოგოსები] მოგცეს. ჩვენ რომ ასეთ ყვაილებაში ვტრიალებდით, შენ, რასაკვირველია, იყავი მდელი; ამ დროს ხელში ჩამიღო მისმა მომტანმა წერილი, რომელიც არის საბუთი შენი სიყვარულისა ლოგოსებისადმი»-ო, წერს იმავე წერილში ბაკურს ლიბანიოსი (58:63-64). თავის დროზე ს. ყაუხჩიშვილმა «ლოგოსები» გაიყო, როგორც «სიტყვის, ანუ რიტორიკული ხელოვნება» (87:13-20; 58:61-62). ამის საპირისპიროდ შ. ნუცუბიძე წერდა: «საეკლეზია ვიფიქროთ, რომ აქ «ლოგოსები» ნიშნავდნენ, როგორც ხანდისხან ფიქრობდნენ, მჭერმეტყველებაში დაოსტატებას. მართალია, ბერძნული სიტყვა «ლოგოსი» ნიშნავდა სიტყვასაც და სიტყვის საშუალებით გამოთქმულ აზრსაც, მაგრამ იმავე დროს ღმერთსაც ნიშნავდა, ...ამ სიტყვის ფილოლოგიური ინტერპრეტაცია ამ შემთხვევაში არ გამოდგება»-ო. მან ბაკური ნეოპლატონური იდეალიზმის მიმდევრად, ანუ წარმართ პოლითეისტად გამოაცხადა (72:75-76). პასუხად ს. ყაუხჩიშვილმა დამაჯერებლად უნენა ის, რომ მოცემულ კონტექსტში «ლოგოსები» «ღმერთების» მნიშვნელობით არ არის ნახმარი (იხ. 58:61-62). აღნიშნულ საკითხს შეეხო წყარომცოდნე მ. ხნარტიშვილიც, რომლის აზრით, ლიბანიოსისა და ბაკურის ახლო ურთიერთობების საფუძველი რელიგია კი არ იყო, არამედ ზოგადად მეცნიერებისადმი სიყვარული. «ლოგოსები» მისი განმარტებით მეცნიერებას აღნიშნავს (92:38). ტერმინ «ლოგოსს» მართლაც ბევრი მნიშვნელობა ჰქონდა ბერძნულში: სიტყვა, მოთხრობა, ანგარიში, მნიშვნელობა, გონება, მსჯელობა, ყურადღება და ა.შ. საინტერესოა, რომ ლიბანიოსის წერილში ჩვენთვის საინტერესო ტერმინს მისი ერთი ძველი გამოცემული – იოჰან ქრ. ვოლფიუს თარგმნის ლათინური «ლიტერას»-ით, რაც ასოს (ბგერას) შეესატყვისება. შემდგომში, როდესაც დიდი ბაკურის ქართულ დამწერლობასთან მიმართების საკითხს შევხებით, დავინახავთ, რომ «ლოგოსების» მიმართ ბაკურის სიყვარულის ფაქტში მჭვერტყველებსა და მეცნიერების გვერდით ასობით, სიტყვებით და ავრთვებ, მათი მნიშვნელობებით, ფაქტობრივად კი – ენათმეცნიერებით მისი ცხოველი დაინტერესება შეიძლება იქნას ამოკითხული.

ბესიკ ხუცილიაშვილი  
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# სააკაშვილისა და ნასიონალუბის შავი შეშოღომა!

**“თავისუფალი თაობის”** ლიდერებმა სააკაშვილმა და ნასიონალურ მოძრაობის ლიდერმა შორის დაპირისპირებაზე ინფორმაციას ფლობენ. ისინი წყაროს ვინაობას არ ახსენებენ, მაგრამ სარწმუნოდ მიიჩნევენ ინფორმაციას იმის თაობაზე, “ნაციონალურმა მოძრაობამ” იმ რაოდენობის ხალხი ვერ მოაგროვა 15 ნოემბრისთვის, რასაც ისინი ვარაუდობდნენ. მაქსიმუმ 8 000 ადამიანი იყო გამოხვედნი და ამაზე გაგიჟდნენ. სააკაშვილმა დასავლეთიდან ძალიან დიდი თანხები გამოგზავნა, მაგრამ აქცია რეალურად ვერ შედგა და ამის გამო მათ რეპუტაცია შეუღალათ დასავლელ მეგობრებთან. ასევე, რეპუტაცია შეუღალათ “ნაციონალურ მოძრაობას” და აქედან გამომდინარე, ორად გაიყო პარტია: თარგამაძე-ბოკერია და ვაშაძე-მელიძის კლანებად, და ისინი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. თარგამაძე-ბოკერია **“ნაციონალური მოძრაობის”** სულის ჩამდგმელები არიან, ხოლო ვაშაძე-მელიძე ახალი პარტეიები, და ამ ორ კლანს შორის მოხდა სერიოზული დაპირისპირება. ფაქტია, რომ ძალიან დაძაბული საუბარი იყო მათ შორის. **“ნაციონალური მოძრაობა”** ბოლო დღეებს ითვლის და ეს ყველაფერი ცხადია. 15 ნოემბერს მათ თავადვე დაიციურა მიწა და სრული სვლით წავიდნენ სამარსკენ. 15 ნოემბრის აქციით თვითონვე თქვეს, რომ არ არიან 40%-იანი პარტია, რადგან თუ მათ მართლა ამდენი მხარდამხარი ყავთ, 8 000-ზე მეტს გამოიყვანდნენ, თანაც გაითვალისწინებთ, ამ რვა ათასიდან ნაწილს ფული მისცეს და გამოიყვანეს.

სწორედ ამ მიზეზით, სააკაშვილი გაბრაზებულია თავის გუნდზე, რადგან მათ თავი ვერ გაართვეს დასახულ ამოცანას და ძალიან გაუმტყუნეს იმედი ამ აქციით. სააკაშვილი კრს გიჟად ჰყავს შერაცხული და ის მშვიდად რომ ვერ გადაიტანდა ამ ამბავს, თქვენც მოგეხსენებათ. მას რომ მშვიდად მიეღო ეს ყველაფერი, ის უფრო გასაკვირი იქნებოდა.

აქვს კიდევ გაბრაზების მიზეზი მიხეილ სააკაშვილს, რადგან მან ძალიან დიდი თანხები გამოგზავნა და ის სათანადოდ ვერ გაიხარჯა. ასევე დიდი ხარჯი გასწავლა ბენდუქიძემაც. რომელმაც შედეგი რომ ვერ იხილა, ნერვიულობისაგან გული გაუსკდა, თუმცა, არც ის არის გამორიცხებული, რომ ნაცებმა იგი თავიდან მოიშორეს როგორც არასასურველი მოწმე (როგორც ჩანს ნაცებს ინგლისში მკვლელობა საკმაოდ ორგანიზებული ბანდა გააჩნიათ, რადგან სწორედ იქ გარდაიცვალა ფრიად საეჭვო ვითარებაში ნაცების კიდევ ერთი ძლიერი მოწინააღმდეგე ქართველი მილიარდერი ბადრი პატარკაციშვილი).

არის საუბარი, რომ სააკაშვილისა და ბენდუქიძის მიერ გამოგზავნილი ფულიდან პარტიის ლიდერებმა ჯიბეში ჩაიდეს გარკვეული თანხა, ვინაიდან მათ ეგონათ, რომ ხალხი წამოეგებოდა მათ მანიპულირებას – **“არა ანექსიას”** და გამოვიდოდნენ აქციაზე. ქართულმა საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის **“ნაციონალური მოძრაობის”** სახე და კარგად იცნობს იქ მისვლით, ვის წისკვილზე დასხამდნენ წყალს. სხვათა შორის, თავად **“ნაციონალური მოძრაობა”** ოკუპანტთა წისკვილზე ასხამს წყალს და ეს ყველაფერი ცხადია. თუნდაც ეს აქცია ავიდოთ, როდესაც ოკუპაციას და ანექსიას აპროტესტებ და ითხოვ მსოფლიოს ყურადღებას. მაგრამ ამავე დროს იცი, რომ შენი მოსახლეობის ძალიან ცოტა ნაწილი მოვა ამ აქციაზე, რადგან ხალხი “ნაციონალური მოძრაობის” ნათქვამზე ადარდადის. გამოდის, რომ წინასწარ განზრახულად აკეთებ ამას, რათა მსოფლიოს ეგონოს, რომ ხალხი ამ ოკუპაციას არ აპროტესტებს. ეს კი პირდაპირ ოკუპანტის ხელშეწყობაა. **“ნაციონალური მოძრაობა”**, მიუხედავად ხელისუფლებაში არყოფნისა, მაინც ვნებს საქართველოს. თან მათ არ აქვთ მორალური უფლება ანექსიაზე ილაპარაკონ, რადგან 2008 წელს თვითონ წამოეგნენ პროოკაციას და 130 სოფელი ჩააბარეს მოწინააღმდეგეს, თანაც თარგამაძეები და სააკაშვილები პირდაპირ თანამშრომლობდნენ რუს გენერლებთან. სასამართლოში უკვე შეტანილია სარჩელი და საზოგადოება პროკურატურას თხოვს, რომ მალე გამოიძიონ ეს საქმე და სააკაშვილი და მისი ბანდა ციხეში უნდა აღმოჩნდნენ.

არც სხვა მხრივ კარგად საქართველოს ყოფილ პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საქმე, რადგან მის მიმართ, საქართველოს პროკურატურამ სანდრო

გირველიანის მკვლელობის საქმეზე ბრალდების დადგენილება გამოიტანა. აღნიშნულთან დაკავშირებით პროკურატურამ შესაბამისი განცხადება გააკეთა.

პროკურატურა ასევე, რომ აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოსთვის მიცემული რეკომენდაციების საფუძველზე ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ საქმე გვაქვს სისტემურ დანაშაულთან.

კერძოდ, აღექსანდრე გირველიანის მიმართ ჩადენილი დანაშაულის დაფარვა, გამოძიების გაყვლა, დანაშაულში ჩართული მაღალი თანამდებობის პირებისთვის ხელის დაფარვა და მათთვის პასუხისმგებლობის თავიდან არიდება განხორციელდა სახელმწიფო უწყებების და მათი ხელმძღვანელი პირების: შინაგან საქმეთა მინისტრის ივანე მერაბიშვილის, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის დავით ახალაიას, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავჯდომარის ბაჩანა ახალაიას, გენერალური პროკურატურის და მიხეილ სააკაშვილის კორდინირებული და ურთიერთშეთანხმებული დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად.

სისტემური დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 27 იანვარს, ქ. თბილისში, კაფე-ბარ **„მარდენბარში“**, აღექსანდრე გირველიანის სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა შინაგან საქმეთა მინისტრის ივანე მერაბიშვილის მეუღლის თამარ მერაბიშვილის და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის დავით ახალაიას სუფრის წევრთა თათბირის დასრულების შემდეგ, დავით ახალაიას დაფარვით, ადგილზე გამოძახებულმა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა აღექსანდრე გირველიანის და მისი მეგობარი ძალის გამოყენებით ჩასვეს ავტომანქანაში, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და გაიტაცეს ქლაქარეთ, ოქროყანის სასაფლაოზე.

გამტაცებლებმა აღექსანდრე გირველიანი და მისი მეგობარი გააპატიმრეს ძლიერ ყინვაში და სასტიკად სცემეს. ნაწამები აღექსანდრე გირველიანის გვამი ნანახი იქნა ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე.

ამ ფაქტის გამო საზოგადოების მღელვარების მატებასთან ერთად, საქმით დაინტერესდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც გაცნობიერებული ჰქონდა, რომ დანაშაულში დავით ახალაიას ორგანიზატორობის, შინაგან საქმეთა მინისტრის მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობის და შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლის თამარ მერაბიშვილის დანაშაულთან შემხებლობის გამჟღავნება უარყოფითად აისახებოდა ხელისუფლების რეიტინგსა და ავტორიტეტზე, გაიზარდებოდა საზოგადოების უკმაყოფილება ხელისუფლებისადმი და გარდაუვალი დადგებოდა მასთან დაახლოებული პირების, შინაგან საქმეთა მინისტრის ივანე მერაბიშვილის და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის დავით ახალაიას პოლიტიკური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

აღნიშნული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის, შინაგან საქმეთა მინისტრის ივანე მერაბიშვილის, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის ბაჩანა ახალაიას და მისი ძმის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის დავით ახალაიას მიერ, ურთიერთშეთანხმებულად დაიკვეთა და მათზე დაქვემდებარებული სახელმწიფო უწყებების გამოყენებით განხორციელდა დანაშაულებრივი ქმედებები აღექსანდრე გირველიანის მიმართ ჩადენილი დანაშაულის დასაფარად, სისხლის სამართლის საქმის ფალსიფიკაციის და საზოგადოების შეგონებაში შესაძლებლად.

კერძოდ, ივანე მერაბიშვილი, რომელმაც დადასტურებულად იცოდა, რომ დანაშაულში იმხილებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტროს თანამშრომლები, საქმესთან შემხებლობა ქონდა მის მეუღლეს თამარ მერაბიშვილს და დანაშაულის ორგანიზატორი იყო დავით ახალაია, ვადლებული იყო უზრუნველყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება, მაგრამ მიუხედავად ამისა მან საქმის გამოძიების ხელმძღვანელობა დაავალა თავად დანაშაულის ორგანიზატორს დავით ახალაიას.

შესაბამისად გამოძიებას მიკერძოებულად აწარმოებდნენ ივანე მერაბიშვილის უწყების გამოძიებლები, რომლებიც სამსახურებრივად დაკავშირებული იყვნენ საქმეში მონაწილე შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებთან და დამოკიდებულნი იყვნენ იმ პირებზე, ვინც პირადად მიხნებით დაინტერესებული იყვნენ საქმის არასათანადო გამოძიების შედეგით. აღნიშნულის გამო არ იქნა უზრუნველყოფილი საქმეზე ობიექტური გამოძიების ჩატარება.

თავის მხრივ, დავით ახალაიამ, 2006 წლის თებერვლის თვის მეორე ნახევარში, შეკრიბა გატაცებაში მონაწილე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები და კატეგორიულად მოითხოვა, რომ შექმნილი რთული ვითარებიდან გამომდინარე საჭირო იყო რამდენიმე მათგანს თავის თავზე აეღო პასუხისმგებლობა და არ დაესახელებინათ დანაშაულის შემკვეთები და უშუალო მონაწილე სხვა მაღალი თანამდებობის პირები. სანაცვლოდ, თითოეულ მათგანს დაპირდა, რომ ისინი მსუბუქი ბრალდებით გასამართლდებოდნენ და პრეზიდენტის შეწყალებით ხანმოკლე ვადაში განთავისუფლდებოდნენ სასჯელისგან. გარდა ამისა, საპატიმროში ყოფნის პერიოდში, თითოეულს დაპირდა ოჯახური ყოფითი პრობლემების მოგვარებას, სოლიდურ ფულად თანხებს და სხვა შედეგობებს, რაც დაკავშირებული იყო სასჯელის მოხდის პერიოდში პრივილეგიებზე პირობების შექმნასთან. აღნიშნული შეხვედრიდან რამდენიმე დღეში, გენერალურ პროკურატურაში გამართულ შეხვედრაზე, რომელიც შეეხებოდა გირველიანის საქმეზე პასუხისმგებლობის მისცემ პირთა განსაზღვრვას, გადაწყვიტა რომ დანაშაულზე დასჯის მხარედი საზოგადოებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, დანაშაულში მონაწილე დაბალი რანგის თანამდებობის პირებთან ერთად პასუხისმგებლობა უნდა მიეკუთვნებოდა შინაგან საქმეთა მინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსანიც – გერონტი ალანია. ამ გზით, დავით ახალაია და ამ დანაშაულთან კავშირში მყოფი სხვა მაღალი თანამდებობის პირები აცილებულ იქნებოდნენ პასუხისმგებლობისგან.

გენერალურ პროკურატურაში მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, იმავე დღეს, მიხეილ სააკაშვილთან გაიმართა შეხვედრა, რომელიც ასევე შეეხებოდა გირველიანის საქმეზე პასუხისმგებლობის მისაცემ პირთა საკითხის გადაწყვეტას და მსჯავრდების შემდგომ სასჯელის მოხდისგან შეწყალებით ვადაზე განთავისუფლებას. მიხეილ სააკაშვილმა დავით ახალაიას უთხრა, რომ გირველიანის საქმით გამოწვეული საზოგადოებაში არსებული მზარდი მღელვარების ჩასაცხრობად, რამდენიმე დაბალი რანგის თანამდებობის პირთან ერთად პასუხისმგებლობა უნდა მიეკუთვნებოდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მაღალჩინოსანი გერონტი ალანიაც, სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირები კი აცილებულ იქნებოდნენ პასუხისმგებლობისგან. ამასთან დავით ახალაიას შეპირდა, რომ პასუხისმგებლობა მიეკუთვნებოდა მათი მსჯავრდების შემდეგ.

აღნიშნული უკანონო დაპირებების მიღების შემდგომ, ივანე მერაბიშვილის, დავით ახალაიას და შს მინისტროს სხვა თანამდებობის პირების მიერ აღექსანდრე გირველიანის მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება იმგვარად დაიკვეთა და წარიმართა, რომ ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა მხოლოდ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის საშუალო და დაბალი რანგის მოხელეებს, ხოლო დავით ახალაია და სხვები უკანონოდ აცილებულ იქნებოდნენ პასუხისმგებლობისგან.

დანაშაულის გახსნის ვაღბი მოლოდინის გაჩენის და საზოგადოების შეგონებაში შეყვანის მიზნით, 2006 წლის 6 მარტს, საჯაროდ გააცხადდა, რომ თითქმის დავით ახალაიას უშუალო ძალისხმევით გამოვლინდნენ აღექსანდრე გირველიანის მიმართ ჩადენილ დანაშაულში მონაწილე პირები – კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი გერონტი ალანია, ამავე დეპარტამენტის უფროსი ოპერატიული თანამშრომლები: აღექსანდრე ლაჭავაძე, მიხეილ ბიბილურიძე და ავთანდილ აფციაური, რომლებიც დაკავებულ იქნენ აღექსანდრე გირველიანის სასიკვდილო შედეგით ჯანმრთელობის დაზიანების და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით.

დავით ახალაიას მიერ მიცემული

დაპირების გასამყარებლად და მორალური მხარდაჭერის გამოხატვად, შინაგან საქმეთა მინისტრი ივანე მერაბიშვილი დაკავებისთანავე პირადად შეხვდა ბრალდებულებს ე.წ. “მოდული” შენობაში არსებული წინასწარი დაკავების საკანში, იქიფა მათთან ერთად საკანში გაშლილ სუფრაზე, თანადგომა და მხარდაჭერა აღუთქვა მათ და უთხრა რომ არანაირი პრობლემები არ ექნებოდათ დავით ახალაიას მიერ მათთვის მიცემული დაპირების შესრულებასთან დაკავშირებით, რაც განხორციელდა კიდევაც.

სასამართლოს გადაწყვეტილებით გერონტი ალანია, ავთანდილ აფციაური, მიხეილ ბიბილურიძე და აღექსანდრე ლაჭავაძე ცნობილ იქნენ დამნაშავეებად, ჯანმრთელობის დაზიანების, თავისუფლების უკანონო აღკვეთის და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეშებისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა: გერონტი ალანიას თავისუფლების აღკვეთა 7 წლითა და ექვსი თვის ვადით, ხოლო მიხეილ ბიბილურიძეს, ავთანდილ აფციაურს და აღექსანდრე ლაჭავაძეს – 6 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

აღექსანდრე გირველიანის მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირები სასჯელის მოხდის პერიოდში, ბაჩანა ახალაიას ძალისხმევით, წინასწარი დაპირების შესაბამისად, სარგებლობდნენ კანონით აკრძალული შედეგობებით.

გარდა ამისა, მათ დანაშაულის რეალური გარემოებების, აგრეთვე აღნიშნულ დანაშაულში დავით ახალაიას და შინაგან საქმეთა მინისტროს სხვა თანამშრომლების დაფარვის სანაცვლოდ, ეტაპობრივად გადაეცათ თითოეულს 100 000 აშშ დოლარით.

2008 წლის 24 ნოემბერს, საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, ბოროტად გამოიყენა რა მისი სამსახურებრივი უფლებამოსილება, დავით ახალაიასათვის წინასწარ მიცემული უკანონო დაპირების შესაბამისად, შეწყალების კომისიის გვერდის ავლით, შეიწყალა და საპატიმრო სასჯელები გაუნახვერა მსჯავრდებულებს გერონტი ალანიას, აღექსანდრე ლაჭავაძეს, მიხეილ ბიბილურიძეს და ავთანდილ აფციაურს, რის შემდეგაც მათ მიმართ შესაძლებელი გახდა ვადაზე პირობით განთავისუფლების სამართლებრივი შექმნის მიზნით გამოყენება და ისინი განთავისუფლდნენ სასჯელის მოხდისგან დაპატიმრებიდან 3 წლისა და 9 თვის შემდეგ.

ამდენად, სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა განსტოებების ერთობლივმა და ურთიერთშეთანხმებულმა დანაშაულებრივმა მოქმედებებმა, რასაც სათავეში ედგა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, განაპირობა ის, რომ აღექსანდრე გირველიანის საქმეზე არ განხორციელდა მართლმსაჯულება, მოხდა საქმის რეალური გარემოებების ფალსიფიკაცია და დავით ახალაიას და სხვათა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან აცილება, რამაც აღექსანდრე გირველიანის ოჯახის წევრების უფლებების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ აღექსანდრე გირველიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის დაფარვის, გამოძიების გაყვალბების და ციხეში მსჯავრდებულებისათვის კანონთან შეუსაბამო კომფორტული პირობების შექმნისთვის, სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი უკვე გამოტანილია ივანე მერაბიშვილის და ბაჩანა ახალაიას მიმართ, ხოლო დავით ახალაიას მიმართ საქმე სასამართლოშია წარმართული.

აღექსანდრე გირველიანის საქმეზე ახალი გარემოებების გამოკვლევა და მიხეილ სააკაშვილისათვის ბრალდების გამოტანა მოხდა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს პროკურატურის მიერ ჩატარებული განახლებული გამოძიების ფარგლებში, რომელსაც სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში ხელმძღვანელობას უწევს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი.

ამრიგად, შავი შემოდგომა უდავო ნაციონალური მოძრაობას და მათ ლიდერებს და სექვტოა, რომ მათ ეს კრიზისი გადაიტანონ!

როლანდ ჯალაღანიძე, ჟურნალისტი

საკვირო საკითხავი

მოვლი ღამე არ მეძინა, ვფიქრობდი რა მეჭმია ხვალისთვის შეილებითვის. მზე ჯერ ამოწვერილი არ იყო, რომ წამოვდექი, ანაკელები გაავაწვე და დილის რიბირაბოზე ფეხაკრეფით მდინარისკენ დავედგი გზას.

არ გახლავართ, ბატონებო, მე შეთვევზე. არავისი და არაფრისი დამჭერი ვარ, მაგრამ ცხოვრება გაიძულა, ხშირად, აკეთო ის, რაც არ გსიამოვნებს, არ გინდა... მაგრამ იძულები ხდები.

სხვები ადამიანებს იტყვინ. მათ სამსახური აქვთ გვეტი. ადამიანის გაუბედურებას ისევე თვევსაბო მიჩვენებია.

სხვა რამ ვერა მოვიფიქრე რა.

ადამიანების დამჭერებს უფრო მძლავრი იარაღი აქვთ, ვიდრე მე თვევების მოსატყუებლად.

ერთ დროს მეც მაგ სისტემას ვემსახურე, მაგრამ როცა უარი ეთქვა უდანაშაულო ადამიანის დაჭერაზე (და ეს რამდენჯერმე განმეორდა), კინწინსკერით გამომაგდეს იქედან და დავერჩი ქუჩაში უღუქმაპუროდ.

რა არ გეცადე, რა არ მოვიფიქრე, რა არ გაერისკე, მაგრამ ყოველდღიურ სამყოფზე მეტი ვერასდროს ვიძვე.

მიხვდით, ბუნებას თავისი კანონები აქვს და უფალი არასოდეს მიგაცდობს. უფლის ნებით ცხრა შვილი მყავს: ხუთი ბიჭი და ოთხი გოგო.

კიდევ მიხვდით, რომ ადამიანის გარდა არცერთი სულიერი სამსახურში არ დადის, მაგრამ თავს ყველა ირჩენს და ოჯახსაც არჩენს. მეც გადავწყვიტე, რასაც უფალი გაიმედებდა, ის მიმელო.

მივიღე კიდევ.

ერთ მძვინვნიერ დღეს, თუკი შეიძლება მას მშვენიერი ეწოდოს, სამმართველოს უფროსმა დამიძახა:

- ჩხობარია, შენი ხელით დაწვერ განცხადება და წადი აქედან! თან ისიც ნაწვერ, რომ შენი ნებით მიდისარ!

უფროსის სიტყვა ჩემთვის ყოველთვის კანონი იყო და მეც შევეტირდი, შვედი ჩემს ოთახში, ნაწვერ მაგიდას მივუჯექი და განცხადება დავწერე. როგორც უფროსმა მიბრძანა, ჩავწერე ჩემი ნებით რომ მივდიოდი.

დაახლოებით კვირის თავზე, როდესაც სხვა სამსახურის საძებნელად დავბორი-ალობდი, უცხო მანქანამ გამიჩერა და ასევე უცხოებმა მთხოვეს, იმ მანქანაში ჩაჯდომბა. მეც ანგარიშიშეცემლად ჩავჯექი. ნასაკარგი რა მქონდა სამსახურდაკარგულ კაცს.

- ქვიშორ ბატონო! - მომმართა შავგერანგა და შავსათვალბიანმა ახალ-გაზრდა. - რატომ უურჩები სახელმწიფოს?

- რა ბრძანებაა, ბატონო, როდის ვეურჩები? - გავიკვირე ფრიად. - მითხრეს წადი და წამოვდი.

- მაგას კი არ გეუბნებით, შე ნაბიჭვარო! - გაცხარდა მეორე-ჩემს გვერდით მჯდომი. - შენ უფრო იცი ვინაა დასაჭერი და ვინ არაა?!

ერთ ყბაში ალიყური მომბედა და მეორეზე - რეკლამერის ტარი, რომელმაც გონება დამაკარგინა...

მეორე დღით ჩაის ნაპლანტაციებ და გადათხრილ მიწაზე ვეგდე, გონს რომ მივეგდე.

არ ვიცი რამდენი და სად მირტყეს, ეს კია, ტანი ასადგომად ვეღარ ავხიდე. წელ-დაწვერილი ქვეწარმავალივით ვიგრიხე-ბოლი და ცოცვა-ფორთხით გამოვადწიე

შარავზაზე, სადაც კვლავ დავკარგე გონება.

შემდგომ უკვე საავადმყოფოში მოესულიყრდი.

ღვთისნიერი ადამიანებს რა დალევს ამ ქვეყნად და ერთ-ერთ მათგანს მიუყვანისვარ ლახარკოში.

მოვლი ამ დავიდარაბიდან მეორე ჯგუფის ინვალიდობა გამოვადნე.

სამსახურში ვილა მიმიღებდა, ჯანმრთელი არსად გამაკარეს.

თერთმეტსულიანი ოჯახი მყავს სარჩენი. თერთმეტგუნბურთულიანი გუნდის შესანახ-ად ათუელობით და ასეულობით მილიონიანი ბიუჯეტი არ მყოფნით და მე სამოც-დაათლარიანი პენსით რაღას გავაწყობ-დი?!

თვევზობას მივეყვი ხელი. ჩემი მდგომარეობის ადამიანისთვის ზედგამოტყრილი საქმეა. ანკესის ჩაგდება და ამოქაჩვა შემიძლია. სხვა საქმიანობას ვერ ვახერხებ, თუმცა ბარვასაც და თონხასაც ვეათამაშები, მაგრამ ძნელად გამოდის. არც სიჯანმრთელობისას გამომიდოდა ადვილად.

ორი ანკესი მაქვს, ყოფილი თანამშრომლის ნაწვერია. მაშინ მარჯა, როცა ძლივს ძლივს შიშაძელივლმა მომიხახულა. თანაც მითხრა, რომ თვევზის მოტანას აპირებდა, მაგრამ ანკესები არჩია, რადგანაც სადღაც წაეკითხა: თუ ვინაა ადამიანს დაეხმარო, თვევზი კი არ ანუქო, არამედ თვევზის ჭერა ასწავლო.

ორი ჯოხი მე თავად ვიშვე: ერთი - ბამბუკისა და მეორე - ბროწეულისა. ორივეს კარგად ემარჯვება ანკესის გაშვებ-გამოშვებულა.

ამგვარად, დავდივარ სათვევზოდ. მოვი-

სადამოსკენ მიიწურებოდა ვამი, როცა ჩემგან ასიოდ მეტრის დაშორებით BMW-ს მარკის, X-5-ს რომ ეძახიან, ის ჯიპი განერდა. იქიდან დაახლოებით ჩემი ასაკის, სანდომიანი სახის, სპორტულ ფორმაში გამოწყობილი მამაკაცი გადმოვიდა.

გააწყო მან ერთი სპინინგი, მეორე ჯივსპინერი და ორთავენი მდინარეში მოიშველიპინა. ხუთიოდ წუთში ორთავენი სათითოდ ამოქაჩა და ათიოდ თვევზი ვედროში ჩაასვლიპინა.

ეს რამდენჯერმე განმეორდა და, თითქმის, ნახევარ საათში ერთი ვედრო თვევზებით ვავსო.

პირდაღებული ვიჯექი და ხან ჩემს ანკესებს ჩავშტერებოდი, ხანაც ამ უცნაური მეთვევზისკენ გავაშხურებდი თვალს.

ბოლოს, როდესაც სპინინგაინმა ანკესები აკრიფა და მანქანაში ნადავლის ჩაღმას შეუდგა, თავს ძალა დავატანე და მისკენ გავეშურე.

მეც, როცა ბენდირი და ხვავიანი თვევზობა მქონია, სხვისთვისაც მიწილადებია ჩემი მონაგარი.

- გამარჯობა და ბარაქა! - მივესალმე გულწრფელად.

- იცოვსალო! თქვენც ბარაქა მოგცეთ უფალმა! - დამიბრუნა პასუხი.

- მადლიანი კაცი ჩანხართ... მე დღეს უიღბლო გამოვდექი.

- არა უშავს. ხან ასე ხდება, ხან - ისე. - იქნებ ერთი-ორი თვევზი მიწილადო! ხელცარიელი არ მიწდა მივიდე სახლში. - მუდარანარეო, ძაღლური თვალებით მი-ვაჩერე.

- რა ერთი-ორი, შე კაი კაცო, სულ

მათეოზი

მარაგებ ჭია-ღუას ანკესებისთვის და, თითქმის, დილიდან სადამომდე ვთვევზობ.

ხან მიდიმის ბელი, ხან - არა. ოქროს თვევზი ჯერ ვერ დავიჭირე, თუმცა იმედს ჯერ არ ვკარგავ. ერთი ოქრო თვევზი დამაჭერია და მე ვიცი რასაც ვთხოვ და რასაც ვინატრებ!

ბედმა თუ გამიღმა და ვედრო თვევზით გავავსე, იცოცხლე! ოჯახი კმაყოფილი და მხიარულია. მეზობლებსაც მოვიკითხავთ და ისინიც მადლიერნი მყვანან. თვევზობის გარდა, ჩემი მეზობლების მადლიერიც ვარ და ზოგჯერ მონაკითხი ძღვენითაც გავ-ვაქვს ხოლმე თავი.

ყოფილა დღე, როცა ერთი ლიფსიტაც არ მოპყლია ჩემს ცოდვილობას.

იმ დღესაც ხომ დილიდან ვიყავ გასული ჭინაწველის პირას, ორივე ანკესი გაწყობილი და მდინარეში ჩავდებული მქონდა. თქვენც არ მომიკვდეთ, თვევზი მათ არ გაკარებთ!

შუადღემდე მშვიდად ვიყავ და ველოდი, ახლა თუ არა აი, ახლა შეირხევა ტივიტ-ვა-თქი, მაგრამ, ნურას უკაცრავად... თითქოს, გამეფიცნენო, არცერთი თვევზი ჩემს ანკესებს ახლოს არ გაეკარა.

შუადღის შემდეგ ნერვიულობა დამეწყო. ანერვიულებულ მეთვევზეს კი თვევზი სათოფედ არ გაეკარება. ვიცილი ეგ, მაგრამ ნერვების კონტროლის უნარი ვინ მომაშავა ისედაც დაინვალიდებულ და დაბეჭავებულ ადამიანს.

წაიდე! - მითხრა დიმილით. - მე ამათი ჭერა მიყვარს, პროცესი მომწონს, თორემ მაგის მჭამელი ვილანა?!

თვევზებით სავსე ვედრო გამომიწოდა. ჯერ ვიურე, მომერიდა, სულ როგორ წამელო? მაგრამ, ბოლოს ძალათი მომანქნა ხელში.

- კარგით, დიდი მადლობა! - ვუთხარი გაკვირებულ-გახარებულმა. - ვედროს ახლამდე დავიცილით.

- იყოს, იყოს! - შემანერა. - მოდი, ჩაჯექი, ბარემ მეც წასვლას ვაპირებ და სახლამდე მივიყვან. სად ცხოვრობ?

- ზემოთ ქუჩაზე, სკოლის გვერდით.

- ჰოდა, მეც იქით მაქვს გზა. მანქანაში ჩავსხვდით და დავიძარით. გზაში მხოლოდ ცოტათი მოვასწარით ერთმანეთის გაცნობა.

- მე ოხო ვარ, პინტრევა. - მითხრა მან.

- მე, ბატონო, ქვიშორი ვახლავართ, ჩხობარია.

- აბა, ალბათ, წინაპრებიც მეთვევზები გეყოლებოდათ, ბატონო ქვიშორ.

- რა ვი, ბატონო, მე კი სხვა რა არაფერი გამოვივია, ვცდილობ, ამით ვარ-ჩინო ოჯახი.

- ოჯახის რჩენისთვის ვშრომობთ ყველა. რა საქმესაც უნდა ვაკეთებდეთ, რა გინდ დიდი თუ პატარა საქმე გვეკონდეს, უმთავრესი მოვალეობა ადამიანისა, ოჯახის რჩენაა. - წამოიწყო ბატონმა ოჩომ ფილოსოფიური განსჯანი. - მილიონიც

რომ ვიშოვოთ, უპირველესად ოჯახის საჭიროებისთვის უნდა გავწიოთ ხარჯები, შემდეგ კი დანარჩენები...

ამასობაში ჩემს სახლს მიუახლოვდით. - აგერ, იმ ჭიშკართან გამიჩერეთ. - მივუთითე ფერგაცვეთილ, ოდესღაც ღურ-ჯად მოხასხასე, ჭიშკარზე, რომლის გასწვრივაც, ასევე ოდესღაც გამართული, ამჟამად კი დაფეხვილ-დაბრეცილი ღობე მიუყვებოდა.

ჭიშკართან განერებულ მანქანას ჩემი და მეზობლის ბავშვები გარს შემოეხვივნენ. ჩემმა უფროსმა ბიჭმა, მურწამ თვევზებით სავე ვედრო ჩამომართვა.

- ვაა! მამას რამდენი თვევზი დაუჭერია! - იყვირა ბიჭმა და სახლისკენ გაქუსლა. დანარჩენებიც აედვენენ.

- რამდენი შვილი გყავს? - მკითხა ოჩომ დაფიქრებით.

- ცხრა, ბატონო. - მიუვუე მე.

ოხო უფრო ჩაფიქრდა. ეტყობოდა, რადაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ვერ გადაეწვიტა, ეთქვა თუ არ ეთქვა. ბოლოს გადაეწვიტა და მომიბრუნდა.

- ქვიშორ!.. იცი, რა უნდა გითხრა? - არა, ბატონო! ბრძანებ, გისმენთ! - ყურადღება მივაპყარი მის ბავეთ.

- იცი... თუმცა საიდან გეცოდინება?... წამოიწყო ნადვლიანად. - მე და ჩემი მეუღლე ჩვიდმეტი წელიწადია ერთად ვცხოვრობთ... ძალიან გვიყვარს ერთმანეთი... ყველაფერი გვაქვს ღვთის წყალობით... მაგრამ შვილი არა და არ გავგინდა...

- ოო, ვე ცუდია ძალიან! - გულწრფელად შეეცუხდი.

- ჩვენ, მე და ჩემმა მეუღლემ, მაცილიმ, - განაგრძო მან. - გადაეწვიტეთ, ბავშვი ავიყვანოთ.

- სწორი გადაწყვეტილება მიგიღათ! - მოვუწონე ოჩოს განზრახვა.

- საქმე ის ვახლავთ, რომ ეგ არც ისე იოლი ვადასაწყვეტია... თითქმის ჩურ-ჩულზე ვადავიდა ოჩო. - თანაც ხარისკო... რა იცი, ვინ არიან მშობლები... რა სულის, რა სისხლ-ხორცის.

- მართალი ბრძანებით. - დავეთანხმე.

- აი, თქვენ... პატროსანი ადამიანი ჩანხართ... შეგოვნდა, ნერვები გადაყლაპა.

- თუ თქვენ ერთ ბავშვს დამითობთ... გპირდებით, ის ვავზრდი, თქვენ და თქვენს ოჯახს რომ შეგვერებოდეს... ცხოვრებაშიც არაფერი ექნება საწუხარ-სადარდებელი... ერთსაც მოვინათლავ... თუ, თქვენი სურვილი იქნება, რა თქმა უნდა!..

- ერთი კი არა ცხრავე წაიყვანეთ, ბატონო, თუ გინდა. - ვუპასუხე დიმილით.

- მე ბავშვების გაკეთება მიყვარს, ის პროცესი მომწონს, თორემ ამათი მრჩენელი რომ არა ვარ, თქვენც ქმ ხელდავთ...

...მზე შუბის ტარს ვადავებოდა. ორივენი, სადღაც შორს, უსასრულო პორიზონტს გაცქეროდით და უმისამართოდ ვღმუძით. ოჩო მისვლა ბავშვის დამითობი რომ არ ვიყავი, არც ერთის და არც ცხრის; მეც მიხვდით, არც ის იყო ჩემგან არც ერთი და, მით უფრო, არც ცხრა ბავშვის წამყვანი. ერთმანეთს თვალბში ჩავხედეთ. ერთხანს დუმილში დავყავით. მერე გაგვეღ-მა და...

მშვიდად შევედი ბავშვებით აკრიამებულ ქობში.

მანქანა მოსახვევში გაუჩინარდა...

ზურაბ ძოგალია

ვის არ სიამოვნებს, ვის არ უხარია როცა ცხოვრებაში ყველაფერი, ასე თუ ისე, ნორმალურადაა, ყველა ასე თუ ისე პოულობს თავის სამუშაო ადგილს, თავის სარჩო-საბადებელს. მაგრამ, სამწუხაროდ ყველაფერი ეს ასე დიდ ხანს არ ვაგრძელებდა. ბევრი არასალადმომავლოდ მემოტიკოსების წყალობით ქვეყანა აირ დაირია, ძმა ძმას მოსაკლავად გადავიკიდა, ქვეყანა ქაოსში გაეხვია. შედეგმაც არ დააყოვნა. თითქმის ყველა ქართველი აყრილ და განდევნილ იქნა აფხაზეთიდან.

უთუოდ ცუდად მოსაგონარია ის ფაქტი, რომ სამხედრო ფორმიერებმა, აფხაზეთში მოქმედმა ხელისუფლებამ, რომლებმაც იცოდნენ, რომ აუცილებელი იყო დროებით დაგვეტოვებინა აფხაზეთის ტერიტორია, ამის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ მიანოდეს ადგილობრივ მოსახლეობას. ხალხი ხედავდა თუ როგორ გარბოდნენ სვანეთის მიმართულებით ტანკებითა და საშხედრო მანქანებით ჯარისკაცები. მოსახლეობა ეკითხებოდა მათ რა ხდება, სად მიდისართო? ისინი პასუხობდნენ, შორიდან უნდა შემოუაროთ და იქიდან უნდა დავარტყათო. ბოლოს და ბოლოს აფხაზეთის ქართველმა მოსახლეობამ გაიგო რაშიც იყო საქმე და ყველამ შეძლებისდაგვარად უშველა თავს.

თუმცა, უთუოდ ცუდად მოსაგონარია ის დაწყველილი გზა, ე. გოლგოთის გზა, რომელიც განვლეს დევნილებმა აფხაზეთიდან სვანეთის ვაკელი ჭუბერამდე. ნვიმასა და ქარში, ყინვა-სიცივეში, თოვლ-ჭყაპში გვიხდებოდა მინდვრად, ტყე-ღრეში დაღამება-გათენება. ბევრმა ვერ გაუძლო ამ სიღრუხირეს და სამუდამო განსასვენებელი ჰპოვა იმ უდაბურ ტყე-ღრეში.

ცუდად მოსაგონარი

მაგრამ ცუდად ერთად აუცილებლად უნდა ითქვას ის დიდი ყურადღება და პატივისცემა, რომელიც დევნილებისადმი გამოიჩინეს იქ ცხოვრებმა სვანებმა. ისინი უხვად გვიმასპინძლებდნენ სასამელ-საჭმელით, შეძლებისდაგვარად ღამებსაც გვათენინებდნენ.

სვანეთის სოფელ საკენამდე მანქანით ჩავიდით. შემდეგ ფეხით მოვიგინდა ულელტეხილის გადალახვა, რადგან გზა იყო ძალიან ცუდი, ტალახიანი, ოღრო-ჩორო, ტანკებითა და სპეციალური სამხედრო მანქანებით თუ შეიძლებოდა გავლა.

უთუოდ ცუდად მახსენდება ერთი დიდად სანერვიულო შემთხვევა. საკენში შევხვდნენ ჩემი უმცროსი ვაჟიშვილის თანაკლასელები და გვითხრეს ლექსო ჩვენთან დარჩეს თქვენი ბარგი ბარხანით, ხვალ ჩვენთან მოდის სპეციალური მანქანა და ჭუბერამდე გავგიყვანსო. ჩვენც დავთანხმდით,

ჩავინერე მათი სახელი, გვარი და განვავრძეთ გზა. რამდენიმე დღე-ღამე სიარულის შემდეგ ჩავალნიეთ ჭუბერამდე.

გავიდა რამდენიმე დღე, კვირა და ბავშვი არ ჩანდა, მისი ასავალ-დასავალი ვერ ვავიგეთ. იმ დღეებში ვერტმფრენს დევნილები გადაჰყავდა საკენიდან ჭუბერამდე. მფრინავს ვთხოვე ჩემი მდგომარეობა ასეთია და ჩამიყვანე საკენში მეთქი. უარი მტკიცა, მაგრამ ხვეწნა-მუდარის შემდეგ შევეცოდე და წამიყვანა. საკენში ვერტმფრენი დასაფრენ ადგილზე რომ ეშვებოდა, ზევიდამ გადმოვიხედე და ვხედავ ჩემ ბიჭს ურიკელა უთხოვია და ბარგი-ბარხანას დიდი გაჭირვებით ეზიდება დასაფრენ ადგილისკენ.

ჩამოსვლისთანავე ვავიქეცი მისკენ და შევძახე: ლექსო აქა ვარ, ნუ გეშინია მეთქი. თურმე ჩემ ბიჭს უთხოვია მფრინავისთვის მომდევნო რეისში რამეფრათ წამიყვანეო. მფრინავს უთქვამს: იქ ბევრი დევნილია და ვერ შევძლებო, მე ერთი ნახევარი კილომეტრით შორს დავემეგები და იქ დამხვდითო. ასეც მოხდა, მოვკალათდით ვერტმფრენში და, როგორც იქნა, მშვიდობით დავეშვით ჭუბერის დასაფრენ მოედანზე. ჭუბერიდან დევნილები სპეციალური მანქანით ჩავგიყვანეს ზუგდიდში და შემდეგ ყველამ ჩვენ-ჩვენ თავს უშველეთ.

ასე და ამდარიგად, როგორც იქნა, გავაღნიეთ სამშვიდობოს და დღემდე, ცუდად თუ კარგად თავს ვინახავთ იმ იმედით, რომ ახლო მომავალში თუ არა როდისმე მაინც დავბრუნდებით ჩვენს მშობლიურ კუთხე აფხაზეთში.

მურმან სანბულია, ინჟინერ-ტექნოლოგი, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული



# თბილისელები, რომელიც ამბობს, რომ უცხოელანეტელებთან ურთიერთობა ჰქონდათ

თუ სპეციალისტებს დაუფჯერებთ, უცხოელანეტელები ჩვენს შორის არიან. უბრალოდ, ზოგი მათ ვერ ხედავს. ამბობენ, რომ მათ აქვთ განკურნების უნარი, ცდილობენ დედაშიწა დაიცვან კოლოგიური და სტიქიური კატასტროფებისგან და ა.შ.

ამტიკცებენ იმასაც, რომ უცხოელანეტელები საქართველოშიც ხშირად დაუფიქსირებიათ, განსაკუთრებით 90-იან წლებში. ამბობენ, იმ პერიოდში მათი გახშირებული სტუმრობა ქვეყანაში შექმნილი მძიმე პრობლემებით იყო განპირობებული.

I. გოთავაზობს უცხოელანეტელებთან დაკავშირებულ ისტორიებს, რომლებიც თბილისელებს გადასცა.

90-იან წლებში მხატვრების – გია გუგუშვილისა და ქეთი მატაბელის ოჯახში მომხდარ უცნაურ მოვლენებზე მთელი საქართველო ლაპარაკობდა. ეს ყველაფერი წყნების აგარაკზე დაიწყო, შემდეგ კი თბილისში, კეკელიძის ქუჩაზე, მათ საცხოვრებელ ბინაში გაგრძელდა. უცხოელანეტელები მათ ოჯახში ქალიშვილის დაბადების დროს განჩნდა. საქმეში თალეს შონიაც იყო ჩართული, რომელმაც ოჯახში კვლევები ჩაატარა და განაცხადა, რომ ქეთი მატაბელის და, მკაცრ იყო მედიუმში, რომელთანაც უცხოელანეტელებს განსაკუთრებულად უყვარდათ ურთიერთობა.

“ერთი საღამოს მე და ჩემი სიმამრი მისვალეთ ოთახში ვისხედით. გახეთქილი გვეწყო წინ, დაახლოებით რვა მეტრის დაშორებით ვისხედით ერთმანეთისგან, უცებ გახეთქილი აფრიალდა და ძირს დაეფარა. არადა, კარი და ფანჯარები დახურული გვექონდა. ქეთის მამამ შემომხედა და გაფითრდა კაცი. სასწრაფოდ დაუბრუნებდა თალეს შონიას. თალესმა გვითხრა, მოდი, ოჯახის წევრების ბიოგრაფიები გავხიზნოთ. ყველას ცალ-ცალკე გავუბოძრეთ, ბოლოს ქეთი და მკაცრი შეამოწმეს და პირდაპირ თქვა თალესმა – ეს არის მედიუმით. ყველაზე

დიდი კონტაქტი უცხოელანეტელებთან სწორედ მაკას ჰქონდა.

ამის შემდეგ სახლში დაგვიმონტაჟეს აპარატურა, ფიქვლი დაყარეს და ეუბნებოდნენ უცხოელანეტელებს – აქ თუ ხარ, ფიქვლი შეეცადე ანაბეჭდიო. ერთი ამბავი იყო, ვინ არ გვესტუმრობდა, უმეტესობა “საღადაოდ” დადიოდა ჩვენს სახლში. ერთხელაც შევინახე ფიქვლიზე ბლაგვი ფორმის ანაბეჭდი. ქეთის მამას, გული მატაბელს, ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა, იმ დიაგნოზით დიდი დღე აღარ ეწერა, მაგრამ სამი წელი კიდევ იცოცხლა. თალესმა გვეუბნებოდა, სასიკეთოდ არიან მოსულნი. ავროვერდა უცხოელანეტელების დატოვებულ დახვეულ ბარათებს ხსნიდა და ამბობდა, რომელი იყო მათი და რომელი – არა. ერთხელ წერილიც ვიპოვეთ, სადაც ეწერა, რომ უცხოელანეტელებს იქონია ერქვა. თალესმა თქვა, რომ ნამდვილად უცხოელანეტელების ნაწერი იყო. ტკბილედ უცხადებდათ, რომ უცხოელანეტელები ვაკეში უნდავთ ადამიანს ჰყავს ნანახი. მათ შორის ერთ-ერთია ნანა ზურაბიშვილი. მისი თქმით, 12 წლის ასაკში ფალიაშვილის და არაქიშვილის კუთხეში მფრინავმა თევზმა გადაიფრინა. “წარმოიდგინეთ, მორები რომ შეკრათ, აი ასეთი ფორმა ჰქონდა. ისე თავისუფლად მიფრინავდა, თითქოს წონა საერთოდ არ ჰქონდა. დიდი ზომისა იყო და “მორებს” შორის სინათლე ბუტბუტავდა. ნელა მოძრაობდა, უხმოდ. ჩიხისკენ რომ წავიდა, ეს მფრინავი ობიექტი თვალს მიეფარა. უცხოელანეტელებს საკუთარი ბაზუბი აქვთ, არაქიშვილის ქუჩა ხომ მთას ემდგინება და ალბათ იქ ჰქონდათ ბაზა, ამიტომაც ყველა ხედავდა ვაკეში ამ უცხოელანეტელებს. არ არის გამორიცხადი, სადაც რაღაც არსებობდა. გავა წლები და ალბათ არავის გაუვიწყრებია, რასაც ახლა ვამბობ.

ასტროლოგ მიხეილ ცაგარელის განცხადებით, უცხოელანეტელებს ჩვენს პლანეტასთან კონტაქტი ყოველდღე აქვთ და ამას ის საკუთარი თვალთავე ხედავს. “მე ჩემი თვლით მაქვს ნანახი უცხოელანეტელებთან არაერთი ხომალდი, თუმცა, უცხოელანეტელებს პირადად არ შეგხვედრია. ჩემი სახლიდან კარგად ჩანს ლისის ტბის ტერიტორია და ლამაზობით, ამკარად ჩანს საოცარი სინათლეები, თვალისმომჭრელი ნათებები, უცხოელანეტელებთან ხომალდების უცნაური, ტრაექტორიული მოძრაობა, შეჩერება და ასე შემდეგ”, – აცხადებს ცაგარელი.

როგორც პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი ნუგზარ გალუაშვილი ამბობს, უცხოელანეტელები ცხოვრობდნენ წყნეთის პოლიციაშიც. “ყოველდღე 6 საათზე ვივლიდები და სამსახურში წასვლამდე ხან ლექსებს ვეწერდი, ხან საგარეჯოშიდ მივიდიოდი. ზემო წყნეთის წყაროსთან მისულს მოულოდნელად ტოტების მტვრევის ხმა მომესმა. იმხანად პოლიციის უფროსის მოადგილე ვიყავი და იარაღს ვარჯიშის დროსაც ვატარებდი. კი მეუცნაურა ეს ხმა, მაგრამ ვაზა ჩვეულებრივად განვაგრძე. ოციოდ ნაბიჯი არ მიქნებოდა გავდივოდი, რომ შევინახე 6-7 მეტრი სიმაღლის ილუმინატორით განათებული სფეროსებრი სხეული, რომელიც ინიტობდა და ქრებოდა. ამ ობიექტის სიახლოვეს კი ორი ადამიანის მსგავსი სხეული მოძრაობდა, როგორც მიგულის, უცხოელანეტელები იყვნენ.” ამ ფაქტის შემდეგ ნუგზარ გალუაშვილი თალეს შონიას დაუკავშირდა, რომელმაც სპეციალური მოწოდებით დააღვინა, რომ ადგილზე უცხოელანეტელები ნამდვილად იმყოფებოდნენ. შონიას თქმით, ველი, რომლითაც უცხოელანეტელები გადაადგილდებოდნენ სწორედ წყნეთში გადიოდა. გაგვიკვირდებოდა, მაგრამ უცხოელანეტელები წყნეთის პოლიციას არაერთხელ დაესხნენ თავს. როგორც ნუგზარ გალუაშვილი იხსენებს, მათ ერთ-

ერთი შემთხვევის დროს უცხოელანეტელებს ცეცხლი გაუხსნეს და სწორედ ეს განხდა ამოუცნობი მფრინავი ობიექტების განაწილების მიზეზი. უცხოელანეტელები პოლიციელ დავით კალანდარიშვილის კაბინეტში აბრუნებდა სეიფებს, იარაღის პირამიდას და მელანს ასხამდა მაციდაზე.

თბილისში მცხოვრები დავით დევიდარიანი ამტიკცებს, რომ მას ხშირი ურთიერთობა ჰქონდა უცხოელანეტელებთან, მათთან ერთად სამოზაუროდაც იმყოფებოდა და უცნაურმა მეგობრებმა ოპერაციაც კი გაუკეთეს. “26 წლის ბიჭი ვიყავი, ღამის თორმეტი საათი იყო, ახლომდებთან ერთად ვიყავი მთაწმინდაზე, პარკის ტერიტორიას რომ გამოვციდი, მანქანა გამიფუტდა. გადმოვედი მანქანიდან, კარი დახურე და ვიგრძენი, რომ ვიღაც მმართავდა. ნახევრად ნარკოზულ მდგომარეობაში გავაგებლე მოძრაობა ტელევიზიის ანდის მიმართულებით. დაახლოებით ასი მეტრი გავიარე და, შემადგებულ ადგილზე დავინახე სამი მაღალი, ვიწროთვალეებიანი და გრძელსახიანი სილუეტი. სპორტული კომბინეზონები ეცვათ. არ შემეშინებია, როგორც შემდეგ ვაგრძელები, მათივე წყალობით”. დავით დევიდარიანს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა, რომელიც უცხოელანეტელებმა მოუგვარეს, მას 4-ჯერ გაუკეთეს ოპერაცია. ამბობს, რომ ჭრილობები არ ეტყობა. ის ხშირად ხვდებოდა უცხოელანეტელებს, იმთავითვე რაგბის ფორმის მფრინავი თევზით, უცხოელანეტელებმა დევიდარიანს თავიანთ პლანეტაზე ცხოვრება შესთავაზეს, თუმცა მამაკაცმა დედის დედაშიწაზე დატოვება არ ისურვა, უცხოელანეტელებმა კი დედაშიწის თანვერ წაიყვანეს, რადგან ჯანმრთელობა მას ფრენის საშუალებას არ მისცემდა. დავით დევიდარიანს 7 წელია მეგობრებთან სხვა პლანეტად კონტაქტი აღარ ჰქონია. ისინი სულ 21-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, მეტროში, დიდის ტრასაზე, სახლში და ა.შ.

თ. გოთავაზი

# სომხეთის ციხეებში ქართველ პატიმრებს აწამებენ?

ფაქტი, რომელიც საქართველოში ჯერ არ გახმაურებულა, იცის თუ არა ჩვენმა ხელისუფლებამ, როგორ ექცევიან მის მოქალაქეებს? რას აკეთებენ სომხეთში საქართველოს კონსულთ? რა გაუგებრობაში მოყვა ბიზნესმენი მამუკა მერკვილაძე და რა სისასტიკე მიიღო მან ამ ქვეყნის წარმომადგენლებისგან? რა მიზეზით არ ეთმობა ერევანს ქართველი პატიმრები?

ჟურნალისტს მამუკა მერკვილაძის მეუღლე, მეტი ქართველიშვილი ესაუბრა:

– მეგი, თქვენი მეუღლე სომხეთის საზღვრის გადაკვეთისას დააკავეს, როგორც ინტერპოლის მიერ ძებნილი და ერთი თვეა, ციხეში ჰყავთ. როგორც მითხარით, იმ დოკუმენტებით, რაც თქვენ გაქვთ, არც ინტერპოლის თბილისის ბიუროს და არც გერმანიას, სადაც ის საქმიანობდა, მას არ ეძებენ. რატომ მოხვდა ასეთ გაუგებრობაში?

– მამუკა მეგობარს გაჰყვა ერევანში, გადაკვეთა საქართველოს საზღვარი, დააკავეს, დაადეს ბორკილები და წაიყვანეს ნოემბერიანის წინასწარი პატიმრობის იზოლატორში. 3 დღეში ჩატარდა სასამართლო, ისე, რომ ადვოკატიც არ ჰყოლია, სახანოროც კი. მიუსაჯეს 15 წელი. მანამორის ციხეში გადაიყვანეს ამის შემდეგ, იმ პირობით, რომ გერმანია წაიყვანდა.

– გერმანია რატომ ითხოვდა?

– არ ითხოვდა... გერმანიაში ადვოკატი გვყავს აყვანილი, რომელმაც გაარკვია, რომ არანაირი ინტერპოლი არ ეძებს, არანაირი კანონდარღვევა არ აქვს ჩადენილი, ამიტომ ერევანს საქმის გარკვევამდე ჰყავდა დატოვებული იზოლატორში. ჩვენ ვნახეთ განაჩენი, სადაც წერია, თითქოს გერმანიიდან არის გამოგზავნილი მოთხოვნა მამუკას დაპატიმრების მოთხოვნაზე. ამ ქალაქის პროკურატურას დაუკავშირდით და უარყოფენ, არანაირი მოთხოვნა არ გვექონიათ. ეს დოკუმენტი გვაქვს თავისი გერმანიის და პროკურორის ხელმოწერით.

– რით ადასტურებს სომხური მხარე, რომ ინტერპოლით ძებნილი დააკავეს, როცა საქართველოს ბიუროს არ დაუდასტურებია მისი ძებნა?

– ამის არანაირი საბუთი არ გვაქვს, ყველაფერზე გვესაუბრებიან ზეპირად, სიტყვიერად, დოკუმენტად ჩვენს საუბრის გაფიქრებულზეც უარს ამბობს სომხური მხარე.

– სომხეთში აყვანილი ადვოკატი რას გუვინებდათ?

– საინტერესო რამ მოხდა ამ ადვოკატის აყვანამდე. წინასწარი პატიმრობა რომ დაუმთავრდა მამუკას, სამხედროების არარსებობის გამო გაათავისუფლეს. ციხის ადმინისტრაციას არანაირი საფუძველი არ ჰქონდა, პატიმარი ციხეში გაეწერებინა და იძულებული გახდა, გამოეშვა. ჩავედით ოჯახში წამოსაყვანად, 3 საათი ერთად ვიყავით ერევანში, სანამ საბუთები ოფიციალურად გაფორმდებოდა და ამ დროსინაშენ უცებ მოვიდნენ, ახალი მოთხოვნა გამოიცხადეს და უკან უნდა შევბრუნოთ ციხეში. აქედან დაიწყო ჩვენი წამება. ავიყვანეთ ადვოკატი, ჩატარდა სასამართლო ოჯევანში და ისევ წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. რის საფუძველზე გაგრძელდა ეს ვადა, ამ წუთამდე არ ვიცით. რა საბუთიც არ უნდა მოვითხოვოთ, არ იძლევიან, ნებისმიერ პატიმარს აქვს სასამართლოს გადაწყვეტილება და მამუკას არ აძლევენ. სტრესის ნიადაგზე განუვითარდა ფსიქიკური აშლილობის მძიმე ფორმა. იმდენად მძიმე, რომ ჩემი თვლით მაქვს ნანახი, მიიყვანა თვითდაზიანება, ჭკუა არ მოკეთებდა, განიცდის მეტისმეტად მძიმე ფსიქოლოგიურ ზეწოლას, აქვს ენის ბარიერი და რას ეუბნებიან, არ ესმის. მითხრა, წყალს რომ ვსვამ, ძალიან უცნაური შარდი მაქვსო, ყველაფერს, რასაც ჭამს, უკან აღებინებს, ფეხები ეწვიოს. მაქვს სერიოზული ეჭვი, რომ იქ მას სცემენ ან ისეთ პრეპარატებს აძლევენ, რომ ითიშება. სიგარეტის მოწვევის შემდეგ თავს უცნაურად გრძობს, პალეონიციები აწუხებს. ამას მიაღწიეს ერთ თვეში. ჩვენ ვითხოვდით საქართველოდან ექიმის ჩაყვანას, არც ჩვენ ჩავაყვანინეს, არც თავად მიიყვანეს, როცა ნახეს,

როგორი არაადეკვატური იყო. ვითხოვდით საავადმყოფოში გადაყვანას თვითდაზიანების მიყენების გამო, მაგრამ ამის მაგივრად, სხვა ციხეში გადაიყვანეს. შევუყვანეთ ქართულად მოლაპარაკე ექიმი, რომლის დასკვნაც საგანგაშოა. იქაურ ექიმს რომ ვუთხარით ამის შესახებ, იცით, რა გვითხრა? კაცია და უნდა გაუძლოს, აბა, როგორ გინდათო. არადა წამების კლასიკური მაგალითია.

– კი მაგრამ, უცხოელი უფლებადამცველები არ არიან სომხეთში, არ შედიან მონიტორინგზე?

– რას ამბობთ, სომხეთში ისეთი ვითარებაა, როგორც აქ იყო “ბაი”-ს დროს. თუ თანხას გადაიხდი, ყველაფერი შესაძლებ-

ლია ამ ქვეყანაში. რომ დავერეკავ, ვინახებთ ექიმთან, ვინმე ნანაიათან, მხოლოდ მაშინ შედის და ამოწმებს მის მდგომარეობას.

– მაინც ვერ გავიგე, თუ ამბობთ, რომ უდანაშაულო რატომ ჰყავთ ციხეში, რადაც მიზეზი ხომ უნდა არსებობდეს?

– ერევანში პირად საუბარში მითხრეს, რომ ერევანსა და გერმანიას შორის გაფორმებულია მემორანდუმი, რომლის თანახმადაც რაც მეტი უცხო ქვეყნის მოქალაქე ყოფილებათ ციხეში, მით მეტ გრანტს მიიღებენ. შესაბამისად, ერევანის ციხეში მნიშვნელოვანია ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქე, რომელიც მათ ციხეში იქნება მოთავსებული. რის გამო ზის ჩემი ქმარი ციხეში, ის მაინც მითხრან, როცა საქმეში მტიკცებულებები არ დევს. 8-ტომიანი საქმე საიუველიორ მალახიის გატების შესახებ, სადაც ვინმე ნოზაძე და კაკაბაძე ფიგურირებენ, ერთხელაც კი არ არის ნახსენები მერკვილაძე რაიმე ფორმით. ერევანში მითხრეს, თქვენი ქმარი 10 ივლისიდან არის ინტერპოლის ძებნაზე. თუ ინტერპოლი ეძებდა, როგორ გადაკვეთეთ ოჯახმა თურქეთის საზღვარი, რატომ იქ არ დააკავეს? გერმანიაში ადამიანი მიდიოდა, მოდიოდა, ძვირადღირებული მანქანები ჩამოჰყავდა. მეტიც, 2 თვის წინ საქმოდ სოლიდური სესხი აქვს გამოტანილი ბანკიდან ადამიანს, რომელსაც ახლა ეუბნებიან, რომ ინტერპოლით არის ძებნილი? ყველაფერი, რასაც გუვინებთ, მაქვს ასახული დოკუმენტებში. ბოლო საბუთი, რომელიც ერევანში ვნახეთ, არის გერმანიის დოკუმენტი, რომელიც სთხოვს ერევანს, შეგატოვონო, მამუკა მერკვილაძე რამდენ ხანს გეყოლებათ ციხეში? თუ აქ გარიგებას არ აქვს ადგილი, რას ნიშნავს ეს დოკუმენტი?

– საქართველოს ხელისუფლება ჩააყენებენ საქმის კურსში?

– დიახ, ყველა უწყებას მივმართეთ, საგარეო საქმეთა სამინისტროდან დაწყებული, პარლამენტით დამთავრებული. საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოგვცა პასუხი, რომ განცხადებას აწერია “სასწრაფოდ” და გადაგზავნა საკონსულლოს. საკონსულლოდან კი პასუხი არ გვაქვს. პრესა ცეცადა საქართველოს კონსულთან, ზვიად ტატიშვილთან დაკავშირებას. ორი ტელეფონის ნომრიდან ერთი გამორთული აქვს, ხოლო მეორეს, შეტყობინების მიუხედავად, არ უპასუხა.

ამის შემდეგ გახუთი საგარეო საქმეთა

სამინისტროს წარმომადგენელს მარი ნარჩემაშვილს დაუკავშირდა, რომელმაც ვვითხრა, რომ სიტუაციაში გაერკვეოდა და ჩვენს კითხვებს უპასუხებდა. მოგვიანებით კი გვითხრა:

– ჩვენ ვესაუბრეთ ერევანს და როგორც გვითხრეს, გერმანიის მხარის მოთხოვნით დააკავეს. არსებობს საბრალდებო საქმე, რომლის მიხედვითაც მერკვილაძეს ჩადენილი აქვს დანაშაული გერმანიის ფედერაციაში. სომხეთში არაფერი შუაში არაა, ის მხოლოდ შემსრულებელია.

– მერკვილაძე ციხეში მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, იცით ამის შესახებ?

– ვიცით, კონსული მეუბნება, რომ პერმანენტულად უკავშირდება ციხის ადმინისტრაციას და კითხულობს მის ამბავს, მას მართლაც ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები. ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება და სამედიცინო მიმსახურება ეწევა. თუ რამე გაუჭირდება, ყველანაირი დახმარებისთვის მზად ვართ.

– ექსტრადაციის საკითხი როგორ იქნება?

– გერმანია ითხოვს მერკვილაძის დაკავებას. არ ვიცი, აქვს თუ არა საქართველოს უფლება, მოითხოვოს ექსტრადაცია. სიტუაციის გასარკვევად გახუთი საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, ეკა ბესელიასაც დაუკავშირდა:

– განცხადება, მამუკა მერკვილაძის შესახებ, საქართველოს პარლამენტში ორი დღის წინ შემოვიდა მისი ადვოკატის ლანა გვარდიანის მიერ. დავიწყეთ შესწავლა უკვე განცხადებაში დეტალურად არის აღწერილი, როგორც დააკავეს მამუკა მერკვილაძე. ბევრი დეტალია მითითებული.

– პარლამენტიდან რის გაცემა შეიძლება?

– თქვენთან საუბრის მერე კიდევ უფრო მივაქცევ ამ საქმეს ყურადღებას, შევისწავლი მის ყველა დეტალს. დავიწყებთ მომზადებას, დავაყენოთ შუამდგომლობა. იუსტიციის მინისტრი არის უფლებამოსილი, ექსტრადაციის საკითხი დააყენოს. ჩვენ მოვამზადებთ შუამდგომლობას და რეკომენდაციას. რახან მომართვა არსებობს, უკვე დავიწყებთ შესწავლას. ვიცით მერკვილაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და რამდენიმე დღეში თავად დავუკავშირდებით.

შ. ასანიძე



# საქართველოს უკველესი ისტორია (კოლხეთის ცივილიზაციის)

### “ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი!”

ვაჟა-ფშაველა

ეს წერილი სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბატონ ზურაბ კვარაცხელიას facebook-ის გვერდიდან გადავიწერეთ, რადგან იგი ერთხელ უკვე ინტერნეტისგან ამოუღიათ და იძულებული გამხდარა, რომ ხელმოერდ განეთავსებინა.

“ეს ყველა ქართველმა უნდა იცოდეს! ეს მთელ მსოფლიოს უნდა გაავსებინო!” – ბრძანებს ბატონი ზურაბი და ამიტომაც ვთვლით აუცილებლად მის გამოქვეყნებას!

ბუბა ხოტივარი, ცნობილი ქართველი კინოდოკუმენტალისტი და რეჟისორი, ქართული ცივილიზაციის უძველესი ფესვების შესახებ სამედიურ-პოპულარული სერიალის გადაღებას გეგმავს. ამჯერად ჩვენ პროტოქართულ და ინდოეთიდან მოსულ ბერძნულ ცივილიზაციათა ისტორიულ დაპირისპირებაზე ვისაუბრებთ.

დავინწყით საყოველთაოდ აღიარებული ფაქტით: ძველი-ელნიური ცივილიზაცია ამჟამინდელი საბერძნეთის ტერიტორიაზე მას შემდეგ აყვავდა, რაც მან უმოწყალოდ გაანადგურა და შთანთქმა მისი წინამორბედი პროტოქართული, იგივე პელაზგური ცივილიზაცია. ნამდვილად არ არის საკამათო ის, რომ ინდოევროპული წარმომავლობის უძველეს ბერძნულ ცივილიზაციამდე ამ სივრცეში არსებობდა მართლაც უნიკალური პროტოქართული ანუ პელაზგური ცივილიზაცია!

ამ დაპირისპირებაზე ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ, მანამდე კი ერთ საინტერესო რამეს ვიტყვი: ჩვენში დიდი თუ პატარა დარწმუნებულია, რომ კოლხეთის მეფე აიეტის ქალიშვილმა მედეამ მამას და სამშობლოს უღალატა, ბერძნებს ოქროს საწმისი გაატაცებინა და ასე შემდეგ... მაგრამ საქმე სულ პირიქითაა: არგონავტებმა მედეა მოიტაცეს!..

თვით „ისტორიის მამად“ აღიარებული ჰეროდოტეს უძველეს და უნიკალურ ნაშრომებშია დაფიქსირებული! აი, ბატონო, რას წერს ჰეროდოტე თავის ცნობილ „ისტორიაში“ (წიგნი, „კლიო“): „ელინებმა უსამართლობა მეორედ ჩაიდინეს; გრძელი ხომალდით მისცურეს აიაკოლხიდაში, მდინარე ფაზისთან და იქ, როდესაც გააკეთეს ის, რისი გულისთვისაც მივიდნენ, მოიტაცეს მეფის ასული მედეა. კოლხთა მეფემ ვაგზავნა ელადამი მოციქული, რომ მოეთხოვა სამართლი მოტაცებისთვის და უკან გამოეთხოვა ასული, ხოლო ელინებმა უპასუხეს, რომ არც მათ უგიათ პასუხი მათ წინაშე არგონავტების მოტაცებისათვის და ამიტომ არც თვითონ აპირებენ, რომ მისცენ მათ რაიმე...“ ანუ თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, თვით ჰეროდოტეს არგონავტები ტიპურ „ტრეფიკორებად“ და მემკობრებად გამოჰყავს... მეტსაც გეტყვი: მედეას შვილების მკვლელ დედად გამოცხადებაც უსინდისო ტყუილია!

ლევან სანიკიძეს თავის „უქარქაშო ხმელში“ კლავდიუს ელიანუსის წყაროებზე დაყრდნობით უწერია, რომ ეს იყო ერთგვარი „შეკვეთილი ისტორია“...

დაიხ! იმის გამო, რომ მედეამ ქმრის – უფლისწულ იაზონის ღალატის გამო შური იძია მის საცოლზე – კორინთოელთა მეფის ასულზე, კორინთოელებმა თავად მოკლეს მედეას შვილები და ეს დედას დააბრალეს!... თანაც, კორინთოელებმა ძლიან ვერაგული ხერხი გამოიყენეს იმისთვის, რომ ისტორიაში მედეას შვილების მკვლელად თვითონ კი არა კოლხთა პრინცესა მედეა შესულიყო! კორინთოელებმა 5 ტალანტი მისცეს ბერძენ ტრაგიკოს ევრიპიდეს, რომელმაც სინდისის ქენჯნის გარეშე შეასრულა ეს დაკვეთა და თავის ცნობილ ტრაგედიაში „მედეა“ ის თავისი შვილების მკვლელად გამოაცხადა. თუმცა, დაუბრუნდეთ ჰეროდოტეს „ისტორიას“; ჰეროდოტე მედეას მოტაცების ამბავს ასე აგრძელებს: „ამბობენ, რომ მეორე თაობაში ამის შემდეგ, ალექსანდრე პრიაპოსის ძემ ყოველივე ამის შემდეგ მოინდომა, რომ თავისთვის ელადიდან მოეტყუა ქალი. მან კარგად იცოდა, რომ არ მოუხდებოდა პასუხისგება, რადგან არც იმათ უგიათ იმათ თავის დროზე პასუხი. ასე

მოიტაცა მან ჰელენე... ტროელებმა თავი იმით იმართლეს, რომ შეახსენეს ელინებს მედეას მოტაცება... ელინებმა კი ერთი ლაკედემონელი ქალის გულისთვის დიდი ლაშქარი შეკრიბეს, შემდეგ მივიდნენ აზიაში და პრიაპოსის ძალაუფლება დაამხეს...“ ანუ ჰეროდოტე მოგვითხრობს პარის პრიაპოსის ძის (ალექსანდრეს) მიერ ელენეს მოტაცებაზე და ამ ამბიდან გამომდინარე დანყბულ ბერძენ-ტროელთა ომზე, რაც ტროას უძველესი კულტურის დამხობით დასრულდა...

თუმცა, სწორედ ტროელები იყვნენ პროტოქართული, პელაზგური წარმოშობის ხალხი! ამაზე ზვიად გამსახურდიას აქვს გამოქვეყნებული შესანიშნავი კვლევები... დიახ! შეიძლება ითქვას, ტროელებმა, როგორც პროტოქართველებმა, ელენეს მოტაცებით, ერთგვარად შური იძიეს ბერძნებზე, რომლებმაც კოლხებს, ანუ ტროელთა ნათესავებს მედეა მოსტაცეს! გარდა ამისა, ცნობილი გერმანელი მეცნიერი ბორის გრეინშპოლი თავის ნაშრომში „ტროელები და იბერიელები“ პირდაპირ წერდა: „ქართველებმა დედამინაზე პირველგზა მოიძინაურეს ცხენი და როგორც ჩანს, ავსტრიაში მივიდნენ, სადაც ჩვენს ნელთალრიცხვამდე დაახლოებით 2800 წელს შექმნეს ბადენური კულტურა. როგორც ჩანს, ქართველები იყვნენ ლეგენდარული ტროელებიც, თუმცა, მათგან დღეს მხოლოდ ერთი ხალხი დარჩა – ქართველები...“

მოკლედ, ბერძნებმა პროტოქართული ცივილიზაციის ნანგრევებზე ააშენეს თავიანთი კულტურა და იმავდროულად, ისტორიაც საფუძვლიანად გააყალბეს!... ეს არც არის გასაკვირი, რადგან ბერძნებმა აგერ, ჩვენს ცხვირწინ ნაშაღეს რუსთაველის ფრესკა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში! მათ ჯერ ეს ამაზრზენი დანაშაული ჩაიდინეს, შემდეგ კი აქეთ გვაშინებდნენ ქართველებს, რა პრეტენზიები გაქვთ, ჯვრის მონასტერი თქვენ არასოდეს გეკუთვნოდათ!..

მოკლედ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ მედეა არ იყო მოღალატე! მედეას არ მოუკლავს თავისი შვილები! მედეა არგონავტებმა – მსოფლიო ისტორიაში, ალბათ, ყველაზე უსინდისო სტუმრებმა – გაიტაცეს ოქროს საწმისითან ერთად!... და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მსოფლიოს ერთერთი უძველესი და უთვალსაზრისო – ტროას კულტურა პროტოქართული იყო!..

უძველესი ქართულ-იბერიული ცივილიზაცია, გარკვეულწილად, ყველა იმ ცივილიზაციათა მშობელია, რომლითაც ასე ამაყობს კაცობრიობა და რომლებზეც დგას თანამედროვე მსოფლიო!

მთელ მსოფლიოში ცნობილია ასეთი მარტივი ვერსია: ბერძენი არგონავტები გემით მიცურდნენ აიეტის კოლხეთის უძველესი სამეფოს ნაპირებთან და იქიდან უდიდესი საგანძურით – ოქროს საწმისით დაბრუნდნენ სამშობლოში! თუმცა, ჯერ ერთი, ეს ოქროს საწმისი საუფელირო ნივთი და ძვირფასეულობა არ იყო; მეორეც, რეალურად ვინ იყვნენ ეს „არგონავტები“? თუმცა, ჯერ ის ვთქვათ რას წარმოადგენდა არგონავტების გამოჩენამდე პროტოქართული და პროტოკოლხური ცივილიზაცია... მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიურ ენციკლოპედიებში შავით თეთრზე წერია, დიდი ალბათობით, პროტოქართული და პროტოკოლხური ცივილიზაცია უმთავრესი ცივილიზაცია იყო! თავად განსაჯეთ:

აიეტი – კოლხეთის მეფე! პერსი – აიეტის ძმა, ტავრიელების მეფეა ყირიმში!

ალთი – აიეტის კიდე ერთი ძმა მოიხსენიება, როგორც „დაუქვილი პურის ღმერთი“!

ახლა აიეტის დებიც გავიხსენოთ: ქალიფსო (კალიფსო) – ანუ „ქალი ფსოფან“ მოიხსენიება, როგორც ქალღმერთთა ღმერთი, რომელიც ფლობდა კუნძულ ოგიასის ხმელთაშუა ზღვის დასავლეთში! ფაცია (ფასოფეა) – მინოსის მეუღლე და კრეტას დედოფალი, რომლის შვილიც იყო ლეგენდარული არაიდნა!

ცირა (ცირიცია) – კუნძულ ეას (აიას) ოქროსფერთმიანი დედოფალი, რომელიც თითქმის ყველა ევროპელი ხალხის მითურ დედად ითვლება! ცირა ითვლება იტალიის

პირველი მეფის ავსონის დედად, ასევე დედად იტალიისა, რომლის სახელითაც აპენინის ნახევარკუნძულს დღეს მთელი მსოფლიო „იტალიას“ უწოდებს და ასე შემდეგ... და ამ დროს ვინ იყვნენ არგონავტები?! უძველესი ბერძნული ცივილიზაციის წარმომადგენლები?! არა! და ეს რომ მართლაც ასეა, უპირველეს ყოვლისა, მარტივი ქრონოლოგიითაც დასტურდება! ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ ბერძნებმა ტროას უძველესი პროტოქართული ცივილიზაცია ჩვენს ნელთალრიცხვამდე დაახლოებით მე-13 საუკუნეში დაამხეს და იავარქმენეს! არგონავტები კი ამ მოვლენებამდე, სულ ცოტა, რამდენიმე ასეული წლით ადრე ენეიდენ კოლხეთს! ანუ ეს ის პერიოდაა, როდესაც ბერძნებს ჯერ კიდევ არ ჰყავდათ არც „ისტორიის მამად“ აღიარებული ჰეროდოტე, არც უდიდესი მოაზროვნე პლატონი და არც „ილიადას“ ავტორი ჰომეროსი!

ცნობილია ისიც, რომ იაზონის და მის არგონავტებს ხომალდ „არგოს“ (ანუ „სწრაფის“) მშენებლობაში თვით ქალღმერთი ათენა (ანუ თვით სიბრძნე) ეხმარებოდა! ბერძნები ისე ძლიან იყვნენ დაინტერესებული კოლხეთის სამეფოში დავანებული ოქროს საწმისით, რომ მათ თავად ათენა დაეხმარა. ეს ოქროს საწმისი, უბრალოდ, ოქროსფრად მოეღვარე ცხვირის ტყავი კი არა, ისეთი განსაკუთრებული რამ იყო, რის გარეშეც ბერძნებს არ შეეძლოთ არსებობა!

ახლა ვნახოთ, კონკრეტულად ვინ არიან ეს არგონავტები! არგონავტები არიან – თავად უფლისწული იაზონი, ჰერაკლე (ზევსის შვილი) თევზის (ასევე ზევსის შვილი) და ათენის დამაარსებელი), პროკრუსტე, სიზიფე, ლაერტი, პოლიდეკი, ავგეა (ცნობილი თავლების მებაბრინე), ათოლოკე (ელინებს შორის უემპიკესი და უფლიდესი ღმერთის ჰერმესის შვილი), ასკლეპიოსი (მედიცინის ღმერთი), ანთეოსი, ორფეოსი (პოეტთა პოეტი), კენეუსი (რომელიც ქალად იყო გარდასახული) და ათობით ასეთი ღმერთი თუ ნახევრად ღმერთი – ზევსის, პოსეიდონის, აპოლონისა და დიონისეს შვილები... მოკლედ, არგონავტები, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ მსოფლიო ნაკრები, რომლებიც სხვადასხვა ეპოქის შვილები იყვნენ და შეუძლებელია, ერთ ხომალდზე მოხვედრილიყვნენ!.. ანუ ბერძნებმა ოქროს საწმისის მოპარვის ერთგვარი გამართლებისთვის შექმნეს მითი, თითქოს მათ, როგორც უფრო მაღალი ცივილიზაციის ხალხმა, სამართლიანად მისსაკუთრეს კოლხების – უფრო „დაბალი ცივილიზაციის ხალხის“ საგანძური უფრო რომ გავემარტივოთ: ბერძნებმა შექმნეს მითი, თითქოს არგონავტების სახით კოლხეთში ჩავიდა მსოფლიო ნაკრები, რომლებიც არ თქმა უნდა, დაამარცხა ფოთის „კოლხეთი“! სინამდვილეში კი, არგონავტების მიერ კოლხეთიდან ოქროს საწმისის გატაცება იყო კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი აფერა და დანაშაული! სწორედ ოქროს საწმისის ელადამი ჩატანას უკავშირდება იმ ძველი ბერძნული ცივილიზაციის რენესანსი, რომლითაც ასე აღტაცებულია მთელი კაცობრიობა! ანუ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძველი ბერძნული ცივილიზაცია სწორედ კოლხეთიდან გატაცებულ სიბრძნეზე აღმოცენდა!

კაცობრიობის ისტორია თამამად შეძლება დაიგოს ორ ეტაპად: ოქროს საწმისის მოტაცებამდე და მისი მოტაცების შემდეგ! ამით იმის თქმა მსურს, რომ აიეტის კოლხეთი იმჟამინდელი სამყაროს ერთგვარი ცენტრი იყო – ადგილი, სადაც დავანებული გახლდათ თვით ოქროს საწმისი! კოლხეთის ოქროს საწმისი კი, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, იყო იმჟამინდელი სამყაროს კეთილდღეობისა და სიბრძნის სიმბოლო! ალბათ, ამიტომაც არის, რომ არგონავტების მიერ ოქროს საწმისის მოპოვებას მითოლოგები და ისტორიკოსები აიგივებენ წმინდა გრაალის აღმოსაჩენად დამაშვრალი კაცობრიობის ლტოლვასთან! კოლხური ოქროს საწმისი იმჟამინდელი კაცობრიობისათვის სწორედ ერთგვარი „წმინდა გრაალი“ გახლდათ! და ეს წმინდა გრაალი ბერძნებმა მოიპარეს!

ჩვენ კარგად უნდა გავითავისოთ ერთ რამე: ეს არგონავტები არ უნდა აგვერიოს იმ უმაღლესი ცივილიზაციის წარმომადგენელ ძველ ბერძნებთან, რომელთაც დღეს მთელი მსოფლიო შენატრის! არგონავტების დროინდელი ძველბერძნული სამყარო იყო, პრაქტიკულად, ველური, მძარცველური მენტალიტეტის სივრცე, რომელმაც გასაკეთილშობილებლად სწორედ ოქროს საწმისის მოპოვება განიზარაბა! მაგალითისათვის: არგონავტებს შორის იყო ავტოლიკე – ბერძნული ღმერთის ჰერმესის შვილი! და ვინ იყო ჰერმესი? ჰერმესისა და ავაზაკების მფარველი!

თავად ბერძნების მითოლოგიით, ჰერმესმა თავის შვილს მიზნის მისაღწევად, უფლება მისცა, ტყუილზე დაიფიცოს მამის სახელი! ანუ ღმერთი თავის შვილს ასწავლის, ჩემი სახელი დაიფიცე, მოატყუე ხალხი, ოღონდ შენ იხვირეო! გარდა ამისა, თავად ბერძნულ მითებში დაუფარავად არის გადმოცემული, რა მზაკერული გეგმით მოხდა აიეტის ქალიშვილის მედეას „გადაბირება“. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ბერძნებს ისე ძლიერ სურდათ ოქროს საწმისის დაუფლება, რომ მედეას იაზონით მოხიზვლამი ჩაერთვნენ ძველბერძნული უმაღლესი ქალღმერთი ჰერა, სიბრძნის ქალღმერთი ათენა და თვით სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტე!.. დიახ, ამ ქალღმერთთა მეცადინეობით, ბერძნული მითების გადმოცემით, სწორედ აფროდიტეს შვილმა ეროსმა ესროლა სიყვარულის ისარი მედეას... აი, ასეთი იყო არგონავტების დროინდელი ბერძნული ზნე-ჩვეულებანი! ხაზგასმით ვიმეორებ, ეს იყო მძარცველურ-ავაზაკური მენტალიტეტის ხალხი, რომელმაც აუცილებლად სჭირდებოდათ გაკეთილშობილება და ამიტომაც გადაწყვიტეს კოლხური ოქროს საწმისის მოპოვება! და ოქროს საწმისის მიტაცების შემდეგ მათ ეს მიზანი შეასრულეს. ფაქტია, რომ ასეც მოხდა! ჰომეროსი და პლატონი ძველმა ელადამ მას შემდეგ შვა, რაც ძველმა ბერძნებმა კოლხეთიდან მოიპარეს ოქროს საწმისი! ახლა დაუვამატოთ ამას ძველი ბერძნების მიერ მოგვიანებით დაპყრობილი პროტოქართული, პელაზგური ტროა და იქაურ უნიკალურ ცივილიზაციასთან ზიარება და დავასკვნეთ, რომ ძველი საბერძნეთის მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი უზარმაზარი ცივილიზაცია სწორედ ოქროს საწმისის პროტოქართულ საფუძველზე დაგას! ანუ, რომ არა კოლხეთიდან ოქროს საწმისის მოტაცება, შესაძლოა, ძველ საბერძნეთში შექმნილი უნიკალური ცივილიზაცია სწორედ ჩვენს მიწაზე აღმოცენებულიყო?! ლოცვა და მითოლოგიაში დავანებული სიბრძნე ასეთი დასკვნის აშკარა საფუძველს იძლევა!... კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ეს არ არის ქართული ეთნოცენტრიზმი და ურავატიოტიზმი! ჩვენ ვცერდნებით ათასწლეულების ისტორიულ გამოცდილებასა და ლოგიკას! ბოლოს და ბოლოს, ჩვენ, ქართველებს ხომ არ აღმოგვიჩინია, რომ კაცობრიობის უძველესი ცივილიზაცია პროტოქართული-პროტოკოლხური იყო?! ამას მსოფლიო დონის მკვლევარები ამტკიცებენ!

თავად ის ფაქტი, რომ იმდროინდელი „წმინდა გრაალი“ – ოქროს საწმისი სწორედ კოლხეთში იყო დავანებული და მის მოსაპოვებლად ძველმა ბერძნებმა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდ ავაზაკობა ჩაიდინეს, ბევრ რამეზე მეტყველებს! თუმცა, ეს ამბავი მხოლოდ ბერძნული ცივილიზაციის აყვავებით არ დასრულებულა! ძველმა ბერძნულმა ცივილიზაციამ შვა რომაული ცივილიზაცია! ანუ ის ცივილიზაცია, რამაც საფუძველი დაუდო თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციას! ამდენად, რომ არ ყოფილიყო კოლხური ოქროს საწმისი – იმდროინდელი „წმინდა გრაალი“, ვერ შეიქმნებოდა ძველბერძნული ცივილიზაცია!

რომ არ ყოფილიყო ძველბერძნული ცივილიზაცია, ვერ შეიქმნებოდა ძველი რომის ცივილიზაცია!

და რომ არ ყოფილიყო ძველი რომის ცივილიზაცია, ვერ შეიქმნებოდა თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაცია! სწორედ ამას არგონავტების მითის მთავარი საიდუმლო: თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაცია კოლხურ ოქროს საწმისზე აღმოცენდა!..

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალაღანია

სხვაბან მინდა მუშაობა – თემურ ქეცბაია საქართველოდან გულნატკენი წავიდა



ბერძნული a-sports.gr დაუკავშირდა საქართველოს ნაკრების ყოფილ თავადაც თემურ ქეცბაიას და მასთან ინტერვიუ ჩაწერა.

ბერძნული საიტის ინფორმაციით, თემურ ქეცბაიამ 5 წლის განმავლობაში საქართველოს ნაკრების თავადაც 40 მატჩში 13 მოიგო, 9 ფრედ დაასრულა და 18 წააგო, თუმცა აღსანიშნავია, რომ ალბანეთთან ამხანაგური მატჩი ფიფამ არ ჩაგეითვალა, რადგან ქეცბაიამ 6 ცვლილებაზე მეტი გააკეთა. ამიტომ ჩვენებურის მიღწევა ნაკრებში ასეთია: 39 მატჩი, 12 მოგება, 9 ფრე და 18 წაგება.

“მან სულ რამდენიმე დღის წინ დატოვა საქართველოს ნაკრები და ახლა თავისუფალია. მან ფეხბურთელობისას ბრწყინვალე სამი წელი გაატარა აეკ-ში 90-იან წლებში. არცთუ დიდი ხნის წინ კი “ლიმპიაკოსის” თავადაც იყო”, – წერს საიტი.

– კლავდიო რანიერი წარსულშია. მრავალ კანდიდატს შორის თქვენც მოგიაზრებენ საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელად? იყო თუ არა კონტრაქტი საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან?

– მეც ზუსტად იმდენი ვიცი, რაც თქვენ, ანუ მხოლოდ ხმები. წავიკითხე

პუბლიკაციები, მაგრამ მინდა განვაცხადო, რომ საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციიდან ჯერ არაფერი დამკავშირებია, არც მისტერ სარისი და არც ვინმე სხვა.

– თქვენ ახლახან დატოვეთ პოსტი და თავისუფალი ხართ. გსურთ თუ არა, საბერძნეთის ნაკრები ჩაიბაროთ?

– ვის არ ექნება ასეთი სურვილი? რა თქმა უნდა, მინდა, საბერძნეთის ნაკრები გაეწვრთნა.

საბერძნეთის ნაკრები დიდი გუნდია და ყველამ კარგად იცის ეს. ამ გუნდმა ბოლო დეკადაში სასწაულები აკეთა და მისი გაწვრთნა ნებისმიერი მწვრთნელისთვის დიდი გამოცდია. მიხარია, რომ ერთ-ერთ კანდიდატად მივლიან.

– თუ აღევნებდით თვალს საბერძნეთის ნაკრების თამაშებს ევრო-2016-ის შესარჩევ მატჩებში და როგორ შეაფასებთ გუნდის გამოსვლას?

– ვნახე მატჩი რუმინეთთან, ფარერებთან და ამხანაგური შეხვედრა სერბეთის წინააღმდეგ. არ მეგონა, გუნდს ასეთი ცუდი შედეგი თუ ექნებოდა.

როცა ნიცაში კენჭისყრა მოხდა, მე ვესაუბრე ბერძნულ დელეგაციას და მაშინ ვთქვი, რომ საბერძნეთისთვის კარგი კენჭისყრა იყო. ახლა კი ოთხი მატჩის მერე მხოლოდ ქულა, თამაშშიც ბევრი ცუდი ვნახე. თითქოს, საბერძნეთის ნაკრების ფეხბურთელებს ფსიქოლოგიური ბარიერი ჰქონდათ გადასალახავი.

– 4 ტურის შემდეგ არის კიდევ შანსი თუ ყველაფერი დასრულდება?

– სიტუაცია ჯერაც გამოსწორებადია. რა თქმა უნდა, ამისთვის გუნდმა ძალიან უნდა მოუმატოს და ზედმეტ მოთხოვნებს არ უნდა დაუდებდეს. მე-3 ადგილის შანსზე და პლეი ოფზე ვლავარაობს.

საბერძნეთს წარმატების მიღწევის პოტენციური აქვს. ოპონენტები არ

არიან უმაღლესი კალიბრის გუნდები.

– კლავდიო რანიერი ცნობილი მწვრთნელია, მაგრამ ის ჩაგარდა საბერძნეთის ნაკრებში. რატომ?

– მე ვერ ვაგვაკეთებ კომენტარს რანიერის მუშაობაზე. მას დიდ კლუბებში უმუშავია, მაგრამ სანაკრებო მწვრთნელობას კიდევ სულ სხვა სპეციფიკა აქვს. საკლუბო მწვრთნელს ფეხბურთელები მუდამ თან ჰყავს, აქ კი 4 დღე ძალიან ცოტაა.

რანიერის თავიდან გაცნობა უხდებოდა ფეხბურთელების, მან საბერძნეთის ფეხბურთი შეიგნა არ იცოდა.

– ოტო რეპაგელმა და ფერნანდუ სანტოშმა გაამართლეს, რანიერიმ – არა. ახლა უფრო ბერძენი მწვრთნელისკენ ისრებიან...

– ვფიქრობ, რომ მწვრთნელი კარგად უნდა იცნობდეს ბერძნულ ფეხბურთს და ფეხბურთელებს. განსაკუთრებით, ახლა, როცა საკვალიფიკაციო ეტაპი შუაშია.

– თქვენ ხუთი წელი გაატარეთ საქართველოს ნაკრებში, მაგრამ წასვლა გადაწყვიტეთ. გულდაწყვეტილი ჩანხართ, რატომ?

– დიახ, ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. ჩვენ ძალიან ბევრი ვიშრომეთ, ბევრს ვეცადეთ, მაგრამ დავიანახე, რომ არაფერი არის დაინტერესებული.

თავიდან კარგი თანამშრომლობა გექონდა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი გაფუჭდა. ერთი წელი კიდევ მრჩებოდა, მაგრამ არ მინდა იმ პროექტის ნაწილი ვიყო, რომელსაც მხარს არაფერი უჭერს.

სხვაგან მსურს მუშაობა და ახალ გამოწვევებს ვეძიებ.

– და თუ ეს გამოწვევა საბერძნეთის ნაკრები იქნა?

– ეს იქნება დიდი გამოცდა ჩემთვის და დიდი შანსი.

კახა ცხაღაძე თანახმაა, საქართველოს ნაკრებში უხელფასოდ იმუშაოს

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმწვრთნელობაზე ერთ-ერთი რეალური კანდიდატი კახა ცხაღაძეა. ის თანახმაა, უახლოეს ორ ევროშესარჩევ მატჩში, ყოველგვარი ფინანსური ინტერესის გარეშე, უხელმძღვანელოს ეროვნულ გუნდს.

საქართველო 29 მარტს გერმანიას მასპინძლობს, 13 ივნისს კი სტუმრად პოლონეთს ეთამაშება.

ცხაღაძე, ამის პარალელურად, ცხადაც იმუშავებს აზერბაიჯანულ “ინტერშიც”. კლუბთან მას მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს.

ამასობაში, სეზონი დამთავრდება და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შეფობას შეუძლია, ცხაღაძესთან ერთად მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდეს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივა განხილოს.

ვერაფერს იტყვი, ცხაღაძის მხრიდან ეს სოლიდური და პატრიოტული ჟესტია. არც გვიკვირს – საქართველოს ნაკრების ყოფილ კაპიტანს ეროვნული გუნდის დაარსების დღიდანვე უკეთესია კარგი საქმეები ქვეყნის უპირველესი გუნდისთვის.

ფეხბურთის ფედერაცია კი სიახლეებს მომავალი კვირიდან გეპირდება:

“კახა ცხაღაძესთან შეხვედრა არ ყოფილა. მხოლოდ მაშინ ვნახეთ ერთმანეთი, როცა საქართველოსა და პოლონეთის ნაკრებთა მატჩზე იყო ჩამოსული.

როგორც დაგვირდით, ამ დღეებში გვექნება გარკვეული სიახლეები”, – გვითხრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რევაზ არველაძემ, რომელსაც გუშინ შევეხმიანეთ.



გამოვიდა სერგეი კრემლიოვის ნიგნ “ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



შუკე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი” (რედაქტორი ალექსანდრე შენბლინი). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათს დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

ლეონტი ბიწაძე ბარდაცივალა ნამდვილად დიდი დანაკარგია ჩვენთვის, რადგან იგი იყო არა მხოლოდ ჩვენი უდალატო და პრინციპული მეგობარი, არამედ გაზეთ “ილორის” ავტორი, რომელიც საინტერესო პუბლიკაციებით გვანებიერებდა. ლეონტიმ ცხოვრების მეტად საინტერესო გზა გაწვლია, იყო მსხვილი სამრეწველო ობიექტების ხელმძღვანელი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, ჰქონდა გამოგონებები როგორც ინჟინერს, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა აქტუალურ საკითხებზე, რომელსაც უნარიანად და ოპტიმალურად აძლევდა საინტერესო პუბლიკაციის სახეს. ნათელში იყოს ლეონტი ბიწაძის სული! როლანდ ჯალაღანია, ზაურ ბახარია, ტარიელ ბაბნიძე, ვიტორ ცაავა

გოგო კეთილება ბიჭს: – ჩემს ქორწილში ხომ იქნები? – კი, ვიქნები, – პასუხობს ბიჭი. გოგომ კი თავისთვის ჩაილაპარაკა: – სიძის საკითხიც მოგვარებულია... \* \* \* რუსი და გერმანელი დავობენ, ვინ უფრო დიდი პიროვნება იყო – ჰიტლერი თუ სტალინი. – რა თქმა უნდა, ჰიტლერი უფრო დიდი პიროვნება იყო! – ამბობს გერმანელი, – მისი ერთ-ერთი ნახატი, ახლახან, სოტბის აუქციონზე 62 ათას ევროდ გაიყიდა. – ეგ რა არის, – ირონიულად ჩაიცინა რუსმა, – სტალინის ყველაზე დიდი ქმნილება – საბჭოთა კავშირი გორბაჩოვმა, ელცინმა, შევარდნაძემ და იაკოვლემა 50 მილიარდ დოლარად გაყიდეს და გაჭრობა ამჟამადაც გაუთავებლად გრძელდება...

სახალხო მკურნალთა მოულოდნელი ჯარ კიდეც მკურნალთა ნაყოფიერად ფარმაცოეფიის, რომელიც მის დაძირვის სილოზად და კვლავ ჩაღვა სალხის ჯანმრთელობის სახსარადი ლომინტი ბაბნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთისეზიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთეზას, ნერვოზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰეპრანავს გაფანტული სკლეოზის და შიდსს, შეგლის ცერებრალურ დაზიანებას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, აფარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას. მკურნალის კოორდინატები: თბლპ30, სოფელი შალაშირი, ბაბნიძე ბიჭნიკო (ლომინტი). ტელ: 893-22-66-51

ISSN 1987-8966 ilori

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარედაქციო. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია მისივე რედაქციით გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27 სარედაქციო საბჭო: ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუპლაშვილი, ზვიად მიტოპია, ბივი სომხიშვილი, ვიტორ ცაავა, ბიორბი სიჭინავა, ნუზარ სალაყაია (ბალი)

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საძინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge